


✧ ყველა წმინდანი, რომელთა შესახებაც უნდა იცოდეს ✧

საქართველოს იველი

წიგნი 44




✧ წმინდა მღვდელმთავარი გებრიელი (ჭიჭოძე)
(ნაწილი II) ✧



ბიჭვინთის წმ. ანდრია
პირველწოდებულის ტაძარი




ქარონესელი
გიორგიოსია



სოხუმის საკათედრო
ტაძარი

დეკანოზი დავით
მაჭავარიანი



წმ. ექვთიმე თაყაიშვილი



გარდაცვლილი გაბრიელ
ეპისკოპოსი



წმ. ილია ჭავჭავაძე



წმ. გაბრიელ ქიქოძე

F 106.993
3



წმინდა
მღვდელმთავარი
გაბრიელი (ქიქოძე)

წიგნი მეორე

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი, 2014



ქართული
 ენის ენციკლოპედია

UDC (უკ) 271.22-726.1+27-36
 წ-714

პროექტის რედაქტორი	თამარ შამაგაძე
შემდგენელი	სოფიო თავაძე
სტილისტი	ხალაშვილი ნიკოლეიშვილი
კორექტორი	ნატო ტოროშვილიძე
გარეკანის დიზაინი	ეიფრ კვიციანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ლევან ლაცაბიძე

K297.205
3

© გამომცემლობა პალიტრა L, 2014
 მის.: თბილისი, იოსებძის ქ. №49
www.palitra.ge
 E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71

ISSN 2298-0547
 ISBN 978-9941-21-595-7



საქართველოს პარლამენტის
 ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული
ლიბრეოთეკა

საქართველოს
ლიბრეოთეკა

2011 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სა-
პატრიარქოდან წმინდა სამების ტაძარში გადა-
ასვენეს ახალშექმნილი „საქართველოს იმედი“
ხატი. უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხე-
თა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა
და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეო-
რემ იმ დღეს ასე მიმართა მრევლს:

„დიდება და მადლობა უფალს, რომ ღირსი
გაგვხადა, შექმნილიყო ეს ხატი – „საქართველოს
იმედი“. ის ღვთის მადლითა და ძალით იქნება
სასწაულთმოქმედი და ყოველ ადამიანს, რო-
მელიც სარწმუნოებით, სიმდაბლით, სიყვარ-
ულით მიეახლება, აღუსრულდება თხოვა და
ლოცვა. ამ ხატის მადლით ღმერთმა დალო-
ცოს, გაახაროს, გაამთლიანოს და დაამშვიდოს
სრულიად საქართველო. ამ ხატის მადლით
ღმერთმა დააბრუნოს ქართველი ხალხი უცხ-
ოეთიდან საქართველოში. ამ ხატის მადლით
ღმერთმა გვაცხოვნოს ჩვენ, ამინ!“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი და აფხაზეთი

1867 წელს კავკასიის საერო და საეკლესიო ხელისუფლებამ დაიწყო ფიქრი აფხაზეთის ეპარქიის რეორგანიზაციისა და ეკლესიურად ამ რეგიონის იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი დაქვემდებარების შესახებ.

1862 წლის 4 მარტიდან აფხაზეთის ეპარქიას ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) განაგებდა. მისი ეპისკოპოსობის პერიოდი დაემთხვა კავკასიის ომის ბოლო ეტაპს, რასაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის (მათ შორის აფხაზთა ნაწილის) აყრა და თურქეთში გადასახლება მოჰყვა; იმავე პერიოდში მოხდა აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მოსახლეობის ნების წინააღმდეგ რუსული მმართველობის შემოღება, აფხაზთა 1866 წლის ცნობილი ამბოხება და მომდევნო წელს მათი მასობრივი გასახლება ოსმალეთში. თავისთავად ცხადია, ეს მოვლენები ხელს უწყობდნენ აფხაზეთში ისლამის პოზიციების განმტკიცებას, ანტირუსული, შესაბამისად, ანტიქრისტიანული განწყობილების ზრდას. მიუხედავად მძიმე ვითარებისა, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მოახერხა მართლმადიდებლობის პოზიციების შენარჩუნება და ნაწილობრივ განმტკიცება აფხაზეთში; მისი მეცადინეობითა და ბიჭვინთის ოლქის უფროს დ. ჭავჭავაძის ძალისხმევით, 1867 წელს მოხერხდა 3 ათასამდე აფხაზის მონათვლა; პრაქტიკულად გა-

დანყვეტილი იყო ბიჭვინთაში სასულიერო სასწავლებლის გახსნის საკითხი, სადაც მოსწავლეები რუსულ, ქართულ და აფხაზურ ენებს დაეუფლებოდნენ. ეპისკოპოსი ალექსანდრე საკუთარი ხარჯებით მსწავლეებს სასულიერო განათლებას აძლევდა აფხაზ ყმანვილებს; მიმდინარეობდა ბიჭვინთის ტაძრის აღდგენა. აქ ბინა უნდა დაედო საეპარქიო კათედრას; 1866 წლის მაისში ალექსანდრემ საქართველოს ეგზარქოსს აფხაზეთში ქრისტიანობის წარმატებით გავრცელებისათვის საჭირო ღონისძიებების პროექტი წარუდგინა.

1867 წლის 6 სექტემბერს სოხუმის სამხედრო ოლქის ახალმა უფროსმა გენერალ-მაიორმა ვ. ა. გეიმანმა ეპისკოპოსს ალექსანდრეს წერილობით გააცნო საკუთარი შეხედულებები „აფხაზეთში სამრევლოების მოწყობის შესახებ“. გენერალს მიაჩნდა, რომ ეპისკოპოსის რეზიდენცია უნდა დარჩენილიყო სოხუმში, სადაც სამოქალაქო ხელისუფლება იყოფებოდა; მისი აზრით, საჭირო იყო სოხუმში საკათედრო ტაძრის, ხოლო ბიჭვინთისა და დრანდის ოლქებში, შესაბამისად, სამი და ორი ახალი ეკლესიის აშენება; სტავროპოლის ან თბილისის სასულიერო სემინარიებში სამისიონერო კადრების მომზადება აფხაზეთისათვის და, ბოლოს, სამისიონერო (სასულიერო) სასწავლებლის გახსნა არა ბიჭვინთაში, როგორც იყო გადაწყვეტილი, არამედ სოხუმში, რათა ეპისკოპოსს და განყოფილების უფროსს მასზე უშუალო ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელმაც ჯერ არ იცოდა რეალურად, რა მიზნებს ისახავდა გენერალი ვ. გეიმანი, 1867 წლის 7 ნოემბერს ვრცელი საპასუხო წერილი მიართვა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს. გარდა იმისა, რომ მან გამოთქვა საკუთარი

შეხედულებები გენერლის მოსაზრებებთან დაკავშირებით (ფაქტობრივად ეთანხმებოდა ვ. გეიმანს, თუმცა შეახსენებდა, რომ აფხაზეთის კათედრისა და სასულიერო სასწავლებლის ადგილსამყოფლად, თავიდანვე ბიჭვინთა იყო განსაზღვრული უწმინდესი სინოდის 1851 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით), წერილში გააანალიზა აფხაზეთში არსებული სარწმუნოებრივი პრობლემები და ისაუბრა მათი გადაჭრის გზებზე.

ერთ კვირაში, 1867 წლის 14 ნოემბერს, ვ. ა. გეიმანმა მეფისნაცვალს წარუდგინა მოხსენება „აფხაზეთში ქრისტიანობის შესახებ“. თავისი შინაარსით იგი ძირეულად განსხვავდებოდა ეპისკოპოს ალექსანდრესათვის იმავე წლის 6 სექტემბერს გაგზავნილი წერილისაგან. ქრისტიანული რუსეთის ბატონობის პერიოდში აფხაზეთის ეპარქიაში მუსულმანობის გაძლიერებას ავტორი მიხეილ შერვაშიძეს, მის სულიერ მოძღვარს — ეპისკოპოს ალექსანდრეს, „აფხაზურის არმცოდნე“ ქართულ სამღვდელოებას, „გაუგებარ ქართულ ენაზე“ ღვთისმსახურების წარმოებას აბრალებდა. მთავრობის მხრიდან უყურადღებობით გამოწვეული პრობლემების არსებობაც (მოუწყობელი ეკლესიები, საეკლესიო ნივთებისა და შესამოსელის უქონლობა, აგრეთვე აფხაზურის მცოდნე სასულიერო პირების მომზადების, ძველი ტაძრების აღდგენის საკითხები და ა.შ.), რომელთა მოგვარებას წლების განმავლობაში მოითხოვდა ჯერ არქიმანდრიტი, შემდგომში კი ეპისკოპოსი ალექსანდრე, გენერალმა ურცხვად აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელს გადააბრალა. 6 სექტემბრის წერილისაგან განსხვავებით, ვ. ა. გეიმანმა თავის მოხსენებაში, მოსახლეობის მცირერიცხოვნობის გამო, სოხუმის ეპარქიის გაუქმება და მის ნაცვლად, სოხუმის სამხედრო განყოფილების

ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად, ორი კოდორისა და ბიჭვინთის საბლალოჩინოს დაფუძნება მოითხოვა; მათთვის უნდა ეხელმძღვანედა ბლალოჩინს; ამ ახალ თანამდებობაზე გენერალმა ნასნარ დაასახელა სამურზაყანოს ბლალოჩინი დავით მაჭავარიანი.

აფხაზეთის გაუქმებული ეპარქია, სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის გეგმით, იმერეთის ეპარქიას დაემორჩილებოდა.; იგი ასევე აყენებდა ძველი ტაძრების აღდგენის, სოხუმში საკათედრო ტაძრის აშენების, სკოლების გახსნის, აფხაზთა გარუსების დაჩქარების მიზნით უკვე მხოლოდ სტავროპოლის (მაგრამ არა თბილისის) სემინარიაში მათთვის სასულიერო კადრების მომზადების, სამღვდლოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს. როგორც ისტორიკოსი ჯემალ გამახარია აღნიშნავს, შეიძლება ითქვას, რომ ვ. გეიმანის 1867 წლის 14 ნოემბრის მოხსენებით, მისი ძირითადი დებულებების რეალიზაციით იწყება შემობრუნება საეკლესიო პოლიტიკაში, რომლის მიზანი აფხაზეთის მოსახლეობის ასიმილაცია იყო. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ჩაიფიქრა გენერალმა ეპარქიის გაუქმება, მისი რეორგანიზაცია და სათანადო საკადრო ცვლილებების განხორციელება.

გენერალ ვ. გეიმანს არ სურდა ბიჭვინთის ძველი დიდების თუნდაც ნაწილობრივ აღდგენა (რაც ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოლვიძებას გამოიწვევდა), იქ საეპარქიო კათედრის გადატანა და სასულიერო სასწავლებლის გახსნა, სადაც რუსულთან ერთად ქართულ და აფხაზურ ენებს რუსი მოსწავლეებიც კი შეისწავლიდნენ. ვინაიდან ბიჭვინთაში საეპარქიო კათედრის გადატანა და მასთან სასულიერო სასწავლე-

ბლის გახსნა თვით უწმინდესი სინოდის 1851 წლის 16
აპრილის ბრძანებულებით იყო გათვალისწინებული,
როგორც ეს ეპ. ალექსანდრეს 7 ნოემბრის წერილიდან
შეიტყო, გენერალმა გამოსავალი ეპარქიის გაუქმება
სა და მისი სხვა ეპარქიისადმი გარკვეული ფორმით
დაქვემდებარებაში დაინახა. გეიმანის მიერ წარმოდ-
გენილი სოხუმის ეპარქიის რეორგანიზაციის გეგმა
ეპისკოპოს ალექსანდრეს ეპისკოპოს გაბრიელის კი
არა, ზოგადქართულ თვითშეგნებას მოკლებული და
რუსოფილური განწყობის დეკანოზ დავით მაჭავარიან-
ით ჩანაცვლებას ითვალისწინებდა. როგორც ორი
საბლალოჩინოს საერთო ხელმძღვანელი, რეალურად
ის იქნებოდა პირველი პირი აფხაზეთში, რომლის მეშ-
ვეობითაც გენერალი თავის ანტიქართულ გეგმებს გა-
ნახორციელებდა. შორეული იმერეთის ეპარქიისათვის
ამ რეგიონის დაქვემდებარება კი ფორმალურ ხასიათს
შეიძენდა.

საბედნიეროდ, აფხაზეთის ეპარქიის რეორგანი-
ზაცია მთლიანად ვ. გეიმანის გეგმის შესაბამისად არ
მომხდარა. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარე-
მოებას, რომ ეპისკოპოს გაბრიელის წინადადებით,
აფხაზეთის ეპარქია კი არ გაუქმდა, არამედ სამართა-
ვად გადაეცა მას იმ უფლებით, რა უფლებითაც იმერე-
თის ეპარქიას მართავდა; ამან ახალ მღვდელმთავარს
შესაძლებლობა მისცა, თუ მთლიანად არა, დიდწილად
საკუთარი პოლიტიკა ეწარმოებინა აფხაზეთში.


ეგზარქოსი საჭიროდ თვლიდა, ეპისკოპოს გა-
ბრიელს დროებით დაკისრებოდა აფხაზეთის სამრე-
ვლოების მართვა; მისი აფხაზეთში არყოფნის პე-
რიოდში კი ეპისკოპოს ალექსანდრეს იქიდან განვევის
შემდეგ ეს ფუნქცია დეკანოზ დავით მაჭავარიანს
უნდა შეესრულებინა.

ეპისკოპოს გაბრიელის პირველი მისიონერული მოგზაურობა აფხაზეთში

1868 წლის 23 აპრილს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს ეპისკოპოს გაბრიელს, წინასწარ მიმოეხილა აფხაზეთის სამრევლოები და იქაური სამღვდელოებისა და მრევლის სულიერი თუ მატერიალური სიდუხჭირის თაობაზე ადგილზე ცნობების შეკრების შემდეგ მათ შესახებ ეცნობებინა.

ეპისკოპოსმა გაბრიელმა ზედმიწევნით შეასრულა კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს დადგენილება და 1868 წლის 14 მაისიდან 4 ივნისამდე მთელი აფხაზეთ-სამურზაყანო შემოიარა.

სამდღიანი მგზავრობის შემდეგ, 1868 წლის 13 მაისს, იგი სოხუმში ჩაბრძანდა; მეორე დღიდანვე კი სოხუმის სამხედრო ეკლესიაში რუსეთის მომავალი და ამავე დროს უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის დაბადებასთან დაკავშირებული სამადლობელო პარაკლისის გადახდით მასზე დაკისრებული უაღრესად საპასუხისმგებლო დავალების შესრულებას შეუდგა. მღვდელმთავარმა მთელი აფხაზეთ-სამურზაყანო, ბიჭვინთიდან დაწყებული, სადაც 15 მაისს ჩავიდა, ენგურისპირა სოფელ ოტობაიით დამთავრებული (4 ივნისი), უფლის სიტყვის ქადაგებით შემოიარა; სამურზაყანოს ბლალოჩინ დავით მაჭავარიანთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად იყო ბიჭვინთაში (15 მაისი), ლიხნში (15-16 მაისი), ზუაფში (16-17 მაისი), დურიფში (17 მაისი), აცში (17-18 მაისი), ანაკოფიაში (18 მაისი). 19 მაისს, მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის დღეს, ეპისკოპოსმა სოხუმის ტაძარში ლიტურგია აღასრულა და მომდევნო დღიდან



კვლავ გააგრძელა მისიონერული მოგზაურობა. 20-21 მაისს მოინახულა დრანდა და სადეპუა (დაპოკიტი), გადავიდა მდ. კოდორზე და ეწვია თავად გრიგოლ შიძის სოფელ ათარას (21-22 მაისი), შემდეგ შიძის (22 მაისი), ტამიშს (22-23 მაისი), სადაც კესარია და დიანი-შერვაშიძისა გაიცნო, კვიტოულს (23-24 მაისი), მოქვს (24-25 მაისი), ეშკეტს (25 მაისი), ფოქვეშს (25-26 მაისი), ბესლაბუბას (26 მაისი), ოჩამჩირეს (26-27 მაისი). 27 მაისს ეპისკოპოსი გაბრიელი გაეცნო ილორის წმ. გიორგის ეკლესიას და სალამოსათვის ჩავიდა გუდავაში (27-28 მაისი). შემდგომი მისი მარშრუტი ასეთი იყო: ბედია (28 მაისი), ჩხორთოლი (28-29 მაისი), ოქუმი (29-30 მაისი), გალი (30-31 მაისი), რეჩხი (31 მაისი), I საბერიო (31 მაისი), II საბერიო (1 ივნისი), დიხაზურგა (1-2 ივნისი), ჭუბურხინჯი (2 ივნისი), ნაბაკევი (2-3 ივნისი), ოტობაია (3-4 ივნისი).

4 ივნისს გაბრიელ ეპისკოპოსმა აფხაზეთი დატოვა და ანაკლია-ფოთის გზით 7 ივნისს ქუთაისში დაბრუნდა.

1868 წლის 7 ივლისს საბჭოს წარედგინა „ყოვლადსამღვდელო გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის ბარათი აფხაზეთის ეკლესიების სიდუხჭირის, მომავალი მონყობის, მართვისა და აფხაზეთში მართლმადიდებლობის განსამტკიცებელი ზომების შესახებ“.

იმერეთის ეპისკოპოსმა, უპირველესად, უარყო ვ. გეიმანისა და სხვათა მოსაზრებები და გადაწყვეტილება ც კი აფხაზეთის ეპარქიის გაუქმების შესახებ, ჩათვალა რა მიზანშეწონილად მისი გადაცემა თავის გამგებლობაში „იმავე უფლებებით, რომლებითაც მე ვმართავ იმერეთის ეპარქიას“.

განსხვავებით ვ. გეიმანისაგან, ეპისკოპოსმა გაბრიელმა საჭიროდ მიიჩნია ბლალოჩინების არა ადმი-

ნისტრაციული დაყოფის, არამედ მრევლის ეროვნების მიხედვით დანიშნა. იგი დაეთანხმა აფხაზეთის უფროსი ბლალოჩინის თანამდებობის შემოქმედებს და უნდა ჰყოლოდა თანაშემწედ კიდევ ერთი პლაცდოქტორი აფხაზური სამრევლოებისათვის, მეორე დაინიშნებოდა სამურზაყანოში დ. მაჭავარიანის მიერ გამოთავისუფლებულ ადგილზე. გაბრიელმა არ გაიზიარა ვ. გეიშანის მიერ წამოყენებული ბრალდებები და განაცხადა, რომ აფხაზეთ-სამურზაყანოში ამჟამად მოქმედი სამღვდელთა „უკეთესია, ვიდრე მათ შესახებ აზრია შექმნილი. უმეტესობამ იცის ადგილობრივი ენა, სრულყოფილად და თავისუფლად შეითვისა ადგილობრივთა ზნე-ჩვეულებები“. აფხაზეთში ღვთისმსახურების ენასთან დაკავშირებით ეპისკოპოსი გაბრიელი უშვებს რეალობით ნაკარნახევ გონივრულ კომპრომისს და აყენებს წინადადებას, ბზიფისა და დრანდის ოლქებში, ე.ი. აფხაზთა შორის, რუსულის ან სლავურის შემოღების, ხოლო სამურზაყანოში ქართულის დატოვების შესახებ. იგი მხოლოდ გაკვირვით შეეხო ბიჭვინთის მონასტრისა და მასთან სკოლის დაფუძნების თემას, სასარგებლოდ მიიჩნია რა ამ იდეის განხორციელება. ეპ. გაბრიელმა მოიწონა უძველესი ტაძრების აღდგენის წინადადება და მიუთითა, რომ შედარებით მოკლე დროში და იაფად ამის გაკეთება შეიძლებოდა იმერელი ხელოსნების გამოყენებით. მან ასევე გაამახვილა ყურადღება სოხუმში საკათედრო ტაძრის აშენების აუცილებლობაზე. მისი აზრით, საჭირო იყო აგრეთვე მრავალი ახალი სამრევლოს გახსნა, განსაკუთრებით ბიჭვინთის ოლქში. სამრევლოებისა და მათი კრებულის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ეპისკოპოსი გაბრიელი მოითხოვდა მათთვის მიწის ნაკვეთების გა-


მოყოფას, ხოლო მედავითნეებისათვის ხელფასების მომატებას.

ეპ. გაბრიელი შეეხო განათლების თემას და აღნიშნა, რომ ამჟამად აფხაზეთში ეკლესიებთან სკოლები „არსად არ არსებობენ“. ვინაიდან ქრისტიანობის ბედი რეგიონში მომავალ თაობაზე უფრო იყო დამოკიდებული, სკოლა ყველა სამრევლოსთან უნდა გახსნილიყო, — წერდა ეპისკოპოსი.

ეპისკოპოს გაბრიელის 1868 წლის 7 ივლისის ბარათში წამოყენებული ყველა წინადადება იყო დამაჯერებელი და ფინანსურად დასაბუთებული. სწორედ ამ წინადადებების საფუძველზე მოხდა აფხაზეთის ეპარქიის რეორგანიზაცია. 1869 წლის 30 მაისის ბრძანებულებით ეპისკოპოსი ალექსანდრე დაინიშნა პენსიაზე გაშვებული გორის ეპისკოპოს გერონტი პაპიტაშვილის ადგილზე; იმავე ბრძანებულებით აფხაზეთის ეპარქიის მმართველი გახდა ეპისკოპოსი გაბრიელი.


ეპისკოპოს გაბრიელის მეორე მისიონერული მოგზაურობა აფხაზეთში

მორიგი მისიონერული მოგზაურობა აფხაზეთში, თანაც უკვე რეგიონის მღვდელმთავრის სტატუსით, ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1869 წლის სექტემბერ-ოქტომბერში განახორციელა. გავიდა ქუთაისიდან 18 სექტემბერს, სოხუმში მხოლოდ 4 დღის შემდეგ, 22 სექტემბერს ჩააღწია ციების ნიშნებით. იძულებითმა მკურნალობამ კიდევ ოთხი დღე დააკარგვინა და 26 სექტემბერს — მახარებლისა და ღვთისმეტყველის წმ. იოანეს აღსრულების დღეს, ეპარქიის მიმობილვას შეუდგა. როგორც წინა წელს, ამჯერადაც ეს პროცესი ბიჭვინთიდან დაიწყო. 1869 წლის 27 სექტემბერს ისტორიული მოვლენა მოხდა — გაბრიელ ეპისკოპოსმა



განახლებული ბიჭვინთის ტაძარი საზეიმო ვითარებაში აკურთხა და პირველი მწყემსმთავრული ღვთისმსახურება ჩაატარა. ვინაიდან აფხაზეთის ეპისკოპოსი იყო გადასული იმერეთის ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში, ბიჭვინთა ვერ გახდა საკათედრო ტაძარი, როგორც ამას უწმინდესი სინოდის 1851 წლის 15 აპრილის ცნობილი გადაწყვეტილება ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, ყველა შესანიშნავად აცნობიერებდა მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონში ქრისტიანობის დამკვიდრების საქმეში. ამავე დროს, რუსულ ხელისუფლებას აფრთხოებდა ის გარემოება, რომ ბიჭვინთა XVI ს. II ნახევრამდე, აფსუათა შემოსევების შედეგად მის დამხოვამდე, წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათოლიკოსო კათედრას და ქართული სულიერების, ქართული ცნობიერების, ერთ-ერთ მძლავრ კერას. იმპერიულ ასიმილაციურ პოლიტიკას კი სჭირდებოდა არა ამ კერის აღორძინება, არამედ მისი სამუდამოდ ჩაქრობა და სახელგანთქმული სასულიერო ცენტრის საკუთარი მიზნების სამსახურში ჩაყენება. ამიტომაც მოგვიანებით გადაწყდა აფხაზეთის ფაქტობრივად ქართული კათედრის საპირწონედ ბიჭვინთის რუსული მონასტრის დაფუძნება. ასეც მოხდა, ბიჭვინთის რუსული მონასტერი 1874 წელს გაიხსნა.

ბიჭვინთა ქართველმა ეპისკოპოსმა მესამე დღეს — 28 სექტემბერს დატოვა და ახალმონათლულ სოფელ კალდახვარას ესტუმრა. 1869 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით აფხაზეთის მღვდელმთავარმა იქადაგა აფიცხვაში, მაზუხში, ხუაფში, ლიხნში, აჭანდარაში და აცში. 4 ოქტომბერს ფსირცხაში ეპისკოპოსმა გაბრიელმა საზეიმო ვითარებაში აკურთხა ჰასან მარლანიას ყოფილი სახლი, რომელიც მისი ერთ-ერთი მონათლული



შვილის სურვილით ეკლესიად გადაკეთდა. იმავე დღეს ეპისკოპოსმა გენერალ ვ. გეიმანთან ერთად სიმონ კანანელის ტაძრის ნანგრევები მოინახულა და აღწერა ჩაატარა; სალამოსათვის გამოემართნენ სოხუმიკენ, სადაც მათ ხალხი ელოდებოდა. 6 ოქტომბერს ეპ. გაბრიელმა სოხუმი დატოვა და რამდენიმე დღის განმავლობაში ეწვია დრანდას, ათარას, აძიუბუას, კინდლს, ტამიშს, კვიტოულს; 10 ოქტომბერს იქადაგა მოქვეში. ამის შემდეგ ავადმყოფობა (ციება) გაურთულდა და თითქმის ერთი კვირა იმკურნალა. 17 ოქტომბერს შხუნით ოჩამჩირიდან გეზი ფოთისაკენ აიღო; ქუთაისში დაბრუნება კი 20 ოქტომბერს მოახერხა.

ეპისკოპოსის ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობა აფხაზეთში

ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა მოგზაურობა აფხაზეთ-სამურზაყანოში 1870 წლის მაის-ივნისში. 9 მაისს ქუთაისიდან წამოსული ეპისკოპოსი გაბრიელი ზუგდიდის გავლით 11 მაისს სამურზაყანოში შევიდა და იმ დღეს ჭუბურხინჯში დაისვენა. 12-19 მაისს მოინახულა სამურზაყანოს სამრევლოები — ჭუბურხინჯის, ოტობაიის, თაგილონის, დიხაზურგის, ორივე საბერიოს, ფახულანის, რეჩხის, გალის, ოქუმის, მუხურის, ბედიის, გუდავის. 20 მაისს სწირა ილორში, ამალლების დღეს, 21 მაისს იყო ოჩამჩირესა და ფოქვეში, მეორე დღეს ტყვარჩელში გაემგზავრა, იქიდან კი გუფში. ამ სოფელში ორდღიანი ყოფნა, ხანგრძლივი საუბრები, ქადაგებები და დაპირისპირებები თითქმის მთელი მოსახლეობის მონათვლით დასრულდა. 24 მაისს ეპისკოპოსი მოქვეს გაემგზავრა, იმავე სალამოს — ჭლოუს. აქაც, ისევე როგორც გუფში, აფხაზეთის მღვდელმთავარმა ორი დაძაბული დღე გაატარა, რა-

მაც, საბოლოო ჯამში, შედეგი გამოიღო — მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოინათლა. სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა პირველი სტუმრთა ჯგუფი 26-27 მაისს. მომდევნო ორი დღის განმავლობაში გაბრიელი კვიტოულში, ტამიშსა და აძიუბუაში იმყოფებოდა, 29 მაისს კოდორს გაღმა გადავიდა და დრანდის მოსახლეობას შეხვდა; 30 მაისს ლაკერბაიების ოჯახი მონათლა და სალამოს ჩავიდა სოხუმში, სადაც მეორე დღეს სამხედრო ეკლესიაში სწირა; 1-ლ ივნისს გენერალ ვ. გეიმანს შეხვდა. უამინდობის გამო სოხუმიდან მხოლოდ 3 ივნისს გაემგზავრა. იყო იაშტუხაში, ეშერაში, ფსირცხაში; 4 ივნისს ანუხვა მოინახულა, 5-11 ივნისს აკურთხა ეკლესიები ბალიქითაში, აჭანდარაში, მაზუხსა და ზვანდრიფში. 12 ივნისს მეუფე ლიხნში ჩავიდა და ცამეტში ადგილობრივ ძველ ქრისტიანებს შეხვდა. იქ ჩასულ ვ. გეიმანთან ერთად ეპისკოპოსი გაბრიელი 14 ივნისს სოხუმში დაბრუნდა, 15 ივნისს იქადაგა ადგილობრივ ეკლესიაში; 16-ში ფოთს გემით გაემგზავრა, მეორე დღეს ქუთაისში ჩავიდა.

ასე დასრულდა მეუფის ყველაზე ხანგრძლივი, საკმაოდ ხმაურიანი და უაღრესად შედეგიანი მოგზაურობა აფხაზეთ-სამურზაყანოში.

აქტიურმა მისიონერულმა მოღვაწეობამ პირველ სამ წელიწადში კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ეპისკოპოს გაბრიელს, ამას მოწმობს ცნობილი რუსი მოგზაურისა და მეცნიერის ა. ნ. მურავიოვის 1871 წლის 9 თებერვლით დათარიღებული წერილი აფხაზეთის მღვდელმთავრისადმი: „ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! თუმცა მე პირადად ვერ გიცნობთ თქვენ, მაგრამ, ალბათ, თქვენი მეუფება მიცნობს მე ჩემი ლიტერატურული სასულიერო შინაარსის ნაშრომით; მე ჩემის მხრით დიდის სიხარულით ნავიკითხე „მართლმადი-



დებელ მიმოხილვაში“ თქვენი მისიონერული მიზნით მოგზაურობა აფხაზეთში და ამ თქვენი მოგზაურობის ნაკითხვამ აღმიძრა სურვილი, რომ წერილობითად გამოემეცხადებია თქვენთვის ის უღრმესი განცემა, რომელსაც მე იმ დღიდან თქვენდამი ვგრძნობ. მადლობა ღმერთს, რომ ეს ველური მხარე, რომელიც მე ვნახე 1847 წელში და ბოლოს, ელირსა ისეთ განმანათლებელს, რომელსაც, როგორც ადგილობით მკვიდრს, უფრო სინამდვილით ეცოდინება მისი სულიერი საჭიროებანი, ვინემ ყველა იმ მისიონერთ, რომელთაც სრულებით უსარგებლოთ გზავნიდნენ აფხაზეთში. გაცოცხლდა ხელახლავ ძველი ბიჭვინტა და განახლდება ეკლესია სიმონ კანანელისა, დრანდის მონასტერი და სხვა მრავალი გაოხრებული ეკლესიები. ნეტავი აჭარა და ახალციხის მხარეც, სადაც ადგილობითი ქართველები დიდის ერთგულებით აღიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას ეხლაც კი, როცა ეს მხარეები რუსეთის მფლობელობაში იმყოფებიან, ელირსებოდენ თქვენისთანა მქადაგებელს, როგორსაც ელირსა აფხაზეთი, რომელიც თქვენდამი რწმუნებულ ეპარქიას არც კი ეკუთვნის.

თქვენ ალბათ ნაკითხული გექნებათ აღწერა საქართველოსი, სომხეთის და ვრცელი აღწერილობა გელათისა ჩემ მიერ. ამის შემდეგ მოტაცებულ იქმენ გელათიდან ძვირფასი ხატები. ფრიად მსურს შევიტყუო, ნახეს თუ არა ხახულის და ბიჭვინტის ხატები, რომელნიც საქართველოს საუკეთესო განძს შეადგენენ. ხელუხლებელია თუ არა სალაროში ბაგრატის გვირგვინი და ბეჭედი დავითისა? ამასთანავე ძლიერ მსურს მოვიპოვო ფოტოგრაფიული სახე ღვთისმშობლისა, რომელიც გელათის ტაძრის საკურთხეველშია საოცრად დახატული. ძლიერ მასიამოვნებთ, თუ ასეთ ფო-



ტოგრაფიულ სახეს გამომიგზავნით და მასთან მაცხოვრებელთა ყოველივეს იმ დაკარგული ხატების შესახებაც. მე დაიმედებული ვარ, რომ თქვენ უპასუხებდით დასუსტოვებით ჩემს წერილს. დავშთები თქვენზე მეუფეთს სრული პატივისმცემელი უმორჩილესი მოსამსახურე“.

მეოთხე და მეხუთე მისიონერული მოგზაურობა აფხაზეთში

აფხაზეთის სამრევლოების მორიგი მიმოხილვა 1871 წლის ოქტომბერში განხორციელდა. პირველში ქუთაისიდან გამომგზავრებული მეუფე გემის დაგვიანების გამო ფოთში დაყოვნდა და მხოლოდ 6 ოქტომბერს ჩააღწია სოხუმამდე. მეორე დღეს ქალაქში მთიელთა — ვაჟთა და ქალთა — სკოლები დაათვალიერა; 8 და 9-ში კოკისპირულმა წვიმებმა ეპ. გაბრიელს ქალაქიდან გასვლის საშუალება არ მისცა. მხოლოდ 10 ოქტომბერს სოხუმის სამხედრო ეკლესიაში წირვის შემდეგ მღვდელმთავარმა შეძლო ეშერაში ჩასვლა, მეორე დღეს კი იმავე სოფელში ახალაშენებული ეკლესია აკურთხა და გააგრძელა გზა ფსირცხისაკენ; მერე ჩავიდა ანუხვაში, 14 ოქტომბერს აქაც ახალი ეკლესია აკურთხა, 15-ში სოფლის 12 მაცხოვრებელი მოინათლა.

ცუდი ამინდი და სიცივეები გახდა მიზეზი ჩრდილო-დასავლეთისკენ მოგზაურობის შეწყვეტისა. გეგმით კი გათვალისწინებული იყო 1870 წ. გახსნილი სამრევლოების დათვალიერება და 4 ახალი ეკლესიის კურთხევა. მოგვიანებით ამის გაკეთება უფროს ბლალოჩინ დავით მაჭავარიანს დაევალა. მისიონერი 16 ოქტომბერს სოხუმში დაბრუნდა. 18-ში სოხუმის სასაფლაოს ეკლესიასთან ეპისკოპოსი გაბრიელი იაშტუხის, გუმისთის, აკაფის წარმომადგენლებს — 150 კაცს

(მოუნათლავებს) შეხვდა და დიდხანს ესაუბრა; 19-ში, გენერალ გეიმანის თხოვნით, ალექსანდროვსკაიას ბერძნული სამრევლო მოინახულა; ოცში დადგინდა რა დრანდის განახლებული ეკლესია, რომელსაც გენერალის ვის ცერემონია ეპ. გაბრიელმა 21 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში შეასრულა. 22 ოქტომბერს მან ვარჩეს ეკლესია აკურთხა და იმავე დღეს მდ. კოდორს გაღმა აძიუბუაში გადავიდა; 23 ოქტომბერს ჩავიდა კინდლში და მეორე დღეს სოფლის ახალი ეკლესია აკურთხა. 25-26 ოქტომბერს მეუფემ ჯგერდაში იქადაგა, სადაც მიმდინარე 1871 წელს მღვდელმონაზონ ათანასე ჟორდანისა ძალისხმევით მოხერხდა 60-70 მუსულმანის გაქრისტიანება. 27 ოქტომბერს ეპისკოპოსმა აკურთხა ქლოუს ეკლესია, რომელიც საკუთარი სახსრებით ი. ბარკალაიამ ააშენა (დოკ. 34); 28-30 ოქტომბერს იყო მოქვეში, ოჩამჩირეში, მუხურში, ჭუბურხინჯში; 30 ოქტომბრის საღამოს მეუფემ აფხაზეთი დატოვა.

როგორც წინა წლებში, ამჯერადაც ეპ. გაბრიელმა შეადგინა ანგარიში აფხაზეთში მოგზაურობის შესახებ.

1872 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა აფხაზეთი ზედიზედ უკვე მეხუთედ შემოიარა. სოხუმში 9 ოქტომბერს ჩაბრძანდა, ათში გაიცნო გენერალ ვ. გეიმანის შემცველელი პ. პ. კრავჩენკო. წინამორბედისაგან განსხვავებით, აფხაზეთის მღვდელმთავრის მისიონერულ მოგზაურობებში უშუალო მონაწილეობა მას ერთხელაც არ მიუღია.

11 ოქტომბერს მეუფე ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად გაემგზავრა გაგრაში; 12 ოქტომბერს გამთენიისას შხუნა გაგრის ნაპირს მიადგა. იმავე დღეს მეუფე გაგრიფშს და სოფელ კალდახვარის მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს მდებარე ნაწილს ესტუმრა,

გვიან სალამოს კი ბიჭვინთაში ჩავიდა. 13 ოქტომბერს აქ სწირა და შემდეგ გაემართა სოფ. კალდახვარის იმ ნაწილისაკენ, რომელიც მდ. ბზიფის მარცხენა მხარეს მდებარეობს; 14-19 ოქტომბერს მუჭუტუშის მარცხენა მხარეში, ზვანდრიფში, ლიხნი, აცი, ანუხვა, ფსირცხა და ეშერა მოინახულა, ოცში კი სოხუმში დაბრუნდა. 21 ოქტომბერს ეპ. გაბრიელი განყოფილების უფროსის მეუღლესთან — მ. კრავჩენკოსთან (რომელსაც იგი თბილისის კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტში ასწავლიდა) ერთად სოხუმის ქალთა სასწავლებელს ესტუმრა; 22 ოქტომბერს დრანდის ეკლესია დაათვალიერა. ამის შემდეგ ქრონოლოგიაში არის გარკვეული შეუსაბამობები. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი დრანდიდან ათარაში ჩავიდა, აქედან კი 21 ოქტომბერს(?) ჯგერდისაკენ გაემართა, ხოლო 22-ში(?) ჯგერდის ახალი ეკლესია აკურთხა. ნაშუადღევს ქლოუში, ხოლო სალამოს გუფში ჩავიდა. მეორე დღეს (ე.ი. 23 ოქტომბერს) მეუფე ცდილობდა, მოეგვარებინა გამწვავებული ურთიერთობა ოჩამჩირის ოლქის უფროს ზახაროვსა და დეკანოზ დავით მაჭავარიანს შორის. ამის შემდეგ ანგარიშში ნათქვამია, რომ 26 ოქტომბერს მოხდა გუფის ახალი ქვის ეკლესიის კურთხევა. რა ხდებოდა 24-25 ოქტომბერს, დოკუმენტიდან არ ჩანს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ანგარიშის გამოქვეყნებისას კორექტურული შეცდომა დაშვებული. სავარაუდოდ, ათარა ეპისკოპოსმა გაბრიელმა 23 ოქტომბერს (და არა 21-ში, როცა იგი სოხუმის ქალთა სასწავლებელს ესტუმრობდა) დატოვა, 24-ში ჯგერდის ეკლესია აკურთხა, 25-ში არკვევდა ურთიერთობას ზახაროვსა და მაჭავარიანს შორის, 26 ოქტომბერს კი ნამდვილად აკურთხა გუფის ახალი ეკლესია და სალამოსათვის ტყვარჩელში ჩავიდა. 27

ოქტომბერს ეპისკოპოსმა ოქუმი მოინახულა, მეორე დღეს ცხირის ეკლესია აკურთხა, 29 ოქტომბერს დაესწრო ღვთისმსახურებას ჭუბურხინჯში ^{ქუჩა} ^{ნაშენი} ^{წინ} შემდეგ აფხაზეთი დატოვა. გ. ი. ბ. წ. ი. მ. მ. მ. მ.

* * *

მუდმივად არსებობდა აფხაზეთის ეპარქიის განათლებული სასულიერო პირებით უზრუნველყოფის პრობლემა. მეფისნაცვლის დავალებით კავკასიის მთიელთა სამმართველო ცდილობდა ასეთი პირები თბილისის სასულიერო სემინარიაში მოეძია და ეპისკოპოს გაბრიელთან შეთანხმებით აფხაზეთში გაეგზავნა. ეპისკოპოსი გაბრიელი მოითხოვდა აფხაზეთში მძიმე მისიონერული შრომისათვის ყოველმხრივ მომზადებული სასულიერო პირების გაგზავნას. მას სასურველად მიაჩნდა დასავლეთ საქართველოს მკვიდრთაგან მათი შერჩევა, ვინაიდან იქაურები უკეთესად იტანდნენ აფხაზეთის კლიმატს; რუსეთიდან ღვთისმსახურთა მონვევა არასასურველად ესახებოდა როგორც ეპისკოპოს გაბრიელს, ისე თვით კავკასიის მთიელთა სამმართველოს. რუსულის მცოდნე განათლებულ პირთა უკმარისობის გამო აფხაზეთის ეპარქიის მმართველი არა მარტო 1868-1869 წლებში, არამედ შემდგომშიც იძულებული იყო ვაკანტურ ადგილებზე, არცთუ იშვიათად, მართალია, აფხაზური ენისა და ზნე-ჩვეულებების მცოდნე, მაგრამ მხოლოდ ოჯახური განათლების მქონე პირები დაენიშნა.

მართლმადიდებლობის გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა განათლებას, სასწავლო დაწესებულებების გახსნას. როცა ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1868 წ. მაის-ივნისში აფხაზეთი პირველად მოინახულა, სკოლები მხოლოდ სამურზაყანოში ნახა; დანარჩენ

აფხაზეთში არც ერთი სკოლა არ ფუნქციონირებდა. ეპისკოპოსმა ყველა სამრევლოსთან სკოლის გახსნის გეგმა წამოაყენა. 1868 წლის 13 აგვისტოს ~~ქვემოქვემო~~ ~~მა~~ ~~გაბრიელმა~~ ~~კავკასიაში~~ ~~მართლმადიდებლობის~~ ~~სახელმწიფო~~ ~~დგენი~~ საზოგადოების საბჭოს ოქუმში ქალთა სკოლისა და ოთხკლასიანი სასწავლებლის გახსნის შესახებ სამურზაყანოს საზოგადოების თხოვნა წარუდგინა.

სამურზაყანოს თავადაზნაურობისა და გლეხობის წარმომადგენელთა თხოვნა სოხუმში ქალთა სკოლისა და ოთხკლასიანი სასწავლებლის გახსნის შესახებ

1868 წლის 7 ივლისი

„ჩვენ, სრულიად სამურზაყანოს საზოგადოება, თავადაზნაურნი და გლეხნი ამ პირობის ხელწერილს გაძლევთ თქვენ, აფხაზეთის და სამურზაყანოს ეკლესიებთ უფროს ბლალოჩინს, დეკანოზს დავით მაჭავარიანს მას შინა, რომელ 1) აღსაშენებლად ქალების სასწავლებლის სახლისა ოქუმის დაბასა შინა გამოვიღოთ თვითოეულის კომლის თავზედ თავადაზნაურმან თითო მანეთი ფული, ხოლო გლეხმან — თითო აბაზი; და 2) შემდგომად სასწავლებლის სახლის აშენებისა, გარეშე სახელმწიფოდ მიღებულის მოსწავლე ქალებისა, ვინც თავის ქალებს შემოვიყვანთ მოხსენებულს სასწავლებელში, თვითოეულს წლის თავზედ ვაძლიოთ თავადაზნაურმან — თითო მოსწავლეში თითო მანეთი ფული, ხოლო გლეხმან თითო აბაზი. გარდა ამისა, ვინაიდგან ჩვენ ამ განათლებულს დროებაში შვილთა ჩვენთათვის არა საკმაოდ ვხედავთ მხოლოდ ორკლასიან სასწავლებელს ოქუმის დაბასა შინა, ამის გამო თანასწორ აღნიშნულის შეკრულობისა, წინაშე ოქუმის კეთილშობილთ საზოგადოება ვიკუთხით კვალად:

მას ზედა, რომელ უკეთეს ნაცვლად ახლანდელის ოქუ-
მის ორკლასიან შკოლისა, გაიხსნება ოთხკლასიანი
სასწავლებელი. მაშინ თანასწორ მინგრელიის კეთილეს
შობილთა საზოგადოებისა ორ-ორი კაპეიკო, მოლოცვის
ტი თვითოეულის მანეთისაგან სახელმწიფო ხაზინი-
დგან გადმოცემულისა ჩვენდამი სასყიდლად ყმათა
ჩვენთა შევსწიროთ, რასა შინა საკუთარი ხელითა ჩვე-
ნითა ვანერთ: ოქუმის, ჩხორთოლის, წარჩეს, მუხურის
და გუდავას სოფლების საზოგადო მცხოვრებთ ხელის
მიცემით და პირდაპირის თხოვნით მათ მაგიერ ხელ
ვანერ აზნაური ლუკა ლაკერბაია. ცხირის სოფლის სა-
ზოგადო მცხოვრებთ პირდაპირის თხოვნით და ხელ-
ჩამორთმევით მათ მაგიერათ ხელს ვანერ აზნაური
ბ. ლაკერბაია. ნაბაკევისა და თავილონის სოფლებთ
საზოგადო მცხოვრებთ ხელის მოცემით და პირისპირ
თხოვნით მათ მაგიერ ხელს ვანერ აზნაური პეტრე გა-
ბუნია.

საბერიოს სოფლის თავადაზნაურთ საზოგადო
მცხოვრებთ ხელის მოცემით ხელს ვანერ ზურაბ ჩხო-
ტუა.

ჭიბურხინჯის სოფლის საზოგადო მცხოვრებთ
ხელის მოცემით და პირდაპირ თხოვნით მათ მაგიერ
ხელს ვანერ აზნაური კვაჯი აქირთავა.

ბარლებისა და ოტობაიას სოფლებთ საზოგადო
მცხოვრებთ ხელის მოცემით და პირდაპირ თხოვნით
ხელს ვანერ მათ მაგიერ აზნაური პაულე თორდუვა.

გალის სოფლის საზოგადო მცხოვრებთ ხელის მო-
ცემით მათ მაგიერ ხელს ვანერ აზნაური გრიგოლი მა-
რლანია. საბერიოს სოფლის გლეხი საზოგადო მცხო-
ვრებთ ხელის მოცემით და თხოვნით ხელს ვანერთ
ჩუენ მახუ სიჭინავა და ჯგობო მალაზონია, რომელთა
უნერელობისა გამო მათის თხოვნით და ხელჩამორთ-

მევით მათ მაგიერ ხელს ვანერ კნიაზ გრიგორი ბატას
ძე შარვაშიძე.

საბერიოს სოფლის კნიაზ შერვაშიძეც მსა-
ზოგადო მცხოვრებთ ხელის მოცემით და შარვაშიძის
თხოვნით მათ მაგიერ ხელს ვანერ მე, მდივანბეგი მათი
ჯუკუ ჯინჯოლია; რადგან ამ ჯუკუ ჯინჯოლიამ წერა
არ იცოდა, ნაცვლად მისი, მისივე თხოვნით, მის მა-
გიერ ხელს ვანერ მე, ეგნატე ჯიქია. ბედიის საზოგადო
მცხოვრებთ თავადთ და აზნაურთ ხელის მოცემითა
ხელს ვანერ შტაბს-კაპიტან კნიაზ ბატა შერვაშიძე;
ბედიის სოფლის ყმებთ საზოგადო მცხოვრებთ ხელის
მოცემით და პირდაპირ თხოვნით მათ მაგიერ ხელს
ვანერ მე, მდივანბეგი მათი ქალაშათი ჯანჯულია და
რომაქვა კუპრავა. რადგან მათ წერა არ იციან, ნაც-
ვლად მათი — ხელს ვანერ მათი თხოვნით მათ მაგიერ
მე, აზნაური როსტომ ჭითანავა. დიხაზურგის სოფლის
მცხოვრებთ საზოგადო ხელის მოცემით და პირდა-
პირ თხოვნით ხელს ვანერთ აზნაურნი კაცი და ხირიმს
მარლანიები; რადგან მათ წერა არ იციან, მათ მაგიერ
მანდობენ ხელის მოწერას მიხაილ გიორგის ძეს გო-
გოხიას. უწერილობისა გამო აზნაურთ კაცი და ხირი-
ფსუ მარლანიებისა, მათის თხოვნით, მათ მაგიერ ხელს
ვანერ მიხაილ გიორგის ძე გოგოხია. რეფის და შეშე-
ლეთის სოფლებთ მცხოვრებთ საზოგადოების ხელის
მოცემით და პირდაპირ თხოვნით ხელს ვანერ პორუ-
ჩიკი კნიაზ იოანე ემუხვარი. რადგან ამან წერა არ იცო-
და, მის მაგიერ მისის თხოვნით ხელს ვანერ აზნაური
გიორგი დავითის ძე მაჭავარიანი“.

* * *

სკოლების სიმცირე საკუთრივ აფხაზეთში იმით იყო
გამონვეული, რომ რეგიონში არ მოიპოვებოდნენ რუ-

სული ენის მცოდნე პედაგოგები, გარედან (განსაკუთრებით რუსეთიდან) მათი მოზიდვა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა; ქართული სკოლების გახსნას კი ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად ამისა, სამღვდელოების წყალობით, ქართული ენა მაინც ინარჩუნებდა გარკვეულ პოზიციებს განათლების სფეროშიც, ვინაიდან პედაგოგთა უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ. ისინი ბავშვებს ქართულ წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ.

განათლების სფეროში აფხაზეთის მღვდელმთავრის გეგმები სრულად ვერ განხორციელდა ორი მთავარი მიზეზის — დაუფინანსებლობისა და ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი დიდი ქველმოქმედი გახლდათ. როგორი ხელმოჭერილიც იყო საკუთარი თავისთვის, ისეთივე გულუხვი და მონყალე ყოფილა უპოვართა და ქვრივ-ობოლთა მიმართ. მის დღიურებში შემორჩა ჩანანერები აფხაზეთში განუული ქველმოქმედების შესახებაც.

აფხაზეთში „მაზრის უფროსის სახლში“ ყოფნის დროს ერთი უსიამოვნო ფაქტიც მომხდარა. მოსამსახურემ ეპისკოპოს გაბრიელს 400 მანეთი მოჰპარა. როცა დამნაშავე იპოვეს და დეპეშით ჰკითხეს მღვდელმთავარს, როგორ დავსაჯოთო, მეუფემ უპასუხა, „დამნაშავეს აპატიეთ, ფული სოხუმის სასწავლებელს გადაეცით“. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, 1870 წლის 12 ივნისის ღამეს მოხდა, როცა მისიონერული მიზნით ლიხნში ჩასული ეპისკოპოსი ბიჭვინთის ოლქის უფროს ბუტინ დე კაცმანის სახლში გაჩერდა. 1870 წ. 19 აგვისტოს ოლქის უფროსი აფხაზეთის მღვდელმთავარს, უგზავნიდა რა 331,2 მანეთს, აცნობებდა,

რომ მისი მეუფების კუთვნილი ეს თანხა ჰაგვისტოს უპოვეს კაპიტან ფონ ნეიმანის (ოლქის უფროსის თანაშემწე) დენშჩიკს ს. ჟილინს (თუ ჟოლინს), გამეფებულ კაპიტან ჩუდინს ჩაუტარებია. ამოღებული თანხიდან, როგორც ბუტინ დე კაცმანი წერდა, დაუკავებიათ 30 მანეთი სოხუმის მთიელთა სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის, ეპისკოპოს გაბრიელის აღსაზრდელის სწავლის ქირის გადასახდელად; იმავე თანხიდან მთიელთა სკოლისათვის კიდევ 50 მანეთი გადაუხდიათ კონსტანტინე მარლანიას სახელზე. „თქვენთვის გაგზავნილი 331,2 მანეთის სრულად მიღების შესახებ თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას უმორჩილესად ვსთხოვ, მაცნობოთ, რადგანაც ამ ცნობის დედანი თან უნდა დაერთოს დენშჩიკ სემიონ ჟილინის საგამოძიებო საქმეს“. სავარაუდოდ, მეუფე გაბრიელმა დარჩენილი 321,2 მანეთიც სოხუმის მთიელთა სკოლას გადაურიცხა.

5 წლის განმავლობაში მეუფისა და მისი თანაშემწეების ძალისხმევით, 17800 ადამიანი მოინათლა, გაიხსნა 30-ზე მეტი ახალი ეკლესია. ეკლესიების მშენებლობისა თუ აღდგენის ასეთი მასშტაბები აფხაზეთს არ ახსოვს არც ადრე და მით უფრო, შემდგომ პერიოდში. ასეთი წარმატება ეპისკოპოს გაბრიელის სოფელ-სოფელ სიარულმა, მოსახლეობასთან შეხვედრებმა, ქადაგებებმა და საუბრებმა, აფხაზი ხალხის მიმართ გამომუყლავნებულმა სიყვარულმა განაპირობა.

ეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ ქადაგებებს ის წინასწარ არ ამზადებდა, არამედ ცდილობდა, გაეხადა ისინი „გასაგები, პრაქტიკული მსმენელთა სულისკვეთებისა და ხასიათის შესაბამისად“. მისიონერი ნაკლებად ცდილობდა მისი თანამედროვე აფხაზისათვის სრულიად გაუგებარი დოგმატური საკითხების ახს-



ნას და მთავარ ყურადღებას ამახვილებდა „ზნეობრივ მოძღვრებაზე მათ საჭიროებასთან მიმართებაში“. მათეს სახარების მიხედვით (თავი V) მეუფე ასწავლდა და როგორც მოყვასის სიყვარულს, ისე განსაკუთრებით, რას ნიშნავს გიყვარდეთ თქვენი მტერნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეს და ა. შ. უჩვენებდა, რომ ეს ყოველივე მკვეთრად განასხვავებდა ქრისტიანობას სხვა რელიგიებისაგან; ეპისკოპოსი გაბრიელი უხსნიდა მსმენელებს ათ მცნებას, საუბრობდა სამ სათნოებაზე — რწმენაზე, იმედსა და სიყვარულზე, სოფლად მათ გამოვლინებაზე ქადაგებდა შრომის, განათლების, სიყვარულის, ქურდობის, ყაჩაღობის, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ; „სამურზაყანოელები, განსაკუთრებით აფხაზები, არ გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით, ამიტომ ხალხს ვეუბნებოდი, რომ შრომაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობა, არამედ ნაწილობრივ სულიერი ხსნა“, — ნათქვამია 1868 წ. ანგარიშში. ქადაგების დაწყების წინ ეპისკოპოსი გაბრიელი ცდილობდა, თავიდანვე მსმენელთა კეთილგანწყობის მოპოვებას და მადლობას მოახსენებდა ხალხს შეკრებისათვის, უფლის სიტყვის მოსასმენად მოსვლისათვის მადლობას უხდოდა ახალმონათლულებსაც; ეუბნებოდა, რომ ნათლისღება განწმენდს, აკეთილშობილებს და ცხოვრებას უადვილებს ადამიანებს; ხშირად ესაუბრებოდა მრევლს ელემენტარულ საკითხებზე — რა არის ეკლესია, როგორ უნდა იდგეს ქრისტიანი ტაძარში, რა არის ხატი, ანთებული სანთელი, საკურთხეველი და ა.შ. ასწავლიდა პირჯვრის გადასახვას, განსაკუთრებით პატარებს, ჩუქნიდა მათ ჯვრებს.

შედგენილია ჯემალ გამახარიას „წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთის“ მიხედვით

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი


ქრისტიანული
ბიბლიოთეკა

სიყვარული


ღმრთისა და მოყვასისა არის ყოველთა უდიდესი მცნება, საძირკველი და წყარო ყოველთა სხვა მცნებათა. ჩვენი სულიერი ღირსება ღმრთისა და მოყვასის სიყვარულით განიზომება. ყოველი ნიჭი და სათნოება რომ გქონდეს, მაგრამ ღმერთისა და მოყვასის სიყვარული არ გაგაჩნდეს, ქრისტიანი ვერ იქნები.

სიყვარული ღმრთისა

სიყვარული ღმრთისა დიდი და პირველი მცნებაა ქრისტეს მოძღვრებისა და საფუძველი ქრისტიანული ცხოვრებისა. ამიტომაც უნდა ვზრუნავდეთ, რომ იგი არ შეირყეს ჩვენში და მასთან ერთად ჩვენი სულიერი ცხოვრებაც. როცა ჩვენ ვინმე გვიყვარს, ყოველთვის მასთან ახლოს ყოფა, მისი ხილვა და მისგან ნუგეშის მიღება გვსურს. ღმერთი კი უხილავია და მაშასადამე, ვერც ვისურვებთ, რომ იგი ჩვენს ახლოს იყოს. მაშ, რა სახით შეიძლება შეყვარება ღმრთისა? სიყვარული ღმრთისა ყოველივე იმის სიყვარულია, რაც ადამიანში, ან მის გარეთ კეთილი, წმინდა და ჭეშმარიტია — ღმერთი უმაღლესი სიკეთე, უმაღლესი სიწმინდე და უმაღლესი ჭეშმარიტებაა. მაშასადამე, ვისაც გულში სურვილი და მისწრაფება აქვს ამ სამი თვისებისაკენ, მას აქვს სიყვარული ღმრთისა. ღმრთის სიყვარული მაშინ გამოჩნდება, როდესაც ადამიანის გულში განუწყვეტელი ბრძოლა წარმოებს ბოროტსა და კეთილს, სიწმინდესა და უწმინდურებას შორის და როცა იგი ცდილობს სიცრუესა და უწმინდურებას მადლითა და ჭეშმარიტებით სძლიოს. იგივე ბრძოლა მადლსა და ცოდვას




შორის ამ სოფელშიც მიმდინარეობს. ღმრთისმოყვარე ისაა, ვინც ამ ბრძოლაში პირველის მხარეს იჭერს და მეორეს ემტერება. უმეტესად ღმრთის სიყვარულთმოყვასის სიყვარულით მულავნდება. როგორც ღმრთისმეტყველი გვასწავლის, თუ ადამიანმა მოყვასი ვერ შეიყვარა, რომელიც ყოველთვის მის წინაშეა, მით უმეტეს, ვერ შეიყვრებს ღმერთს, რომელიც არასოდეს უხილავს. საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ ღმრთის უპირველესი სახელი სიყვარულია და ვისაც სიყვარული არა აქვს, ის ღმერთს ვერ შეიცნობს. საღმრთო სჯული ღმრთის სიყვარულისკენ იმიტომ მოგვიწოდებს, რომ ეს ჩვენთვისაა სასარგებლო, რადგან ღმერთს ჩვენი სიყვარულით არაფერი შეემატება. თუ ღმერთზე ფიქრი ადამიანის გულში მუდმივად სუფევს, მაშინ იგი ცდილობს ღმრთის სიყვარულის ღირსი გახდეს. ეს ფიქრი და ზრუნვა მას განსწმენდს, განამდიდრებს, აღამაღლებს. როცა ვინმე გვიყვარს, მისი ქება გვიხარია, ხოლო ძაგება გვწყინს. ასევეა ღმერთთან მიმართებაშიც, ვისაც იგი ჭეშმარიტად უყვარს, უხარია მისი ქება-დიდების მოსმენა და ხილვა მისი სჯულის აღმსარებელისა და პირიქით, როცა ვინმე ღმერთზე მკრეხელურად ლაპარაკობს, დიდ წყენასა და მწუხარებას განიცდის. ღმრთის სიყვარული მისი მცნებების აღსრულებაში გამოიხატება. სახარების მცნება — შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, იმას კი არ ნიშნავს, რომ ამქვეყნად ღმრთის გარდა არავინ არ უნდა გვიყვარდეს, არამედ მხოლოდ იმას, რომ სიყვარული ღმრთისა ჩვენს გულში ყველა სხვა გრძნობაზე უმაღლესი და უმტკიცესი უნდა იყოს. ჩვენს ცხოვრებას მხოლოდ ღმრთის სიყვარული უნდა მართავდეს. სახარება ღმრთის სიყვარულს ჩვენგან ასევე ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა



მოითხოვს. პირველი ღმრთის სიყვარულის გრძნობისაგან განსხვავებულობაზე მიანიშნებს, რადგან ყოველი გრძნობა და გულისთქმა ხორციელ სურვილთანაა შეერთებული, ხოლო სიყვარული ღმრთისა წმიდა, სულიერი და ყოველგვარი ხორციელი გრძნობისაგან განშორებულია. გონებით კი ღმერთს კაცი მაშინ შეიყვარებს, როდესაც მასზე ხშირად ფიქრობს, მის თვისებებს, განგებულებასა და დიდებას წარმოიდგენს. თუ გვსურს ჩვენს გულში ღმრთის სიყვარული განმტკიცდეს, ხშირად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორ ვუყვარვართ მას და რამდენი განგებულება აღასრულა ჩვენი განათლებისა და ცხოვებისათვის.

მოყვასი

ერთმა სჯულისმცენიერმა ებრაელმა უფალს ჰკითხა, — ვინ არს მოყვასი ჩემდა? რადგან აინტერესებდა, ვინ უნდა შეეყვარებინა ისე, როგორც საკუთარი თავი, ებრაელები ხომ მოყვასად მხოლოდ თანამემამულეებსა და მონათესავეებს თვლიდნენ, სხვები კი მტრებად მიაჩნდათ. მაცხოვარმა მას სამარიტელზე იგავით უპასუხა. ჩვენც ხშირად ვეკითხებით ჩვენს თავს — ვინ არის ჩემი მოყვასი? ჩვენც გვაქვს ის ჩვეულება, რომ ადამიანები ორ ნაწილად გავყოთ, ზოგი მოყვარედ მივიჩნიოთ და ზოგი მტრად, ჩვენი ქვეყანა შეწუხებულია იმით, რომ ჩვენს შორის ერთობა, სიყვარული და ქრისტიანული ერთგულება არ არსებობს. ჩვენი ხალხი ასწილად ბედნიერი იქნებოდა ხორციელად და უმჯობესი სულიერად, მოყვრად და მტრად გაყოფის ნაცვლად ურთიერთსიყვარული რომ არსებობდეს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ძალა და სული სახარებისა ჩვენი გულის სიღრმეში ჯერაც არ შესულა, ჩვენი ბუნება და ჩვეულებანი მთლიანად ჯერაც არ




დაუმორჩილებია. სადაც განხეთქილება, შური და სიძულვილი სუფევს, იქ არ არის სული ქრისტიანობისა. ვინმემ შეიძლება იფიქროს: განა შესაძლებელია ყოველწლი კაცის შეყვარება იმგვარად, როგორც ჩვენ დღეს ვაქცეა? მა ან და-ძმა გვიყვარს? მაგრამ ვისაც თავისი ოჯახის წევრები გულწრფელად უყვარს, სხვათაც ადვილად შეიყვარებს. ჭეშმარიტ სიყვარულს ის თვისება აქვს, რომ იგი ადამიანის გულს აფართოებს, სულგრძელ ყოფს და მისგან ყოველგვარ შურსა და სიძულვილს განდევნის. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სულიერი ნათესაობა ხორციელზე უდიდესია. ძმა და მოყვარე მხოლოდ ხორციელადაა დაკავშირებული ჩვენთან, ხოლო ღმერთმა სულიერად ყოველი კაცი შეაერთა და თავის თავში ყველანი ძმად და მოყვარედ გვყო. მივხედოთ მონყალე სამარიტელს, რომელმაც გვაჩვენა, რა არის მოყვრობა და როგორ უნდა ასრულებდეს ქრისტიანი მცნებას მოყვასის სიყვარულისა. თუმცა დაჭრილი მისი მოძულე, მოშურნე და მტერი იყო, მაინც შეინყალა და რაც შეეძლო, შეენია კიდევ, მაშასადამე, ყოველი კაცი ჩვენი მოყვასი და ძმაა, უმეტესად კი, რა თქმა უნდა, უბედური და გაჭირვებული.

სიყვარული მტრისა

წარმართებსა და კერპთმსახურებს მტრის სიძულვილი და მათზე შურისძიება თითქმის დიდ სათნოებად მიაჩნდათ, ებრაელები კი, რომელთაც ღმრთისგან მიცემული სჯული ჰქონდათ, სიძულვილსა და შურისძიებას ცოდვად არ თვლიდნენ, რადგან თვით სჯული ასწავლიდა მათ: კბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ. მაცხოვარმა კი, როცა მისი მიმდევრებისაგან მტრების სიყვარული მოითხოვა (გიყუარდედ მტერნი თქუენნი), უმაღლესი მადლი და უმშვენიერესი სწავლა მოგვცა

და ამით გვაჩვენა, რომ ქრისტიანები სათნოებითა და ღირსებით სხვებზე აღმატებულნი უნდა იყვნენ. ისინი არიან ნათელნი სოფლისა, თესლი წმიდასა, ციხეა ქვეყნისა, მადლი ქვეყნისა. მოყვასთა და მეგობარეთა დაყვარებულნი წარმართებმაც და ებრაელებმაც იცოდნენ. ქრისტიანმა კი მტერიც უნდა შეიყვაროს და ამით დაამტკიცოს, რომ ზნეობრივად ყველაზე მაღლა დგას. თითქმის ორი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მაცხოვარმა ეს დიდებული და განსაცვიფრებელი სწავლა მოგვცა: გიყუარდე მტერი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მათ. მისმა მონაფებმა საქმით აღასრულეს ეს საკვირველი მცნება, რითაც დაამტკიცეს, რომ მისი აღსრულება შეუძლებელი არაა. ბევრი ფიქრობს, რომ, თუ მტერი შეიყვარა, იგი მას დაჩაგრავს და შეიძლება სიცოცხლეს კი წაართვას, ამიტომაც ცდილობენ, მტრობას მტრობა მიაგებონ, რითაც მტრობისა და შფოთის ცეცხლს კიდევ უფრო ალაგზნებენ. მაცხოვარი იმას კი არ მოითხოვს ჩვენგან, რომ მტერს თავი მივცეთ შესაჭმელად და თავის დასაცავად არც ერთი ზომა არ მივიღოთ; თუ მტერი დევნის და ავიწროებს ადამიანს, შეუძლია თავის დასაცავად ქრისტიანული, სჯულიერი და კანონიერი ზომები გამოიყენოს, მაგრამ სიყვარული მისი მაინც უნდა ჰქონდეს. მის დაჩაგრასა და წახდენას კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ ებრაელებოდეს. მტრის სიყვარული ქრისტიანული ცხოვრების ბოლო საფეხურია. თუ ქრისტიანი სარწმუნოების მაღალ საფეხურზე არ დგას, ამ მცნებას ვერ აღასრულებს. ვინმე იკითხავს, როგორ შეიძლება შეყვარება ბოროტი, უსამართლო და უსჯულო კაცისა, კაცი უნდა შეიყვარო, ღმრთის ქმნილება, შენი ძმა, ხოლო ბოროტება და უსამართლობა, რომელიც მის გულშია, უნდა გძულდეს. უდიდესი ნაწილი ჩვენი უბედურებისა მტრობისა

და სიძულვილისაგან მომდინარეობს, თუ მტრობასა და სიძულვილს სიყვარულით მოვსპობთ, ჩვენ შორის მშვიდობა, ერთობა, სინამდინდე და ბედნიერება გვურებს.



ქურდობის ცოდვა

პარვა, ანუ ქურდობა მარტო ის ნუ გგონია, რომ კაცი თავის მოყვასს მალვით, ძალადობით, ან პირდაპირ რაიმე ნივთს წაართმევს. პარვა არის ყოველი ისეთი მოქმედება, როდესაც შენ სიტყვით, ან საქმით მოყვასი რაიმეთი აზარალე, ან დააბრკოლე; ან შეიძლება პირდაპირი ზარალი არ მიგიყენებია, მაგრამ არც სიყვარული და შემწეობა გამოიჩინე. ის კაციც მპარავია, რომელმაც თავისი მოყვასისათვის მიცემული სიტყვა და პირობა არ აღასრულა და ამით ზარალი მიაყენა. საზოგადოდ რომ ვთქვათ, პირდაპირი ქურდისაგან კაცი როგორმე თავს დიაფარავს, პირობის დამრღვევისა და ცრუ კაცისაგან კი — ვერასოდეს. მაშასადამე, პირობის დარღვევა უფრო მცირე ცოდვა არ არის, ვიდრე პარვა. თუ გსურს პარვის მოზიარე არ იყო, ეცადე, რომ ან ისეთი პირობა არ დადო, რომლის აღსრულებაც არ შეგიძლია, ან თუ რაიმე პირობა აიღე შენს თავზე, ეცადე, რომ აღასრულო კიდევც. უეჭველია, რომ მპარავის მსგავსია ის სახელმწიფო მოსამსახურე, ანუ ჩინოვნიკი, რომელიც თავის თანამდებობრივ მოვალეობას დაუდევრად და არა ერთგულებით აღასრულებს; ჯამაგირი ან ჯილდო, რომელსაც იგი სახელმწიფოსაგან იღებს, მოპარულია ასეთი ჩინოვნიკის მიერ. ვაჭარი, რომელიც თავის საქონელს უზომო ფასს ადებს, ანუ კარგი საქონლის ნაცვლად ცუდს ასალებს და სრულ საფასურს იღებს, პირდაპირ მპარავთა შორის უნდა შეირაცხოს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ იქნებ მართლმ-

საჯული ღმრთის თვალთა წინაშე პირდაპირი ქურდი არც იყოს იმ ზომად ცოდვილი, ვითარცა ფარულად და მზაკვრებით აღმასრულებელნი პარვისა, ფარული ქურდები მოყვასთ უარეს ზარალს აყენებენ რადგან ისინი არავის ქურდად არ მიაჩნია, ხშირად კი ამ ქვეყანაზე პატივცემულნი და ამპარტავანნი არიან მოყვასთა შორის. მაგრამ ღმერთი ისე არ უყურებს ჩვენს მოქმედებას, ვითარცა კაცის მოკლე ჭკუა; ამიტომ გეშინოდეს და ეცადე, რომ ყოველი შენი მოქმედება პატიოსანი, უზაკველი და უვნებელი იყოს მოყვასთა შენთათვის. თუ შენ სიტყვით, ან საქმით ვინმე მოყვასთაგანი აცთუნე, ე.ი. ცოდვა ასწავლე, ცუდ საქმეში შეიყვანე და გარყვნილებას მიაჩვიე, ეს ასწილ უმნარესი ცოდვა იქნება, ვიდრე ნივთიერი ზარალი, რომელსაც ქურდი კაცს მიაყენებს; ამისთანა მოქმედება კაცის სულს საუკუნოდ წარწყმედს და საუკუნოდ ზარალში ჩააგდებს. ამიტომაც საღმრთო წერილი იტყვის: უმჯობესია კაცმა კისერზე ლოდი მოიკიდოს და თავი ზღვაში გადაიგდოს, ვიდრეღა აცთუნოს ერთი ამათ მცირეთაგანი. კაცმა რომ ყოველნაირი პარვა მოიძაგოს, ამის საუკეთესო საშუალება დაუცხრომელი შრომაა; ჯერ ერთი იმიტომ, რომ პარვის ცოდვის აღსასრულებლად მშრომელ კაცს თავისუფალ დრო არა აქვს; მეორეც იმისათვის, რომ მშრომელ კაცს ის უხარია და ის სიამოვნებს, რასაც თავის შრომით შეიძენს; მაგრამ ყოვლის უმჯობესი ის არის, რომ შრომა მის მოყვარეს რიგს, წესიერებას, კრძალვასა და ბეჯითობას აჩვევს. შრომის მოყვარე კაცს ჭკუა და გონება თავისი სამუშაოსკენ აქვს მიპყრობილი; ამიტომ მას, ვითარცა ყოველმხრივ შეზღუდულსა და დაცულ ციხეს, განსაცდელი ვერ სძლევს და მაცთური ვერ წარიტაცებს.

შრომა

კეთილმდგომარეობის საძირკველია და შრომის გარდა სხვა საშუალება არ არსებობს, რომ კაცმა ბედნიერება და კეთილდღეობა მოიპოვოს. ღმერთმა ქვეყანაზე შრომისა და გარჯისათვის დაბადა. კაცმა თავისი ბუნების ყველა საჭიროება და მოთხოვნილება შრომით უნდა დაიკმაყოფილოს, ხოლო ამისთვის მას ღმერთი შობიდანვე რომელიმე ნიჭს ან ღონეს აძლევს, რომ შრომა შეძლოს. ქვეყნისა და მთელი საზოგადოების სიმდიდრეც, განათლებაც და წარმატებაც კერძო პირთა შრომისა და მეცადინეობისაგან შედგება; ამიტომ ის პირი, რომელიც არაფერს არ აკეთებს, საქმესაც არ უნდა ჭამდეს. ზოგიერთები იმით იმართლებენ თავს, რომ შრომისათვის მზად ვართ, მაგრამ რა ვქნათ, საქმე ვერ გვიშოვნია, შესაფერისი სამუშაო არა გვაქვსო. ეს მიზეზი პატივსადაც არ არის. როგორ შეიძლება კაცმა საქმე ვერ იშოვნოს, თუკი შრომა მართლა არ ეზარება. ეს დაბრკოლება ისეთ პირებს შეემთხვევათ, რომლებიც თავის მოყვარენი არიან და დიდ-დიდ საქმეებს ეძიებენ, მცირე საქმეს კი არ კადრულობენ. ერთ ნამდვილ ამბავს მოგიყვებით, ერთხელ ერთმა უზომოდ მიდიდარმა ვაჭარმა, როცა დაბერდა და დასუსტდა, ყოველი თავისი საქმე მემკვიდრეს ჩააბარა, თვითონ კი ქალამნებს კერავდა და გლახაკებს ჩუქნიდა. როდესაც ჰკითხავდნენ, რა გაგიჭირდა ასეთი, რომ ქალამნებს კერავო? პასუხობდა: ამის მეტი საქმე აღარ შემიძლია და უსაქმოდ ყოფნა კი ცოდვად სწერიანო.

ეკლესია

ვინც ეკლესიას არ ეკუთვნის, ის ქრისტიანი არაა, რადგან იესო ქრისტეს მადლს ვერ მიიღებს. რა სახით გადმოგვცემს ეკლესია იესო ქრისტეს მადლს? პირველ



რიგში ნათლისღებით, შემდეგ სახარებისა და საერთოდ საღმრთო წერილის სწავლებით; რაც მთავარია, ეკლესია არა მხოლოდ იესო ქრისტეს მადლს გვეზიარებს, არამედ გვაერთებს მასთან, როცა უფლის ნებისა და ხორცს ვეზიარებით. ეკლესია არასოდეს დაგტოვებს ობლად, სიხარულისა და მწუხარების ჟამს, ჭირსა თუ ლხინში, წმინდა ეკლესია მიგიძღვის ლოცვით, კურთხევით, ნუგეშისცემით, მოძღვრებით. თუ ცოდვაში ჩავარდი, ეკლესია მიგიღებს ვითარცა შვილს და უკეთუ მოინანიებ, იესო ქრისტეს სახელით შენდობას მოგანიჭებს. თუ ავად გახდი, ეკლესია შენთვის ილოცებს, ზეთს აკურთხებს, იესო ქრისტეს სახელით გცხებს და სწეულებათა კურნებასა და ცოდვათა შენდობას მოგანიჭებს. როდესაც ამ სოფლიდან წახვალ, ეკლესია მიგიძღვის ლოცვითა და მსხვერპლის შეწირვითა და შენს სულს უფალს ავედრებს. და ბოლოს, როცა ყველა შენს მახლობელს დაავინყდები, ეკლესია მაშინაც არ დაგივინყებს, რადგან იგი გარდაცვლილთ ყველა წირვა-ლოცვის დროს იხსენიებს და მათ სულებს ღმერთს ავედრებს. ერთი სიტყვით, დაბადებიდან სიკვდილამდე ეკლესია, ვითარცა დედა, გივლის შენ და შენს ჭეშმარიტ მორწმუნედ გაზრდას ცდილობს; ეკლესია ადამიანთა შემაერთებელი, სიყვარულისა და ერთობის მასწავლებელია. ეს სოფელი და ამსოფლიური საქმე კაცს კაცისაგან განყოფს, განაშორებს, ხშირად კი გადაამტერებს კიდეც, ხოლო ეკლესია, პირიქით, შეაერთებს, დაახლოებს, კაცს კაცს შეაყვარებს. ეკლესიაში ყველანი ერთნი ვართ, ყველასათვის ერთი წირვა-ლოცვა სრულდება, ერთი ემბაზისაგან ვიღებთ ნათელს, ერთი ბარძიმისაგან ვიღებთ წმინდა ზიარებას. ყოველივე ამის სანაცვლოდ ჩვენც ერთგული და მორჩილი უნდა ვიყოთ მისი. ეკლესია ჩვენი დედაა, რა-




დგან მან გვშვა ჩვენ წმინდა ემბაზისაგან და სულიერი საზრდოთი გვზრდის. შვიდი საიდულოს აღსრულებით ჩვენ იგი სულიერ მადლს მოგვანიჭებს. მთავარი ქველმოქმედება ეკლესიისა ის არის, რომ მთავის შვილებს ერთმანეთს აყვარებს და ერთმანეთთან აერთებს. ამოო ნუთისოფელი ადამიანს ადამიანისაგან განაშორებს, ეკლესია კი, პირიქით, შეაერთებს. მაგრამ ეკლესიას მხოლოდ მათთვის მოაქვს სარგებლობა, განათლება და ცხოვნება, რომელნიც მის ხმას ისმენდნენ; სამყოფელი უფლისა არის ეკლესია, ანუ სახლი უფლისა. მართალია, მთელი ცა და ქვეყანა და ყოველი ადგილი უფლის სამყოფელი და სადგომია, მაგრამ ქვეყანასა ზედა უფლის უალრესი და უმახლობელესი სამყოფელი საყდარი, ანუ ეკლესიაა. იმიტომ, რომ ეკლესიაში არის მისი სიტყვა, სწავლა და ხატი; ეკლესიაში მისადმი შეინირება უსისხლო მსხვერპლი, ლოცვა და გალობა, მოკლედ, ეკლესია უფლის საკუთარი სადგომია, კაცი ლოცვითა და ღმრთის მადლით საყდარში უნდა ეძიებდეს ნუგეშს, ღონეს, მხნეობასა და ძლიერებას. ნეტარია ის კაცი, რომლის სულიც საყდარშია დამკვიდრებული, ე. ი. ეკლესიაში ხშირად დადის, მაგრამ როცა იქ არ იმყოფება, მაშინაც კი მისი სული და გული იქაა. ასეთი კაცი უკუნითი უკუნისამდე აქებს უფალს, აქებს იმისათვის, რომ ღმრთისგან დიდ მადლს იღებს. საყდარში კაცის სული და გული დამშვიდებული და დანყნარებულია, ხოლო სოფელში მარადის აღშფოთებული და მოუსვენებელი. კაცი, სოფლის ამოებითა და შფოთით დაღლილი და გატანჯული, საყდარში განისვენებს და ყოველ სოფლიურ ზრუნვასა და მწუხარებას ივიწყებს. საყდარი მწუხარე კაცის მანუგეშებელია და ყოველი კეთილი საქმისათვის განმალვიძებელი; საყდარი განმანათლებელია

და კაცის სულიერი გამზრდელი. სოფელი ადამიანებს
ჰყოფს, მოყვასს მოყვასისაგან განაშორებს, ეკლესია
კი შეაერთებს ყოველთა, რათა ერთითა და ერთ-
თითა გულითა უგალობდნენ და აქედანვე ერთსა სხე-
ციერსა ყოველთა მამასა და შემოქმედსა.

ეკლესიაში ლოცვისათვის

კაცი, რომელსაც ეკლესიაში მისვლა და წირვის
მოსმენა სურს, ამ საქმისათვის უნდა მოემზადოს. კვი-
რას, ეკლესიაში მისვლამდე, უნდა ეცადოს, რომ გული
და გონება ლოცვის მოსასმენად განაწყოს. თუ მან სო-
ფლის საზრუნავი ეკლესიაშიც შემოიტანა, რასაკვირ-
ველია, კარგად და სასარგებლოდ ველარ ილოცებს.
ტაძარში შესვლამდე ერთი წამით ჯერ ეზოში დაჯექი,
გონება მოიკრიბე და შენს თავს ჰკითხე, სად მიდიხარ?
ტაძარში ღმერთს უნდა წარუდგე, იქ შენი მოწმენი ან-
გელოზები და წმინდანები იქნებიან, უპირველეს ყო-
ვლისა, უნდა ეცადო, რომ ტაძარში შესვლისას ყვე-
ლასთან შერიგებული იყო და წყენა გულში არავისზე
გქონდეს. თუ ტაძარში ამსოფლიური ამაო შფოთითა
და საზრუნავებით შეპყრობილი შეხვალ, იქ შენი მხო-
ლოდ ხორცი იქნება, სული და გული კი სხვაგან. არც
თათრები და არც ურიები თავიანთ დღესასწაულებს
არ შეაგინებენ. ტაძარში შესული წინ დგომაზე ნუ
იფიქრებ, არამედ დუმილითა და კრძალულებით იდე-
ქი, ნუ დაგავიწყდება, სადა ხარ. ტაძარში ლაპარაკი,
აქეთ-იქით ყურება (და მით უმეტეს, სიარული), ერთ-
მანეთის თვალიერება ცოდვაა. ტაძარში უნდა ეცადო,
ის ლოცვები და წმინდა წერილის ადგილები მოისმინო,
რომელსაც იქ კითხულობენ. ქრისტიანული სჯული და
სწავლება იმ ლოცვებსა და საგალობლებშია გამოხა-
ტული, რომელთაც ეკლესიაში კითხულობენ და გალო-



ბენ. მაშასადამე, ვინც მათ გულისხმიერად ისმენს, შეიტყობს, რას წარმოადგენს ჩვენი სჯული და სწავლება ამასთან, ეკლესიაში მლოცველს გული გრილი უნდა უქონდეს. მან ან შიში უნდა იგრძნოს თავისი ცოდვებისა და უღირსობისათვის, ან მწუხრება, ან სიყვარული ღმრთისა, ან სიტკბოება და ნუგეში, ან სხვა რომელიმე სულიერი გრძნობა. ვინც ეკლესიაში გულგრილად დგას და არაფერს გრძნობს, მისი ლოცვაც გრილი და უნაყოფო იქნება. ლოცვა ისე უნდა უყვარდეს კაცს, როგორც მშვიერს საჭმელი და მწყურვალს — სასმელი. ჭეშმარიტი და გულმოდგინე ლოცვის შედეგი სულიერი წარმატება, გაუმჯობესებაა. ჭეშმარიტი ლოცვა ადამიანის გულს დაადნობს, ხასიათს გაუმჯობესებს, იგი ბოროტი გულის ვნებებს ისე დააღბობს, როგორც მზის სითბო თოვლსა და ყინვას, უკეთუ გული შენი ლოცვისაგან მოსვენებას და სიმშვიდეს იგრძნობს, უკეთუ ღმრთის და მოყვასის სიყვარული გაგებრდება, მაშასადამე, კეთილად გილოცია. თუ მართლაც გულმოდგინედ და მადლიანად ილოცე, ტაძრიდან გამოსულს მტერიც კი შეგებრალეება და მზად იქნები გადაეხვიო, ხოლო თუ მტრის მიმართ გულში კვლავ სიძულვილი და მტრობა იგრძენი, მაშინ იცოდე, რომ შენი ლოცვა ცრუ და უნაყოფო იყო. ხოლო იმ ქრისტიანებზე, როელნიც გამოვიდნენ თუ არა ტაძრიდან, უკვე მის ეზოში იწყებენ ჩხუბსა და ყვირილს, ვიტყვით, რომ მათ საერთოდ არ ულოციათ, რომ ტაძარში ისინი მხოლოდ რაღაც მოძრაობას აკეთებდნენ ხელებითა და საერთოდ, სხეულით.

ეკლესიაში ქცევისათვის

სამწუხაროდ, ეკლესიაში მორიდებით ქცევას მიჩვეულნი არა ვართ და რაც უფრო უარესია, არათუ

ერისკაცნი, არამედ თვით სამღვდელოდა, ეკლესიის მსახურთაც არ იციან ეკლესიაში ჯეროვნად მოქცევა. ისინი რომ ტაძარში ყოველთვის კრძალვით იდგნენ, ერისკაცებიც აუცილებლად ისწავლიდნენ მათ ტაძარ-კრძალვით დგომას წირვა-ლოცვაზე. საუბედუროდ, ისინი ამ ცუდ ჩვეულებას (ტაძარში შეუფერებელ ქცევას) თვით თავიანთ მოძღვართა შორის ხედავენ; ბზობის კვირა დღეს ტაძარში შესულმა მაცხოვარმა მისთვის უჩვეულო სიმკაცრე გამოიჩინა. როცა ტაძარში უწესობა და შფოთი იხილა, სიტყვიერი დარიგებისა და მშვიდი შეგონების ნაცვლად, მეფური უფლება მოიხმარა და ტაძრიდან გააძევა ყველა, ვინც უწესოდ იქცეოდა: მოვაჭრენი და შფოთის ამტეხნი; ფულის გადამხურდავებლებს მაგიდები დაუმხო და გაკიცხა: სახლსა ჩემსა სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქვაბ ავაზაკთა. მაცხოვარი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ეჩვენებინა, რა დიდი ცოდვაა ეკლესიაში უწესოდ ქცევა და შფოთი და იქ შესულებს როგორი შიში და კრძალვა გვმართებს. დაფიქრება იმაზე, როგორ ვიქცევით ტაძარში, ჩვენც გვჭირდება. განათლებული და წესიერი საზოგადოება ტაძარში ისე დგას და ლოცულობს, რომ იქ შესული იფიქრებს, ტაძარი ცარიელიაო. ჩვენთან კი, განსაკუთრებით სოფლებში, ისეთი ხმაური და მოსვლა-მოსვლაა, რომ იფიქრებ, აქ ხალხი არა ლოცვისათვის, არამედ სალაპარაკოდ და ახალი ამბების შესატყობად არის მოსულიო. ტაძარი სხვა არაფერია, თუ არა სახლი სალოცველი. ამიტომ, როცა ტაძარში წამოსასვლელად ემზადები, გულში ლოცვის სურვილის გარდა, არაფერი არ უნდა გქონდეს, განათლებულ ქვეყნებში ღმრთისმოყვარენი ეკლესიაში ყველაზე სადა სამოსელს იცვამენ, კუთხეში დადგებიან და წირვას ისე მოისმენენ, რომ ერთ სიტყვასაც არ ეტყვიან

არავის. ჩვენთან კი ეკლესიაში წამომსვლელნი სწავლ-
დაგულოდ იცვამენ და ერთ კაცსაც კი არ დატოვებენ
ისე, რომ არ დაელაპარაკონ. როგორ უნდა იმუშაოთ? არა
დროს ჩვენს გულში წირვისა და ლოცვის მადლი? არა
განწყობილებაც გაქვს იმ დღეს, ტაძარშიც იმ განწყო-
ბილებით მოდი, თუ მხიარული გუნება-განწყობილება
გაქვს, მხიარულად შედი ტაძარში და ღმერთს მადლო-
ბა შესწირე მონიჭებული სიხარულისათვის.

*წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან
გამოკრებილნი სწავლანი. შემდგენლები: გვანცა
კობლატაძე და გრიგოლ რუხაძე, თბ., 2002 წ.*

აფხაზეთის ეპოქაში მოღვაწეობის ბოლო წლები

გაბრიელ ეპისკოპოსი აფხაზეთის მკვიდრ ახალ-მონათლულებს თითქმის ყველგან არიგებდა, უარი ეთქვათ გავრცელებულ წეს-ჩვეულებაზე და არ მიეთხოვებინათ ქალიშვილი მუსლიმზე, თუ სიძე არ მონათლებოდა, ასევე მოენათლათ მუსლიმი რძალი, ცოლ-ქმარს დიდხანს არ ეცხოვრა ჯვრისწერის გარეშე, დროულად მოენათლათ ბავშვები, მიეცათ მათთვის ქრისტიანული სახელები. მეუფე ავალეზდა ქრისტიანებს, თავიანთი ცხოვრების სუფთა წესით ეჩვენებინათ მაგალითი სხვა აღმსარებლობის ადამიანებისათვის და ამ გზით მოეხდინათ მათზე კეთილი ზეგავლენა. თავისი ნათლულებისაგან (ასეთები მრავლად ჰყავდა აფხაზეთში) მოითხოვდა, ყოფილიყვნენ სანიმუშო ქრისტიანები და ნათლია არ შეერცხვინათ. ორ ნათლულს — ცნობილი თავადების — სალიბეი (ვასილ) ანჩაბაძისა და მისოუსტ მარშანიას ვაჟებს — ქუთაისში საკუთარი ხარჯით ზრდიდა.

ქადაგებების დროს ეპისკოპოსი გაბრიელი, როგორც წესი, ქრისტიანებს და მუსლიმებს ჯერ ცალცალკე ესაუბრებოდა, მერე კი ყველას ერთად მიმართავდა. მაჰმადიანებთან საუბრისას მოჰყავდა მაგალითები და არგუმენტები გაქრისტიანების სასარგებლოდ. ყველაზე ხშირად წინაპრებისაკენ აპელირებდა, შეახსენებდა მუსლიმ აფხაზებს, რომ

ისინი ქრისტიანული ქვეყნის (რასაც უძველესი ტაძრების სიმრავლე ადასტურებდა) შვილები და ქრისტიანი წინაპრების შთამომავალი არიან. 1870 წელს დრანდელებს ისიც კი შეახსენა, რომ დრანდის მონასტრის კუთვნილ მიწებზე ცხოვრობდნენ; შესაბამისად, მათი ვალია დაკარგული რწმენის აღდგენა, წინაპართა ფესვებისაკენ მიბრუნება. ეს არგუმენტი განსაკუთრებული დამაჯერებლობით უღერდა ბიჭვინთის, ფსირცხის, დრანდისა და მოქვის ტაძრების ფონზე. პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ XIX საუკუნის აფხაზთა დიდ ნაწილს არცთუ ისე შორეული წინაპრები კავკასიის ქედს გაღმა ეგულებოდათ.

კიდევ ერთ არგუმენტს ქრისტიანობის სასარგებლოდ მეუფე უშუალოდ აფხაზთა ყოფა-ცხოვრებას უკავშირებდა; ამტკიცებდა, რომ მართლმადიდებლობის დაცემამ კეთილდღეობის დაცემა, შფოთი და მღელვარებები გამოიწვია; ქრისტიანობის აღდგენას კი, პირიქით, ახალი, მშვიდი, წყნარი, განათლებული და ბედნიერი ცხოვრების დაწყება მოჰყვა; აფხაზები და სამურზაყანოელები მართლმადიდებლობაში უნდა ხედავდნენ მომავალ ხსნას და კეთილდღეობას, — ბრძანებდა ეპისკოპოსი გაბრიელი; ნათქვამის საილუსტრაციოდ მოჰყავდა მაგალითები აფხაზთა მაშინდელი უნუგეშო მდგომარეობიდან, ვითარებას განვითარებულ ქრისტიანულ ქვეყნებში ჩამორჩენილი მუსლიმური თურქეთის პირობებთან ადარებდა. აქედან გამომდინარე, აჩვენებდა ქრისტიანობის უპირატესობას და არავის ურჩევდა ოსმალეთში გადასახლებას. 70-იანი წლების დასაწყისში, როცა აფხაზობა მასობრივად ინათლებოდა, როცა სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სოფლები, ოჯახებიც კი არ იყო ერთგვაროვანი, მეუ-


ფე ცდილობდა, დაერწმუნებინა მუსლიმები, რომ მათი მონათვლა ხელს შეუწყობდა თანხმობას მეზობლებთან, ახლობლებთან, ოჯახში.

აფხაზეთში, განსაკუთრებით სპეციალურად პატივს სცემდნენ სწავლა-განათლებას, განათლებულ ადამიანს, უყვარდათ ასეთ პიროვნებებთან საუბარი მსოფლიო პოლიტიკაზე, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, ზოგადად მეცნიერებაზე და ა.შ. ამ მხრივ წარმოუდგენელი იყო მათთვის უკეთესი თანამოსაუბრე, ვიდრე ფართოდ განსწავლული ეპისკოპოსი გაბრიელი. აფხაზეთის მკვიდრთა ამ თვისებას, ცნობისმოყვარეობას მეუფე ძირითადი ანუ მისიონერული მიზნის მისაღწევად იყენებდა. იმერეთშიც არაერთხელ შემინიშნავს, — წერდა მეუფე, რომ „სოფლად ყველა ფენის მაცხოვრებელს, განსაკუთრებით თავადაზნაურობას, ძალიან უყვარს პოლიტიკური ხასიათის საუბარი ევროპულ ქვეყნებზე, აგრეთვე უახლესი ცივილიზაციის ყველა საოცარ გამოგონებაზე — რკინიგზებზე, ტელეგრაფებზე, გემებზე და სხვა; ჰქონდათ რა გადაჭარბებული შეხედულება ჩემს განათლებაზე და ნასწავლობაზე, ეგონათ რა, რომ ჩემთვის დოსკონალურად ცნობილია ყველა ქვეყნის ყოფის უმცირესი წვრილმანები, აგრეთვე ყველა მეცნიერების არსი დედამიწაზე, ცდილობდნენ, სადაც ახერხებდნენ, ჩემს გამონვევას ამ საგნებზე სასაუბროდ და ინტერესით უსმენდნენ ჩემს მონაყოლს. მე ყოველთვის ვცდილობდი, საკუთარი მიზნების მისაღწევად მესარგებლა მოსახლეობის ასეთი ცნობისმოყვარეობით, სახელდობრ, ევროპულ ცივილიზაციაზე ჩემი საუბრებით ყოველთვის ვცდილობდი, მსმენელებში აღმეძრა რწმენა, რომ ხალხთა ბედნიერება და წარმატება მომდინარეობს

და დაფუძნებულია განათლებაზე, შრომაზე, ნესრი-
გზე და მოქალაქეობრიობაზე.

ქრისტიანობის უპირატესობის საჩვენებლად მას შემდეგ
მადიანებთან საუბრისას ეპისკოპოსს ხშირად მოსეცა
ვდა ცოცხალი მაგალითები თვით აფხაზთა ყოფიდან,
თანაც ისეთი მაგალითები, რომელთა შესახებ მათ
ისედაც ბევრი რამ სმენოდათ. ერთ-ერთი იყო ჰასან
მარლანიას (1863 წელს მიხეილ შერვაშიძემ იგი აბ-
ჟუს მმართველად დანიშნა ამ თანამდებობიდან გან-
თავისუფლებული გრ. შერვაშიძის ნაცვლად) ოჯახის
ბედი. ამ მოურჯულებელმა მაჰმადიანმა ფსირცხაში
საკუთარი სახლის მშენებლობისას სიმონ კანანელის
ტაძრის ნანგრევებიდან აღებული თლილი ქვები გა-
მოიყენა, თუმცა ყველა, მათ შორის აფხაზეთის მთა-
ვარი მიხეილ შერვაშიძე, ურჩევდა, ეს არ გაეკეთებინა.
მან არავის დაუჯერა, მაგრამ როგორც კი თავის აშენე-
ბულ სახლში საცხოვრებლად შევიდა, მაშინვე დაიწყო
მისი ოჯახური უბედურებები ჯერ უფროსი ვაჟის, შემ-
დეგ სხვა შვილების გარდაცვალებით; ბოლოს, მთელი
ოჯახით თურქეთში გადასახლდა. მისი ერთი შვილი
იქიდან დაბრუნდა, მიიღო ქრისტიანობა, მამისეული
სახლი კი ეკლესიას გადასცა. „თვით ეს ისტორია, —
წერდა მეუფე, — რომელიც აფხაზეთში უკანასკნელი
მცხოვრებისთვისაც არის ცნობილი, მე, სხვათა შო-
რის, შევახსენე მსმენელს შესაფერისი დარიგებებით“.

ზოგადად ეპისკოპოს გაბრიელის დამოკიდებულე-
ბა აფხაზი ხალხისადმი იყო კეთილგანწყობილი და ეს
არაერთხელ მჟღავნდება წარმოდგენილ მასალებში.
მას ანუხებდა ამ ფიზიკურად და სულიერად ლამაზი
ხალხის ბედი, ფიქრობდა მის ხვალისდელ დღეზე. 1871
წლის ოქტომბერში ქლოუდან მოქვისაკენ მიმავალი
მღვდელმთავარი ყურადღებით აკვირდებოდა თავის



გამცილებელ ახალგაზრდა აფხაზ ცხენდნებს. ანკურიშში კი ჩანერა: „შეუძლებელია სიამოვნების გარეშე უყურო ამ მოხდენილ მარჯვე ახალგაზრდებს, ვინც ასე გატაცებით ნავარდობდნენ ცხენებზე, მაგრამ სიამოვნების გრძნობას ძალაუნებურად ერთვის ეჭვი და შიში მათი მომავლის წინაშე. ბუნებამ ისინი უხვად დააჯილდოვა ფიზიკური ჯანმრთელობით და სილამაზით, აგრეთვე საკმაოდ ჩინებული სულიერი თვისებებით, მაგრამ აღზრდის, სწავლისა და განათლების გარეშე ეს ყველაფერი ჩაქრება ან მიიღებს უკუღმართ განვითარებას“. მეუფეს მხედველობაში ჰქონდა დიდწილად უსაქმურობით გამოწვეული ქურდობა, ყაჩაღობა და ა.შ.

გაბრიელ ეპისკოპოსის მოგზაურობა აფხაზეთში რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, აფხაზეთში ქრისტიანული ეკლესია, სამღვდელოების წარმომადგენლები, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ომის შემდგომ პერიოდში ეპისკოპოსი გაბრიელი აფხაზეთში პირველად 1879 წელს ჩავიდა; ეპარქიის მიმოხილვა 10 მაისს საბეროში დაიწყო. 11-16 მაისს მოინახულა ჭუბურხინჯის, დიხაზურგის, ოტობაიის, ბარლების, რეფის, მუხურისა და გუდავის სამრევლოები. ყველა შეხვედრას დაესწრო დიდძალი ხალხი, რომელმაც ყურადღებით მოისმინა მღვდელმთავრის დარიგებები; უფრო მეტად მეუფეს ბავშვების (არა მხოლოდ მოსწავლეების) მიერ ლოცვების ზეპირად ცოდნა ესიამოვნა, რისთვისაც მათ საჩუქრად პატარა ჯვრები გადასცა.

17 მაისს ეპისკოპოსმა ერთი წლის წინ გარდაცვლილი აღმასხიტ მარშანიას სულის მოსახსენებელი

პარაკლისი გადაიხადა ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში, მომდევნო ორი დღის განმავლობაში დაესწრო და დეტალურად აღწერა თავადის წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები, მიცვალებულის დასაძლავის აფხაზური წეს-ჩვეულებები.

20-21 მაისს ეპ. გაბრიელმა სწირა მოქვის ტაძარში, რომლის ფანჯრები, ასევე კანკელი 1877 წელს მომხვდურებს გაუნადგურებიათ. მოქვში იყვნენ ჩამოსული მორწმუნეები ჭლოუდანაც. საკმაო რაოდენობით შეკრებილ ხალხს მეუფე ომის მძიმე შედეგებზე ესაუბრა (თარჯიმნობდა გენერალი გრიგოლ შერვაშიძე); შეახსენა მათ, რომ თურქებმა "გაძარცვეს და დაწვეს ყველა სახლი და ეკლესია, მერე კი აფხაზთა მეტი ნაწილი მოტყუებითა და ძალადობით თურქეთში გადაასახლეს, არ მისცეს რა არანაირი საშუალება არსებობისათვის. აფხაზები მეტწილად დაილუპნენ იქ შიმშილისა და სიცივისაგან, დანარჩენებს მხოლოდ სურდათ და სურთ უკან, აფხაზეთში გადმოსახლება".

21 მაისს მეუფე ჩავიდა ს. ეშქეტში, სადაც ეკლესია და მღვდელ ტიტვინიძის სახლი ომის დროს დაუნგრევიათ. 22 მაისს აფხაზეთის ეპარქიის მმართველი ეწვია სოფ. გუფს, ასევე ტყვარჩელს, სადაც ბლომად შეკრებილი ხალხი დიდხანს უსმენდა მისიონერის დარიგებებს. სოხუმსა და მის ჩრდილო-დასავლეთით გამგზავრება მღვდელმთავარმა მიზანშეუწონლად მიიჩნია, ვინაიდან ეს რეგიონი მთლიანად აოხრებული, ეკლესიები დამწვარი, ხალხის უმეტესობა კი გადასახლებული იყო. მან სამურზაყანოში დაბრუნება გადაწყვიტა; 24-27 მაისს ესტუმრა ბედიას, სოხუმსა და გალს.

კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საიუბილეო (50 წლისთავთან დაკავ-

შირებით) კრებულში დაფიქსირებულია ცნობა 1881 წლის 17 მაისიდან 3 ივნისამდე აფხაზეთში ეპისკოპოს გაბრიელის მიერ განხორციელებული მონასტრული მოგზაურობის შესახებ ამ მოგზაურობის ამსახველი მასალა.

1886 წლის სექტემბრის ბოლოს ეპისკოპოსი გაბრიელი აფხაზეთს უკანასკნელად ეწვია. ამჯერად ეგზარქოსისაგან ჰქონდა დავალებული დრანდის მონასტრის კურთხევა. მისი დაფუძნების ნებართვა ათონელმა ბერებმა 1880 წელს რუსეთის მთავრობას სთხოვეს. აფხაზეთის მღვდელმთავარმა ეგზარქოსის დავალება შეასრულა — მონასტრის კურთხევა 27 სექტემბერს რუსეთიდან ჩამოყვანილი მომლოცველებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანდასწრებით ჩატარდა. მეორე დღეს ეპ. გაბრიელმა სოხუმის საკათედრო ტაძარში პირველად და უკანასკნელად სწირა, რომლის დასრულების შემდეგ სიტყვით მიმართა ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას. სოხუმელი პედაგოგი ანთიმოზ ჯუღელი ამის შესახებ წერდა: „მქადაგებელი, მართალი უნდა მოგახსენოთ, მოციქულთ შესადარია. ყოველ წამში ახალსა და ახალს აზრს და ჭეშმარიტებას იტყვის“. მისივე გადმოცემით, მეუფეს უთქვამს: „ამ ეკლესიაში დღეს მე პირველად და უკანასკნელად ვსწირე; ყველა აქ მყოფს გემშვიდობებით. ან ჩემ მაგიერად სხვა მღვდელმთავარი გეყოლებათ“. მას მადლობა გამოუცხადებია აფხაზეთის სამღვდლოებისათვის, რომლის ხელშეწყობითაც მთელი აფხაზეთი გაქრისტიანდებოდა, რომ არა 1877-1878 წლების ომი; ასევე პატივი მიუგია გენერალ ვ. გეიმანის ხსოვნისათვის. „მშვიდობით“, — ასე უბრძანებია ბოლოს ეპისკოპოსს და „თითქმის ყველა იქ მდგომთა თვალთაგან ცრემლები გადმოლვარეს“.

ჟურნალ „მწყემსის“ კორესპონდენცია:

„აფხაზეთის დრანდის განახლებული ძველი ტაძრის
კურთხევა იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად უმღერეს
დღლო გაბრიელისაგან და მისი უკანასკნელი კლდეცა
აფხაზეთის სამწყსოსადმი“

26-28 სექტემბერი 1886 წ.

დიდი ხანი არ არის, რაც უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ საჭიროდ დაინახა, რათა აფხაზეთში დამოუკიდებელი ეპარქია დაარსებულიყო. ამ ეპარქიაში მსახურობდნენ თავდაპირველად შემდეგი მწყემსთ-მთავრები: გერმანე, გერონტი და ალექსანდრე, დღეს ქართლის ვიკარი, ეპისკოპოსი გორისა. მაგრამ ეს მწყემსთ-მთავრები დიდი ხნობით არ დარჩენილან ამ ეპარქიაში სხვადასხვა გარემოებათა გამო. ამ უკანასკნელს დროს უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგულებით ეს ეპარქია შეუერთდა იმერეთის ეპარქიას და აი ეს 18 წელიწადია, რაც ყოვლად სამღვდლო გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, განაგებს ამ ეპარქიას და დაულალავად ავრცელებს აფხაზეთში ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას. ამ 18 წლის განმავლობაში ყოვლად სამღვდლო გაბრიელის დაულალავი მოქმედების წყალობით 19 ათას მოსლემან აფხაზეთში მიიღეს ქრისტიანობა და მოინათლნენ. ყოვლად სამღვდლო გაბრიელის დაულალავი მეცადინეობით ამ 18 წლის განმავლობაში ამ ნახევრობით გამაჰმადიანებულს ქვეყანაში აღშენდნენ ბევრი ეკკლესიები ახლად და მასთან განახლებულ იქმნენ ბევრს ადგილას ძველი ეკკლესიები. ველურნი აფხაზეთი, რომელთ შორის უნინ საშიშო იყო მოგზაურობაც, ისე მოარბილა ქრისტეს სწავლა-მოძღვრებამ, რომ ისინი დიდის სიხარულითა და თანაგრძნობით ეგებებოდნენ ქრის-

ტეს სწავლა-მოდღვრების მქადაგებელთ. ერთი სიტყვით, ყოვლად სამღვდლო გაბრიელის ენერჯიულმა მოღვაწეობამ იქამდის მიაღწია, რომ ეს უკანასკნელი რუს-ოსმალოს ჩხუბი რომ არ მომხდარიყო, პეტროპოლის მკვიდრნი მთლად გაქრისტიანდებოდნენ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ამას ვერ ვხედავთ. თითქმის ყველა გაქრისტიანებული აფხაზები, მის შემდეგ, რაც რუსის ჯარმა მიატოვა აფხაზეთი, ძალათი წაყვანილ იქმნენ სათათრეთში ტყვედ. აფხაზებთან ერთად ამ უბედურს დროს ბევრი იმერლებიც და მეგრელებიც, რომლებიც ამ დროს აფხაზეთში სცხოვრობდნენ, იქმნენ ტყვედ წაყვანილნი. იმ აფხაზებთაგან, რომლებიც ტყვედ წაყვანილ იქმნენ სათათრეთში, ზოგმა, რომელნიც ჯერ კიდევ კარგად არ იყვნენ დამკვიდრებულნი ქრისტიანობაში, ისევ მაჰმადის აღსარება მიიღეს; ზოგმა, რომელნიც სრულიად მოკლებულნი იყვნენ ქრისტიანულ სწავლა-დარიგებას, თითქმის მთლიანად დაჰკარგეს ყოველივე სარწმუნოება, ზოგმა მათგანმა კი დღემდის მტკიცედ დაიცო ქრისტიანობა.

ჩხუბის შემდეგ, ჩვენდა სასიხარულოდ, აღმოჩნდნენ ზოგიერთი შეძლებულნი პირნი, რომელთაც ხელახლად განიზრახეს აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელება. ამ აოხრებულ ქვეყანაში ხელახლავ იწყეს ახალი ტაძრების შენება და ძველების განახლება. ამ ტაძრებიდგან ისევ მოისმა ქადაგებითი სიტყვა. ეს ზემოთ მოხსენებულნი პირნი არიან ახალი ათონის მონასტრის რუსის ბერები, რომელნიც შესანიშნავნი არიან თავისი ენერჯიით და მოღვაწეობით.

„ძმანო, მართლადიდებელნიო ქრისტიანენო, უკანასკნელი წირვის აღსრულება მაღირსა ღმერთმა დღეს თქვენს შორის. ბერებმა მშვენივრად განაახლეს შესანიშნავი ძველი დრანდის ტაძარი, რომელიც ჯერ

კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში იყო დრანდის ეპის-
კოპოსების საკრებულო ტაძრად. 27 წარსულ ენკენის-
თვეს მოხდა ამ ტაძრის კურთხევა, ხოლო ეხლა კურთხე-
თხეს მონასტერი. გასაოცარი იყო, რომ ამ მონასტრის
კურთხევის დროს შეიკრიბნენ რუსების მრავალნი
მლოცველნი. მონასტრის კურთხევა შეასრულა ყო-
ვლად სამღვდელო გაბრიელმა დეკანოზ დავით მაჭა-
ვარიანის და ადგილობითი სხვა მღვდლებითურთ.
ტაძრის კურთხევის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ
წარმოსთქვა სიტყვა. 28 ენკენისთვეს, კვირას, ყო-
ვლად სამღვდელო გაბრიელმა სწირა სოხუმის საკრე-
ბულო ტაძარში. წირვის გათავეების შემდეგ წარმოთქ-
ვა მან შემდეგი გამოსამშვიდობებელი სიტყვა: „ძმანო,
მართლადიდებელნო ქრისტიანენო, უკანასკნელი
წირვის აღსრულება მაღირსა ღმერთმა დღეს თქვენს
შორის ამ ახალ ტაძარში. უკანასკნელად შევსწირე
ღმერთს უსისხლო მსხვერპლი უკეთილ-მსახურესის
ხელმწიფე იმპერატორისათვის, თქვენთვის და ყველა
მართლ-მადიდებელი ქრისტიანეთათვის. თვრამეტი
წელიწადი მეტია, რაც ღვთის შემწეობით ვიშრომე
ამ ქვეყანაში. მივაქცევ რა თქვენდამი უკანასკნელსა
სიტყვასა, ვალად ვრაცხ უგულითადესი მადლობა შე-
გწიროთ ყველა მათ, რომელნიც სიტყვით და საქმით,
რჩევით და თავისი შრომით, თავისი თანაგრძნობით
და ნივთიერის დახმარებით ხელს უწყობდნენ ქრის-
ტიანობის საქმეს ამ ქვეყანაში. და პირველად: ვმად-
ლობ და ვლოცავ იმ მწყემსთ, რომელნიც დღესაც
ცოცხალნი არიან და ეხლაც მოღვაწეობენ ქრისტეს
ყანაში და ყველაზე უფრო ამ მწყემსთა წინამძღვარს,
შენ, დეკანოზო მ. დავით! რომელიც თავიდგანვე მოუ-
შორებლად და დაუღალავად მოღვაწეობდი ამა ქვეყა-
ნაში სასარგებლოდ მართლ-მადიდებელ ეკლესიისა.

უმალლესმა მთავრობამ უწყის შენი მოღვაწეობა, რომელიც ღირსეულად არის მისგან დაფასებული, და ეს უნდა იყოს შენი მანუგეშებელი. პირველ რეზულტატად ვიტყვი, რომ ყოველნი მწყემსნი, რომელთაც ქველად უმსახურნიათ და ან რომელნიც დღეს მსახურებენ ამა ქვეყანაში, მოღვაწეობდნენ შეძლებისა და გვარად და მათი ღვაწლი მით უმეტეს თანაგრძნობის და პატივისცემის ღირსია, რომ ისინი ამ ქვეყანაში მსახურების დროს ბევრს სიღარიბეს, მწუხარებას და ავადმყოფობას ითმენდნენ და დღესაც ითმენენ. მეორეთ, დიდის გრძნობით ვიგონებ უკვე გარდაცვალებულთა, საერო ნოდების პირთა, რომელთაც ბევრი დახმარება აღმოუჩინეს ამ ქვეყანაში მართლმადიდებლობის გავრცელებას. ყველაზე უფრო ვიგონებ და სიკვდილამდის არ დავივიწყებ ჩემს ღვთისაღმი ვედრებაში განსვენებულს მონასა ღვთისა, ამ ქვეყანაში უფროსად ყოფილს, ვასილი ალექსანდრეს ძე გეიმანს, რომელიც დიდ შემწეობას აძლევდა სამღვდლოებას, რომ მათ ამ ქვეყანაში გაეგრძელებიათ ქრისტეს სწავლა. გეიმანი რამდენად შესანიშნავი იყო როგორც კარგი ადმინისტრატორი და მამაცი მხედარი, იმდენად შესანიშნავი იყო როგორც დიდი ღვთისმოყვარე და ქრისტიანი. მან კარგად იცოდა, რომ აფხაზის გულის მოგება უფრო შეიძლება ალერსით და ამით უფრო გავრცელდება მათში ქრისტიანობაც. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება სიბრალულით არ მოვიგონო ბევრი მწყემსნი, რომელნიც აქაური ცუდი ჰაერის მსხვერპლად გახდნენ და რომელთაც, დაჰკარგეს რა მთელი სახლობა და შვილები, ადრე დაქვრივდნენ, და ან თავიანთი სიკვდილის შემდეგ დაუტოვებიათ ქვრივები და ობლები. ჩემს წმინდა მოვალეობად ვრაცხ ვმონმო მთელი ქვეყნის წინაშე, რომ ამ მწყემსთა თვრამეტი წლის შრომას



არ ჩაუვლია უსარგებლოდ; ღმერთმა მათი შრომა დაა-
ჯილდოვა მით, რომ 19 ათასი აფხაზი გაქრისტიანდ-
ნენ. ამ უკანასკნელი ჩხუბის დროს რომ თათრები სწავ-
შესეულიყვნენ აფხაზეთში და ძალათ არ წაეყვანათ
სათათრეთში ახლად მონათლულნი აფხაზები, საფი-
ქრებელია, რომ აქამომდე ყველა აფხაზები მართლმა-
დიდებელნი ქრისტიანენი იქმნებოდნენ. დასასრულს,
გადმოგცემთ თქვენ, ძმანო, ჩემს უკანასკნელს მწყემ-
სთ-მთავრულ დარიგებას. დღეს ნაკითხული სახარე-
ბისაგან თქვენ გაიგონეთ, თუ რა მტკიცე და ცხოველი
სარწმუნოება ჰქონდა უბრალო ქანანელ ქალსა. თვით
მაცხოვარს გაუკვირდა მისი სარწმუნოება და თქვა:
ჰოი დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი! 75
ქრისტესადმი ცხოველი და მტკიცე სარწმუნოება —
აი, ერთად ერთი საშუალება ჩვენი განწმენდისა და
ცხოვნებისა! თუ კაცს არა აქვს მტკიცე და მხურვალე
სარწმუნოება, მას არ შეუძლია ქრისტიანე იყოს, კი-
დეც რომ მონათლული იყოს, დადიოდეს ეკლესიაში
და ზიარობდეს. საუბედუროთ, ახლანდელ ქრისტიან-
ეთა არა აქვსთ ამისთანა სარწმუნოება! მოციქულის
იოანნე ღვთისმეტყველის სიტყვისამებრ, ისინი არც
მხურვალე არიან და არც ცივნი, არამედ ისე მოთბი-
ლონი არიან! ამ ქვეყანაში, სადაც დღეს კიდევ ბევრნი
მკვიდრნი არიან მოუნათლავნი და რომელნიც მონათ-
ლულნი არიან, კიდევ მტკიცედ არ არიან დამკვიდრე-
ბულნი სარწმუნოებაში. განსაკუთრებით სამწუხაროა
და საშიშო, როცა ჩვენ უწინდელთა ქრისტიანეთა,
განსაკუთრებით რომელნიცა აქა ვმსახურებთ და უმ-
ფროსობთ, არა გვაქვს ცხოველი და მხურვალე სარწ-
მუნოება. ამიტომ ამ ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენს
წინაშე: განაცხოველეთ თქვენს გულში სარწმუნოება,
უჩვენეთ აქაურებს კეთილი მაგალითი ქრისტიანუ-

ლი ცხოვრებისა, გადმოიბირეთ ისინი მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი ერთი მხოლოდ კეთილი საქმეებით. ამით თქვენ ყველაზე უკეთესად აღსრულდებით თქვენს სამოქალაქოსაცა და ქრისტიანულ ვალეობას — ამინ”.

ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. თითქმის ეკლესიაში ყველა მდგომით თვალთაგან გადმოღვარეს ცრემლები. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მსმენელთ ეს სიტყვა ესმოდათ იმისთანა კაცის პირიდან, რომელმაც ამდენი თავის შრომა და ძალა არ დაიშურნა ამ თვრამეტი წლის განმავლობაში, რომ ქრისტეს სწავლა მოეფინა ამ გაუნათლებელ ქვეყანაში.

„მწყემსი“, 1886, 30 ოქტომბერი 30, გვ. 7-9.

* * *

1886 წლის 3 დეკემბერს უწმინდესმა სინოდმა საქართველოს ეგზარქოსს გამოუგზავნა ბრძანებულება იმპერატორის მიერ იმავე წლის 29 ნოემბერს სოხუმის ეპისკოპოსად არქიმანდრიტ გენადის (პავლინსკი) დამტკიცების შესახებ. 22 დეკემბერს მოხდა მისი ხელდასხმა. 28 დეკემბერს კი მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანიკემ გენადი პავლინსკი სოხუმის ეპისკოპოსად აკურთხა. 1887 წ. 15 თებერვალს ახალმა ეპისკოპოსმა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ახალ ათონში ჩამოსვლის შესახებ აცნობა. ამ დღიდან ეპისკოპოსი გაბრიელი სოხუმის ეპარქიის მმართველის მოვალეობისაგან ფაქტობრივადაც განთავისუფლდა.

აფხაზეთის ეპარქიის მმართველად მეუფე გაბრიელმა ოფიციალურად 18 წელი (რეალურად თითქმის 20) იმსახურა. ეს იყო მთელი ეპოქა რეგიონის



სარწმუნოებრივ ისტორიაში. მეუფის წმინდა სახელ-
თან სამუდამოდ იქნება დაკავშირებული აფხაზეთში
ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელება, რამაც უკიდურეს
წილად განაპირობა აფხაზთა არა მხოლოდ სულიერი,
არამედ ფიზიკური ხსნა.

*შედგენილია ჯემალ გამახარიას „წმინდა
მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და
აფხაზეთის“ მიხედვით*

წმინდა მღვდელმთავრის ამ ქვეყნიდან გასვლა

1895 წელს გაბრიელს იმერეთის ეპარქიაში მღვდელმთავრობის 35 წელი შეუსრულდა. ქართველმა ინტელიგენციამ ამ თარიღის აღნიშვნისთვის დიდი მზადება წამოიწყო. გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ იუბილე არ შედგა მღვდელმთავრის ავადმყოფობის გამო, გადატანილმა მწუხარებამ, დაუღალავმა მოღვაწეობამ და ასაკმა თავისი გაიტანა...

ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო წელს ეპისკოპოსი გაბრიელი უფრო მეტად მლოცველი გახდა. როგორც კი საქმეებისგან მოიცილიდა, მაშინვე ლოცვად დგებოდა. ღამით ძილს წყვეტდა, დგებოდა, პირს დაიბანდა და ლოცვას იწყებდა და გათენებამდე ლოცულობდა. 23 იანვარს ავადმყოფობის გამო ისე ცუდად გახდა, რომ უკვე თითქმის ვეღარ საუბრობდა. ამქვეყნიდან გასვლის დღეს გამუდმებით იმეორებდა: „ღმერთო, მონყალე მექმენ მე ცოდვილსა“. სულის ამოსვლის დროსაც კი იმეორებდა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. საოცარია, რომ წმინდა მღვდელმთავარს ნათესავეებისათვის შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირდა, ამ სიტყვებს კი თავისუფლად ამბობდა.


26 იანვარს, დილით, ეკლესიების ზარების სამგლოვიარო ხმამ ყველას აუნყა მათი საყვარელი მღვდელ-

მთავრის გარდაცვალება. ამ დღეს ძალინ ცუდი ამინ-
დი იყო. ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ ქალაქშიც
კი შეკრული იყო გზები. მიუხედავად უამინდობისა და
უგზობისა, მაინც უამრავი ხალხი მიანყდა მღვდელმ-
თავრის სახლს, რომ თაყვანი ეცათ ეპისკოპოსის წმინ-
და სხეულისათვის. რადგან უამინდობისა და უგზო-
ბის გამო წმინდა მღვდელმთავრის ცხედრის გელათში
წასვენება და დაკრძალვა ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ
გადაუწყვეტიან, გაზაფხულამდე დაეცადათ, ვიდრე
გზები არ გაიხსნებოდა.

3 თებერვალს, დილით წმინდა გაბრიელ ეპის-
კოპოსის სახლში ალავერდის ეპისკოპოს ბესარიონის
წინამძღოლობით მთელი ქალაქისა და ახლომახლო
სოფლების სამღვდელოება შეიკრიბა. ეკლესიები სამ-
გლოვიარო ზარებს რეკდნენ. ეპისკოპოსის ცხედარი
სახლიდან ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადაასვენ-
ნეს. პროცესიას უამრავი ხალხი ესწრებოდა. დიდთო-
ვლობის გამო ხალხს გადაადგილება უჭირდა. როგორც
მელიტონ კელენჯერიძე წერს, ხალხი უფრო შენობის
სახურავებით მიდიოდა, ვიდრე ძირს, ქუჩაზე. ტაძარში
წირვა აღსრულდა ალავერდელი ეპისკოპოსის ბესა-
რიონის მიერ. წესი აუგეს წმინდა მღვდელმთავარს.

* * *

„ამა წლის 26 იანვარს, ნაშუალამევს ორს საათზე,
მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაი-
ცვალა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ოცდათხუთ-
მეტი წლის ფრიად ძნელი და მომლალავი სამსახურის
შემდეგ. ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა წარსულის
წლის ივნისის თვეში გამოითხოვა უმაღლესი სასუ-
ლიერო მთავრობისაგან ორი თვით სამსახურიდან დას-
ვენება. მათ მეუფებას იმერეთის ეპარქიის მართვის



დროს ერთხელაც არ გამოუთხოვია მთავრობისგან სამსახურიდგან დროებით დასვენება, და ეხლაც ძლივს დაეთანხმა ექიმების რჩევას, რომელთაც შენიშნეს, რომ მისი მეუფება მეტის მეტი დაქანცულობის მინდესმა სინოდმა მისცა მას ორი თვით სამსახურიდან მოსვენება. ერთი თვე ყოვლად სამღვდლო გაბრიელმა გაატარა ბორჯომში, რომლის მშვენიერი ჰავა თვალსაჩინოდ რგებს ისეთ ავადმყოფებს, რომელნიც მომეტებული შრომისაგან არიან დაქანცულნი. ერთი თვე გაატარა გელათში, მაგრამ ამ თავისუფლების დროსაც მისი მეუფება მუდამ თავის ეპარქიის საქმეებზე ფიქრობდა და მისი ჯავრი ანუხებდა. ორი თვის შემდეგ სხვა და სხვა ავადმყოფობას და სისუსტეს, რომელიც შედეგი იყო მათი მეუფების დაღლილობისა, თან დაერთო რალაცა გამოურკვეველი გულის წუხილი, რომლის გამო მათ მეუფებას არ ჰქონდა ძილი და მოსვენება და მეცადინეობაც უძნელდებოდა. ამისთვის მათმა მეუფებამ გადასწყვიტა სრულიად თავი დაენებებია სამსახურისთვის და მოსვენებით ეცხოვრა, მაგრამ მასთან დაახლოვებული და ერთგული პირების რჩევით და ექიმების დარწმუნებით, რომ მათი მეუფება ხანგრძლივი მოსვენების შემდეგ გამომთელდა, ხელმეორეთ გამოითხოვა მათმა მეუფებამ უწმინდესი სინოდისგან ექვსი თვით სამსახურისგან განთავისუფლება, ამ დროის განმავლობაში მათი მეუფება ორ გზის გაცივდა და ამ გაცივებამ მომეტებულად დაასუსტა ყოვლად სამღვდლო, უკანასკნელად მათი მეუფება 18 იანვარს გაცივდა. ამ დღიდან მათ მეუფებას დრო გამოშვებით აცივებდა და სიცხე 40 გრ. მეტი ჰქონდა ხოლმე, ექიმებმა ყოველივე საშუალება იხმარეს, რომ სიცხეს დაენია, მაგრამ ვერ მოახერხეს. მათ მეუფებას დაეკარგა მადა და სრულიად შეიძულა საჭმელ-სასმელი.

ამ დღიდან ყველანი დარწმუნდნენ, რომ მათი საფუარე-
ლი მღვდელმთავარი მალე საუკუნოდ გამოეთხოვებო-
და თავის სამწყსოს, მათმა მეუფებამ ავადმყოფობის
დროს რამდენიმეჯერ მიიღო წმინდა ზიარებები. *ქვემოთ*
დეკანოზი დ. ლამბაძიძე „მწყემსი“. 1896 წ, 2

გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო ტფილისი, 11 თებერვალი, ილია ჭავჭავაძე

სტირის და გლოვობს მთელი საქართველო. მართ-
ლადაც უნდა იტიროს და იგლოვოს. დაკარგვაც არის
და დაკარგვაც. დღეს საქართველომ დაჰკარგა ერთი
იმისთანა დიდებული კაცი, რომელიც არამც თუ ჩვენ-
ში, საცა ასე იშვიათია კაცური კაცობა, სხვაგან ყველ-
განაც, საცა დიდბუნებოვანება ადამიანისა ხშირია,
იქაც კი ამისთანა კაცი სასახელოა და თავმოსანონებე-
ლი მთელის ერისათვის.

აღარა გვყავს ჩვენი სასიქადულო, ჩვენი გათქმუ-
ლი და სამართლიანად სადიდებელი მღვდელმთავა-
რი, ყოვლად ბრწყინვალე და პატიოსანი ეპისკოპოსი
გაბრიელ. როცა რომელისამე ერის სიკეთე გნებავთ
დაანახვოთ ვისმე, ერის აღმატებულობა დააჯეროთ,
სწორედ ამისთანა კაცებს დაასახელებენ ხოლმე, აი, ამ
ერს ამისთანა კაცები ჰყავსო. ამისთანა კაცების ჩამო-
თვლით ერის კაცობას ზომავენ. დღეს ჩვენ ამისთანა
კაცი დავკარგეთ და მოდით, ნუ იტირებთ, ნუ იგლო-
ვთ!..

ვაი, რომ ჯერ, როცა ამისთანა კაცი საფლავში არ
ჩაგვისვენებია, როცა მისი წმინდა გვამი თითქმის არც
კი გაციებულა, როცა მისი კუბო ჯერ კიდევ თვალწინ
გვისვენია და ველით, საუკუნოდ სახსენებელი ვუ-
თხრათ ცრემლითა და გოდებითა, — ჩვენი რუსული
გაზეთი „კავკაზი“, გვიგინებს მიცვალებულსა, მთე-

ლის საქართველოს წმინდა ცრემლში ურევს უნდოდურს დორბლს ილია ხონელისას და ზედ აყრის ჯერ არ გაციებულს გვამსა.

ჩვენ ვიცით, საიდამა სტკივა ჭიანჭი კბილი ილია ხონელს და ის ჭიანი კბილი რისთვის გამოჰკრა ამ პატიოსანს გვამსა, რომელსაც არც კი დააცალა მიჰბარებოდა მინას. მაგრამ ის კი არ ვიცით, ჩვენი „კავკაზი“ რას გადაგვკიდებია და არ გვაცლის იმოდენას მაინც, რომ ჩვენი სასიქადულო მიცვალებული დავმარხოთ შხამდაუსხმელად ილია ხონელის ცილისწამებისაგან.


რა უნდოდა ეთქვა „კავკაზს“ იმით, რომ ჯერ ამბობს, განსვენებული იყო „უნიჭიერესი და სახელოვანი მღვდელმთავარი საქართველოს ეკკლესიისაო“ და მერე უმატებს — როგორც ადმინისტრატორი კი არ ვარგოდაო. მითამ უკეთესი ქართველიც კი უარესი ადმინისტრატორიაო, განა? თუ მართლა ნიჭიერი და ყველაზე მეტად გათქმული ქართველი მღვდელ-მთავარი ადმინისტრატორად არ ვარგა, ცხადია ამაზე ნაკლები რა ადმინისტრატორი იქნება. ამისი თქმა უნდოდა განა?

შესაძლოა, უნიჭიერესი და სახელოვანი მღვდელმთავარი მართლა კარგი ადმინისტრატორი არ იყოს, ამაზე, რა თქმა უნდა, გძელი ქსელი გაიბმის ლაპარაკისა, მაგრამ ამ შემთხვევაში, რაკი იმისთანა მართლა სახელოვანს და უნიჭიერეს მღვდელმთავარზე, როგორიც განსვენებული ბძანდებოდა, სიტყვა ჩამოაგდო „კავკაზმა“, უბრალო წესი მართებულობისა ითხოვდა, საბუთიც ეჩვენებინა, ერთი რამ საბუთი და არ აჰყოლოდა ამისთანაებში ყოვლად ცნობილს ავყიობას და ენაჭარტალობას იმისთანა კაცისას, როგორიც ილია ხონელია.

თუნდ ცოტა ხანს დავუფეროთ „კავკაზს“, რომ განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსი ცუდი ადმინისტრატორი ყოფილა და რამოდენადაც ეს მართალია, „კავკაზის“ ნამუსზე მივაგდოთ. საქმე ის არის, რომ თხოთ: განა მარტო ეს გვაკმარა!.. ჩვენი მშვიდობიანი გულმართალი, ჩვეულებრივ წყნარი, ყოველის გაჭირბულის გამკითხველი და შემწყნარებელი, სათნოებით და მადლით სავსე განათლებული მღვდელმთავარი, „კავკაზის“ სიტყვით, ერთი ახირებული, რალაც გულღვარძლიანი კაცი გამოდის. იგი მისთანა მძიმე ხასიათისა ყოფილა, რომ კაცი თურმე ვერ მიეკარებოდა. ეს ცოტაა: იგი დესპოტურის ბუნებისაც ყოფილა და ამის გამო ისეთი რალაცეები ჩაუდენია, რომ სამართლიანად დაერქვაო „მაჩხუბარი, თუ მეომარი ბერმონაზონიო“. არც ეს აკმარა „კავკაზმა“: ყველას ეჭვის თვალით უყურებდა, ყველას ზედ მიესევოდა თუ გამოეკიდებოდაო, ყველასთან საომარ ფეხზე იდგაო, ესე იგი, ყველას ეჩხუბებოდაო და სხვანი და სხვანი.

საბუთი, საბუთი!.. ბ-ნო რედაქტორო!.. ყოველ ამაზე საბუთი გვიჩვენეთ, საბუთი! უსაბუთოდ ვერ გაგაქელვინებთ ამისთანა კაცს, ვერ გაგაუპატიურებინებთ გრძნობას საკუთარის ღირსებისას მთელის საქართველოსას. ეგ კაცი ჩვენი სახელი იყო და არის, ჩვენი ღირსება იყო, არის და იქნება კიდევც, ვიდრე ქვეყანაზე სიტყვა „სამართალი“ არ გაუქმდება ისე, როგორც გაუუქმებია იგი თქვენს საყვარელ ილია ხონელს, რომლის პირითაც მოგვდგომიხართ და საყვარელს მკვდარსაც არ გვამარხვინებთ შუუგინებლად. აქ ან საბუთი, ან ბოდიში!.. სხვა არარა დაანწყნარებს აღშფოთებულს გულს პატიოსანის კაცისას.

რა გინდ იფიქროს „კავკაზმა“, ჩვენ კი არავის არ შევაგინებინებთ იმისთანა კაცს, როგორც ჩვენ-



და სასახელოდ და სასიქადულოდ მოგვივლინა ღმერთმა და ან ნაგვართვა და რომელიც მიჩნეულია უკეთესს მღვდელმთავრად არამცხეთაში, არამედ ბევრგან სხვაგან. არავის შეუძლებოდა ჩვენს ძვირფასს მკვდარს, ჩვენს წმინდა ცხედარს, რომლის კუბოსაც დღეს მუხლმოდრეკით პატივისაცემს დიდი და პატარა. ამისთანა უსაბუთოდ ავად ხსენებას ყოვლად ღირსეულის კაცისას, რომლის სახელსაც ყოველი ქართველი, ილია ხონელის გარდა, დიდი პატივით და სასოებით იხსენებს, რომლის წმინდა გვამსაც მთელი საქართველო თავისს ცრემლს ადენს, უიმისოდ ვერ შევარჩინებ ვერავის, რომ ჩვენი სრული ზიზღი, ჩვენი სამართლიანი წყევლა-კრულვა არ შევუთვალოთ.

ამისთანა ამბებმა განუკითხველად არ უნდა ჩაიაროს. თუ „კავკაზს“ ცალკე ადამიანის ღირსების გრძნობა არაფრად მიაჩნია და არ ერიდება უსაბუთოდ მის გათელვას და შებლაღვას, ამ შემთხვევაში პატივი მაინც უნდა შეენახა, სხვა არა იყო რა, მთელის საქართველოს ერისა, რომელსაც სამართლიანად მიაჩნია ლოცვა-კურთხევით გამოეთხოვოს სამუდამოდ თავისს სასიქადულო და დიდებულს კაცსა და ილია ხონელის უწმინდურ დორბლით არ ცდილიყო შეებილწა ჯერ თითქმის არგაციებული მცხედარი.

ნუთუ „კავკაზს“ ჰგონია, რომ გრძნობა ღირსებისა საქართველოს ერს იმოდენად გაღვიძებული არა აქვს, რომ გაუპატიურებად არ მიიღოს ესეთი უგვანო, უმართებულო, უწმინდური, უშვერი თელვა და გინება მისი, რასაც იგი დღეს თავისს სიქადულად და სახელად სთვლის და საუკუნოდ ესალმება გლოვითა და ტირილითა.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი

„სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

წყალობითა ღვთისათა, მივალნიე რა ცხელად ცხელებამდი, მაგრამ მყოფმა სრულს მეხსიერებასა შინა, განვიზრახე დაწერა წინ და წინვე ამ ჩემი ანდერძისა.

პირველად, ვსთხოვ ყველას, ვინც მე მიცნობდა, შენდობას, რაშიც მე ისინი შევანუხე, ანუ შეიძლება, ვისმე მივაყენე შეურაცხყოფა, ვუყავი უსამართლობა, ჩემი მხრივ შევეუნდობ ყველას, ვინც მე დამალონა, მანყენია, მომაყენა უსამართლობა...

მეორედ, ვმადლობ და ვლოცავ ყველას, ჩემ ყოფილ სამწყსოსა შინა, რომელნიც გამოითხოვენ ღვთისგან წყალობას, მშვიდობას და ცხოვნებას. სულით და გულით ვმადლობ ყველას, ვინც მე მომაგო მოწყალება, შემწეობა და სიყვარული. ვმადლობ და ვლოცავ ყველა ჩემ ყოფილ თანამოსამსახურეთ საკურთხეველში და ეპარქიების მართვაში, ჩემ მორჩილებაში მყოფთ მოსამსახურეთ, რომელთაგან ბევრნი თავდადებით და მოთმინებით შემომსუბუქებდენ მე უძღურებასა ჩემსა.

მესამედ, ვვედრები ყველას, ვისთანაც მიაღწევს ამბავი ჩემი გარდაცვალებისა, აღავლინოს ღვთისადმი ლოცვა ჩემი ცოდვილი სულისთვის. ხოლო ღვთის მსახურ პირებსა ზედა სასოება მიძევს, რომ იგინი შეასრულებენ წირვასაც ჩვენთვის, მომგონებლნი იმისა, რომ თითქმის მათ ყველას ჩემგან მიუღია ხელდასხმა.

მეოთხედ, ჩემ ხორციელ ნათესავთ ვუანდერძებ, მარადის სწავლობდენ, შრომობდენ, პატიოსნად და წმინდად ემსახურებოდნენ ღმერთს, მეფეს და მოყვასთ, ცხოვრობდენ თანხმობით, საჭიროებაში ეწეოდენ ერთი მეორეს, ახსოვდეთ, რომ მათი წინაპარნი უძვე-

ლეს დროიდან იყვნენ საკურთხევლის მოსამსახურენო და ცხოვრობდენ შრომით.

რაც შემედლო, სიცოცხლეში ვენეოდი მარადე წუხილე მათაც, რათა ყოველთვის ლოცულობდენსუღმისაძეგს ჩემისა.

ვთხოვ, ვისაც შეეხება, ჩემი ანდერძის ეს ნაწილი წაიკითხოს წმ. ლიტურგიის ბოლოს წესის აგების წინ“.

ანდერძი ქონებისა და ფულების შესახებ, რაც სიკვდილის შემდეგ დამრჩება

„წმინდა ხატებში ორი, მაცხოვრისა და ღვთისმშობლისა, მოჭედილები, დაიკიდოს ჩემი საფლავის თავზე კედელზე გაუქრობელი ლამპრით, რომელიც ახლაც მათ წინ ანთია. სხვა ხატები, აგრეთვე საეკლესიო წიგნებიც, როგორც სლავიანური, აგრეთვე ქართული, გაგზავნილ იქმნას სოფელ ბახვის ეკლესიაში. ძვირფასი პანალია, ხელმწიფე იმპერატორის მიერ ბოძებული ჩემთვის, აგრეთვე ძვირფასი საარქიმანდრიტო ჯვარი, რომელსაც მე ღვთისმსახურებაზე ვატარებდი, ბრილიანტებით შემკული, შემინირავს ქუთაისის საკათედრო ტაძრისთვის. მეორე პანალია, რომელიც უკეთესი იქნება, მიერთვას უპირატესს არქიელს, რომელიც დაესწრება ჩემ წესის აგებაზე, გარდა ფულით შესაფერისი დაჯილდოებისა შრომისათვის. მესამე პანალია მიერთვას მეორე მღვდელმთავარს, თუ ასეთი დაესწრება მაშინ, ფულით საჩუქართან ერთად; და თუ არ დაესწრება მეორე ეპისკოპოსი, პანალია გადაეცეს იმავე ქუთაისის საკრებულო ტაძარს. თუ ჩემ შემდეგ დარჩება გვარიანად ახალი ანაფორები და კაბები, ებოდოს ისინი სასულიერო მსახურთ: არხიმანდრიტებს, დეკანოზებს და მთავარ დიაკვნებს ფულით საჩუქართან ერთად, დანარჩენ დაბალ წევრებს კრებულისას კი

ფულის საჩუქარი. დანარჩენი, არა ძვირფასი სხვა და სხვა სასწავლებლების ღარიბ მონაფეებს. მაგრამ, ვგრძნობდი რა, რომ ასეთი დახმარება არის დარღვევა და შემთხვევითი, მე ვცდილობდი აგრეთვე შევქმნიყნა თანხა, რათა მისი სარგებელი მუდამ მოხმარებოდა ღარიბებს. აქედან ვუტოვებ ქვემოთ სასწავლებლებს და საქველმოქმედო საზოგადოებებს:

1. შენახული ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში 12,000 მან გირავნობით ფურცლებად ბახვის სასოფლო სკოლის შესანახად, რომელიც დიდი ხანია რაც უკვე ინახება ამ თანხის სარგებლით, ვუტოვებ და ვუანდერძებ იმავე სკოლას საუკუნოდ.

2. საეპარქიო სამზრუნველოს სასულიერო ნოდების ღარიბთათვის იმერეთის ეპარქიაში 2,000 მან.

3. ქუთაისის საქალაქო საქველმოქმედო საზოგადოებას ქალაქის ღარიბთათვის 1,500 მ.

4. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს ღარიბ მონაფეთათვის 3,000 მ.

5. თბილისის სასულიერო სემინარიას ღარიბ მონაფეთათვის 3,000 მ.

6. იმერეთის საეპარქიო საქალაქო ჩემი სახლის სკოლას 5,000 მ.

შენიშვნა: თუ რაიმე მიზეზის გამო ეს სასწავლებელი არ გაიხსნება, მაშინ ეს 5,000 მ გადაეცეს ზემოთ დასახლებულ საეპარქიო სამზრუნველოს.

7. ქუთაისის უფასო საქალაქო სკოლას 2,000 მ.

8. გელათის მონასტერს ვუტოვებ 1000 მ. იმ პირობით, რომ ჩემი სიკვდილის დღეს ძმები სწირავდნენ ჩემთვის მონასტრის ყველა ეკლესიებში და სარგებელი დაურიგდეს ყველა ძმებს.

9. ვუანდერძებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას უფლებას ჩემ თხზულებათა გამო-

ცემისას იმ პირობით, რომ სარგებელი გამოცემიდან ხმარდებოდეს ამ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს. ჩემ თხოვლობათა პირველი გამოცემის შემდეგ, რუსულ და ქართულ ენებში სიკვდილის შემდეგ, რუსულ და ქართულ ენებში სიკვდილის სურათით ვუანდერძებ იმავე სასწავლებელს 2,500 მ.

ყველა ზემორე მოხსენებული ფულები, გარდა 12,200 მანეთისა გირავნობითი ფურცლებით, რომელიც ინახება ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში, ინახება სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში სარგებლიან ქალაქდებით 20,000 მან. ამ 20,000 მანეთიდან სარგებელი ჩემ საკუთრებად დარჩება ჩემი სიკვდილის დღემდე...

დაურიგდეს ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს მოსამსახურეებს 300 მანეთი საჩუქრად სამსახურში იმ ჯამაგირის ზევით, რაც ერგებათ მათ. ამას გარდა, ჩემი სიკვდილის შემდეგაც დარჩებიან ჩემ სახლში, აგრეთვე სხვა გარეშე შეგირდებიც სხვა და სხვა სასწავლებლისა, რომელთაც მე ვაძლევდი შემწეობას. თუ შესაძლო იქნება, თუ ზემო აღნიშნულ ხარჯების შემდეგ გადარჩება რამე, ზემორე მოხსენებულ შეგირდებს მიეცეს ერთდროებითი შემწეობა, აგრეთვე ჯამაგირი მიეცეს არქიელის გორის წმ. გიორგის სამრევლო სასწავლებლის მასწავლებელს, თუმც იმ დროს იგი არ იქნეს უზრუნველ ყოფილი ჯამაგირით სხვა თანხიდან". ხელი უწერია დეკ. იოსებ კოკაჩიშვილს და მლ. მელ. ცაგარეიშვილს.

შედგენილია 1891 წლის 1 აპრილს.

დამოწმებულია ხელმოწერებით 1891 წლის 10 აპრილს.

1894 წელს 19 გიორგობისთვის ეს ანდერძი ასე შეიცვალა: „ს. ბახვის სკოლა თუ დაიკეტოს, მასზე შეწირული ფული გადაეცეს ბახვის ღვთისმშობლის ეკლესიას

სამუდამოდ. მასვე გადაეცეს ის 600 მანეთიც, რომელიც შევწირე ბახვის შემნახველ-გამსესხებელ კასსას, თუ ეს კასსა დაიკეტოს“. დანიშნულება ამ ფულს მისცა ასეთი, თუ ეკლესიას გადაცემა ოდესმე შეეძლებოდა სიის საჭიროებისათვის, უმთავრესად კი საბრძოლველად უვიცობასთან, სიღარიბესთან და მცხოვრებთ უზნეობასთან — რიგიანი სკოლის საშუალებით“. „რაც შემინირავს თბილისის სასულიერო სემინარიისათვის, ის გადაეცეს ახლად დაარსებულ ქუთაისის სასულიერო სემინარიას“. ხელს აწერენ კანცელარიის ხელოსანი ბესარიონ მინდელი, მღ. დავ. ნასარიძე, მღ. ნესტორ ყუბანეიშვილი და მღ. მელიტონ ცაგარეიშვილი.

მღ. მელიტონ სპ. კელენჯერიძე, „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა“ (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ქუთაისი, 1913 წ. გვ. 225-228

* * *

46 დღე ეთხოვებოდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში დასვენებულ წმინდა მღვდელმთავრის ცხედარს ხალხი. ცხედარი ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან ათ მარტს, ცხრა საათზე გაასვენეს. დასაფლავებაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. თითქმის ყველა ქალაქიდან ჩამოვიდნენ დეპუტაციები, თბილისის დეპუტაციას წმინდა ილია მართალი მეთაურობდა. ხალხმა ცხედარი გელათის მონასტრამდე ხელით წაასვენა.

გადასვენება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამისა ქუთაისის კათედრის ტაძრიდან გელათის მონასტერში

„ჩვენმა მკითხველებმა უნყიან, რომ განსვენებული ყოვლად სამღვდლო გაბრიელის გვამის გასვენება ქუ-



თაისის საკრებულო ტაძრიდან გელათის მონასტერში გადადებული იყო შემდეგი დროისათვის, ვინაიდან დიდი თოვლის გამო გზა ქუთაისსა და გელათს შორის სრულებით შეკრული იყო. დაბეჯითებით თხოვნის შემდეგ და, თუ როდის გაიხსნებოდა გზა. ამის გამო განსვენებულის გვამი დასვენებული იყო ქუთაისის საკრებულო ტაძარში სამი თებერვლიდან ამ მარტის თვის 10-მდე. ვინაიდან ცუდი ამინდების გამო თოვლი არ დნებოდა, ზომები იქნა მიღებული გზების გასაწმენდათ და კიდევ გადასწყვიტეს განსვენებულის გვამის ქუთაისის კათედრის ტაძრიდან გელათის მონასტერში გადასვენება ათ მარტისთვის.

ეს გარემოება საზოგადოებამ ადგილობრივი გაზეთების საშუალებით შეიტყო. ჩვენი საყვარელი განსვენებული მღვდელმთავრის გვამის ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან გელათის მონასტერში გასვენებაზე დასასწრებად საქართველოს ყოველი კუთხიდან იწყოდენა როგორც სამღვდელოებამ, ისე სხვა-და-სხვა დანესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლებმა. რვა მარტს ქუთაისში მობრძანდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი, მრავალი სამღვდელოება იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებიდან და სხვა-და-სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი. ცხრა მარტს ლამის მატარებლით მობრძანდა მათი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი და სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დანესებულებათა წარმომადგენელნი თბილისიდან. ამავე დღეს შაბათს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო გრიგოლი თავისი კრებულებით. წირვის და პანაშვიდის დროს მთელი ტაძარი და ტაძრის გალავანი სავსე იყო განსვენებულის

ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის პატივსაცემლად
მომსვლელთაგან.




არქიელთან ერთად თანამწირველები იყვნენ ნახარებოვის მონასტრის არქიმანდრიტი ამბროსი, სპირიტოს მონასტრის — სიმონი, შემოქმედისა — იონა, ნათლისმცემლისა — გერასიმე, ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გ. ბ. ცაგარეიშვილი, ფოთისა — გრიგორი მაჭაროვი, დეკანოზი რაჭდენ გიგაუროვი, დეკანოზები ი. კიკაჩეიშვილი და ი. ქეიშვილი, პროტოდიაკონნი იოსებ შარაბიძე და ლუკა ხოშტარია, დიაკონნი გეგეჭკორი და ისიდორე სვანიძე. წირვაზე გალობდა არქიელის მგალობელთა გუნდი. განიცადენის დროს განსვენებულის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სამსახურის და მოღვაწეობის შესახებ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ნახარებოვის მონასტრის არქიმანდრიტმა ამბროსიმ. წირვის გათავების შემდეგ ფრიად შესანიშნავი და საგულისხმო მჭერმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა მათმა მეუფებამ გრიგორიმ, ამ სიტყვამ მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია და მრავალს მსმენელს ცრემლები აღვრევინა. არც ერთი სიტყვა, რაც დღემდის იყო წარმოსთქმული განსვენებულის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სამსახურის და მოღვაწეობის შესახებ, არ შეხებია განსვენებულის მოღვაწეობის იმ მხარეს, რომელსაც შეეხო და ცხადათ აღნიშნა ყოვლად სამღვდელო გრიგორმა, ამისთვის ამ სიტყვამ მეტის მეტი კაი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. გაათავა თუ არა ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ სიტყვა, ტაძარში შემობრძანდა მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა ვლადიმირი განსვენებული მღვდელმთავრის გაბრიელზე პანაშვიდის გადასახდელად. პანაშვიდის გადახდის დროს



ექსარხოსთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ყოველდღე სამღვდელო გრიგორმა და ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა და მრავალმა სამღვდელოებმა მსხრველ სამღვდელოებასთან ერთად. პანაშვიდზე დაეხმარებოდა მრავალი წარჩინებული პირნი.

9 მარტს კიდევ დიდძალი ხალხი მოაწყდა ქუთაისს, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან.

მთელს საზოგადოებას აოცებდა და აკვირვებდა ჯერეთ ხმები და ბოლოს ამ გავრცელებული ხმების სინამდვილე ერთი გარემოების შესახებ, რომელიც არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ როგორც არა ჩვეულებრივი მოვლენა. აი, საქმე რაში გახლავსთ: გზების შეკვრის გამო მოსალოდნელი იყო, რომ განსვენებულის ყოველად სამღვდელოს გაბრიელის გვამი კაი ხანს დარჩებოდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში და ამიტომ ისე მომზადებული კუბო, რომ ვინცობაა განსვენებულის გვამი ხრწნას დაიწყებდა, ეს კუბო ისე დაეკავშირებიათ, რომ იქიდან სუნი არ გამოსულიყო. ყოველად სამღვდელო გარდაიცვალა 25 თებერვალს, ნაშუაღამევის 1 საათზე. იმ დროიდან მოკიდებული კუბო თავ-ახდილი იდგა ტაძარში. ეკლესია, თითქმის, ყოველდღე ისე სავსე იყო ხოლმე ხალხით, რომ შიგ შესვლა უჭირდა კაცს. გაიარა კვირეებმა, თვემ და თვენახევარმა, მაგრამ განსვენებულის გვამს არავითარი ნიშანი ხრწნისა არ ეტყობა. მრავალნი პირნი ცდილობდნენ ყნოსვით შეეტყვოთ მცირე რამ ნიშანი ხრწნილებისა, მაგრამ არა თუ უბრალო კაცები, თვით გამოჩენილი ექიმებიც გაოცებულნი არიან, რომ თვე ნახევრის განმავლობაში განსვენებულის გვამს არავითარი ნიშანი ხრწნილებისა არ ემჩნევა რა. ეს გარემოება მეტის მეტად მოქმედებს ყველაზე. ის ვაჟ-ბატონებიც კი განც-



ვიფრებულნი არიან ამ მოვლენით, რომელნიც უზონ ნელობას ეჭვის თვალით უყურებენ. აქ სახეში უნდა ვიქონიოთ, თუ რა ჰაერი იქნება ტაძარში, რაფიქლებს ყოველ დღე დილიდან საღამომდე სავსე იტარებენ ხალხით. ამ მოვლენის შესახებ, თუ ვიცოცხლეთ, კიდევ მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

გათენდა ათი მარტი, დილის შვიდი საათია, მთელი ღამე წვიმს, ქუჩებში უზომო ტალახია, ცა მოლრუბლულია. ყოველს ოჯახსა და ქუჩებში რალაცა მოძრაობაა. ქალი, კაცი და ბავშვები მისწრაფიან ქუთაისის საკრებულო ტაძრისკენ. მთელი მოედანი ამ ტაძრისა და ამ ტაძრიდან მოკიდებული თბილისის ქუჩა თვით რკინის გზის სადგურამდე გაჭედილია ხალხით. ხალხის მოძრაობა სწორეთ მდინარეების ზღვებთან შეერთებას მოგვაგონებს. მერვე საათის ნახევარია. ქუთაისის ყველა ეკლესიების სამგლოვიარო ზარების ხმა ატყობინებს საზოგადოებას, რომ მოახლოვდა დრო მათ საყვარელ მწყემსთ-მთავართან საუკუნოთ გამოთხოვებისა. დღემდის მისი სამწყსო მათი მეუფების გვამის ხილვით მაინც ნუგეშობდა. დღეის იქით ამ გვამსაც ველარ იხილავს. ზარების სამწუხარო ხმა ჟრუანტელს ჰგვრის ყოველ კაცს წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლათ და ცრემლებს იწვევს თვალთაგან. შემოსილი სამღვდელთა ნყოფით გაემწყრივა იმ ქუჩაზე, რომელზედაც გაველო პროცესიას. საზოგადოების ყველა წარმომადგენელმა თავ-თავისი ადგილი დაიკავა. რკინის გზის სადგურიდან მოკიდებული ფრანციის სასტუმრომდე ქუჩის ორივე მხრით ჩამწყრივებულნი არიან ქუთაისის ყველა სასწავლებლის მოსწავლენი მათი მასწავლებლებით და ადგილობრივი ჯარი. დილის ცხრა საათის ნახევარია. ტაძრიდან გამობრძანდნენ შემოსილი მღვდელმთავრები, რომელთაც


ნინ მოუძღვის შემოსილი სამღვდლოება, მათ შემდეგ განსვენებულს მოასვენებენ არქიმანდრიტები: ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტ დიმიტრი, ხობის მონასტრისა — სიმონ კახიანიძე — ამბროსი, შემოქმედისა — იონა, ჭელიშისა — ნიკიფორე; დეკანოზები: გ. ცაგარეიშვილი და დ. ლამბაშიძე. ამ დროს დამსწრე საზოგადოების სულის მდგომარეობის კალმით აღწერა ყოვლად შეუძლებელია. არ გვჯერა, რომ ოდესმე ამნაირი გლოვით და მწუხარებით ქუთაისში საზოგადოება ვინმე გარდაცვალებულს გამოთხოვებოდეს, ან ამნაირი დიდებით. ქუჩებში ყველგან მშვენიერი წესიერებაა. პროცესია გაემგზავრება რკინის გზის სადგურისკენ. განსვენებულის კუბოს რიგ-რიგობით მიასვენებენ მღვდლები და დეკანოზები. კუბო მხრით მიაქვთ. სადგურზე მოვიდა პროცესია ათ საათზე. აქ დამზადებულია საგანგებო მატარებელი. ერთ გაშლილ ვაგონზე საუცხოოდ მოწყობილია ბალდახინი. ამ ვაგონზე დაასვენეს მიცვალებულის კუბო და გარეშემო შემოუდგნენ შემოსილი სამღვდლოება. ამ ბალდახინს გვერდით აქვს ეკლესია-ვაგონი.

ახლა კი ცოტათი აირ-დაირია წესი. ყველას სურს, გაყვეს მატარებელს, მაგრამ განა ეს შეიძლება! ამ მატარებლით შეიძლებოდა 250 კაცის გადაყვანა. ერთი ვაგონი სავსეა მიცვალებულის ნათესავებით, დანარჩენებში არ ეტევა სამღვდლოება და საზოგადოების წარმომადგენელნი. ხალხი დაამშვიდეს, რომ ამ დღეს გელათამდე კიდევ ოთხჯერ წავა-წამოვა მატარებელიო. მრავალი ხალხი მიდის ფეხით და ეტლებით. დაიძრა მატარებელი, მაგრამ ნახევარი ვერსის მანძილზე შეჩერდა, რადგან ლოკომოტივმა ვერ დაძრა ვაგონები აღმართზე. უკანიდან მოაშველეს მეორე ლოკომოტივი. თერთმეტი საათი შესრულდა, როცა მატარებელი



გელათის რკინის გზის სადგურთან მივიდა. მღვდელმთავრები და მწირველი სამღვდელოება ეტლებით გაემგზავრნენ სადგურიდან გელათში, სადაც მისვლამდე ნავე წირვას შეუდგენ. მწირველი ბრძანდებდა მისი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი, ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი, არქიმანდრიტები: სერაფიონი, დიმიტრი, სიმონი, ბესარიონი, ამბროსი, ნიკიფორე, დეკანოზები: მ. ცაგარეიშვილი, რაჟ. გიგაუროვი, დ. ლამბაშიძე, მღვდელმონაზ. სიმონი. წირვაზე გალობდა არქიელის მგალობელთა გუნდი და მეორე მხარით ჩვენი გამოჩენილი მგალობლები ბ. ბ. დუმბაძე, ჭალაგანიძე და ხუნდაძე. წირვის დაწყების შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ პროცესიამ მოატანა მონასტერში და კუბო შემოასვენეს და დაასვენეს ტაძარში, ამბიონის პირდაპირ. ვებერთელა ტაძარიც და კედლის გალერიებიც გაიჭედა ხალხით.

განიცადენის დროს სიტყვის თქმის ნება მიიღო ბლალოჩინმა მღვდელმა მამა ერმოლოზ კანდელაკმა, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებული მღვდელმთავრის შესახებ. წირვის გათავების შემდეგ შეასრულეს პანაშვიდი. პანაშვიდის გათავებისას ფრიად შესანიშნავი და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოთქვა მათმა ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა. საზოგადოთ მათი ყოვლად უსამღვდელოესობისგან წარმოთქმული სიტყვანი და მოძღვრებანი შესანიშნავნი არიან მჭერ-მეტყველობის მხრივ. მათმა მეუფებამ პირველად მოიყვანა პატრიარქის იაკობის სიტყვანი: „და მიუნოდა იაკობ ძეთა თვისთა და რქვა მათ, შემოკრბით, რათა მოგიტხრა თქვენ, რაი შეგემთხვევის თქვენ უკანასკნელსა დღეთასა. შემოკრბით და ისმინეთ ძეთა იაკო-



ბისათა, ისმინეთ, ისრაილ, მამისა თქვენისა“. შემდეგ მათმა მეუფებამ ხელოვნურად დაასურათა 45 წლის სამსახური და მოღვაწეობა განსვენებული მღვდელმთავრის გაბრიელისა. მოიხსენა პატრიარქის მსახურის ცხოვრების უკანასკნელი დღენი და წარმოსთქვა: „დასცხრა იაკობ მამცნებელი ძეთა მისთა და ამხმელი ფერხთა ცხედარსა ზედა მოკვდა, სტიროდენ და გლოვობდენ მას ძენი მისნი და ისრაელ“. მათმა მეუფებამ განსვენებული მღვდელმთავარი შეადარა პატრიარქს იაკობს, რომლის გარდაცვალებას გლოვობდნენ და სტიროდნენ ძენი მისნი და მთელი ისრაელი. ამ გლოვას და ტირილს შეადარა იმერეთის ეპარქიის სამწყსოს და მთელი საქართველოს საზოგადო ტირილი და გლოვა განსვენებული მღვდელმთავრის გაბრიელი შესახებ. როცა ასე დაასურათა მთელი საქართველოს გლოვა და მწუხარება, შემდეგ მათი მეუფება მიიქცია სამღვდელოებისა და საზოგადოებისადმი და რქვა: გრძნობთუ არა, იმერეთის სამწყსოვ, თუ როგორი მღვდელმთავარი დაჰკარგე დღეს შენ? ამ სიტყვების პასუხი იყო ირგვლივ შემოხვეული სამღვდელოებისა და საზოგადოების თვალთაგან ლელესავით წარმოდენილი ცრემლები.

ამ სიტყვამ მეტის მეტი კარგი შთაბეჭდილება იქონია ხალხზე. სიტყვის გათავების შემდეგ მათი მეუფება მივიდა კუბოსთან და მუხლმოდრეკით თაყვანისცა განსვენებულის გვამსა და ეამბორა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ბესარიონმა. პანაშვიდი და ყველა წესი გათავდა ნაშუადღევის 4 საათზე. მათი მეუფება წარჩინებული სამღვდელოებითურთ გამობრძანდა ტაძრიდან და შებრძანდა განსვენებული ყოვლად სამღვდელს ახლად აღშენებულ სახლში, სადაც დამზადებული იყო ჩაი და საუზმე. მათი მეუფების ტაძრი-

დან გამობრძანების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვენს ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ. დ. ნიჟარაძემ, ნ. ტ. დადიანმა, ი. გრ. ჭავჭავაძემ, ჩაბელმა, თ ხუსკივაძემ, დუმბაძემ, დიაკონმა ხუნდაძემ და სხ. მრავალთა“.


„მწყემსი“. 1896, 5

ილია ჭავჭავაძის სიტყვა გელათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს

მადლით მოსილი კაცი

არ ვიცი, ამდენს მშვენივრად თქმულ სიტყვებს შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვიოთ, რადგანაც არა აქვს რა ღირსი თქმისა, და ზოგი იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან ულონოდ ვგრძნობ თავსა — მისს თვალგადაუნვდენელს კიდევებს ერთბამად თვალი გადავანვდინოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდამ დავუნყოთ ყურება, რადგანაც ყოველმხრიდამ დიდებული სანახავია. ამისთანაა იგი, რომელსაც დღეს დავტირით.

დიალ, ბატონებო, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის განრთვნა და განმტკიცება. „ნეტავი იმასაო, — ამბობს ერთი ძველადძველი ბრძენი, — ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“. აი ჩვენს წინაშე მდებარეა იგი მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გა-



ბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი. თვითვეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძი და წესი და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მონყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავს თავისის სამართლიანის განკითხვითა.

მე მსურს მხოლოდ აქ ავლნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — საერო თუ სამღვდლო, — რომლის გულშიაც მომეტებული მშვიდობისყოფით, მომეტებულის დაძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმადმინვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმადმორწმუნეცა. აქ არის, ჩემიც ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ“. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო,

რაც ადამიანი თვალთახილულია და გონებაგაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადბ მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომელიც ვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთაძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელს ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრნი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება ან განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.

იგი ერთს თავისს ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულგაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვანად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითვეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიაწო. ეს მისთვის ლიტონი სიტყვა არ იყო, სამღვთო წერილიდამ ამოკითხული და გაზეპირებული. ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებუ-

ლი სარწმუნოება და გასარწმუნოებულ მაცნობრება, ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეშად მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვანლი — ღვანლად, მადლი — მადლად, საქმე — საქმედ და არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაიმე ესუსტნოს ამ რწმენისათვის, პირიქით, თვისი ხანგრძლივი სამსახური მარტო ამ რწმენას შესწირა და შეაღია. კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, — ამას მარტო ღრმადმეცნიერული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს.

რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღალადა ერთს თავის დაუვინყარ ქადაგებაში, და სხვა არარა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ. „მე თვითონ არ მინახავსო, — ამბობს იგი, — ხოლო გამიგონია სარწმუნო კაცთაგან, რომელ ერთს ძველადძველს ეკლესიაში კედელზედ არის დახატული ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალთ მენახაო!“ — ჰნატრულობს ამ საუცხოო ხატით აღტაცებული მღვდელმთავარი: — „მაშინ მე გავიცნობდიო მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემიო! რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლადწმიდისა, რომ ერთსკერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა ღვთაებრივსა გამოყვანილი იყოს ის ღვთაებრივი სი-



წმიდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა
ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალუ-
ლებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსა და სული-
სა და ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო,
ესე იგი ნიშანი ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და
მნიშვნელობისაო!”

ასე ათავებს სიტყვას ზეგარდმოშთაგონებით მლა-
დადებელი მღვდელმთავარი. განალა შეიძლება ამაზე
მეტად გაპატიოსნება, ზეალწევა შრომისა და გამრჯე-
ლობისა, რომელიც ბევრსა გვგონია, ვითომ წილადხვ-
დომილია მარტო მდაბიოსიო.

საკმაოა ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი
სიტყვა, მღვდელმთავრის ბაგეთაგან წარმოთქმული,
რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულიერი ახოვანე-
ბა და სიბრძნე მისი, რომლის ბაგენი დღეს ჩვენთვის
სამუდამოდ დადუმდნენ ჩვენდა საუბედუროდ. ბევრი
რამ არის ნათქვამი შრომისა და გარჯის გაპატიოსნე-
ბისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა ქება შრომისა შე-
საძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბაგითაც თვი-
თონ ღმერთი მეტყველებს.

ღიად, ბატონებო, მისის ბაგით სწორედ თვით ღმერ-
თი მეტყველებდა და ვაი რომ დადუმდნენ იგი ბაგენი
და ვინ იცის, როდისღა გვაღირსებს ღმერთი იმისთა-
ნა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა. რომ მისმა კაც-
თათვის თავდადებულ მსახურებამ, მისმა საქმეებმა
უქმად არ ჩაიარა, რომ წრთვნა მისი, მისი ზნემალაღი
მოძღვრება არ დარჩა ხმად მლაღადებლად უდაბნოში,
— ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც
დღეს შემოჰხვევია ძვირფასს კუბოს, რომ უკანასკნე-
ლად ემთხვიოს იმა ბაგეთა, რომლითაც იგი გვლოცა-
ვდა და გვწურთნიდა, იმ მაღლიან მარჯვენას, რომლი-
თაც იგი გვაკურთხებდა და რომელიც მუდამ განვდილი

იყო დავრდომილთა შემწეობისათვის და დაცემულის
აღდგენისათვის.

დღეს ერი ცრემლს აფრქევს მისთვის, ვინც მძიმე-
ლი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებად იყოს წილ-
ით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეში-
ნისცემითა და მადლის ფენითა. რით იყო ასე ძლიერ
სახელოვანი ჩვენი მღვდელმთავარი, რომ გამოიწვია
ასეთი დიდი გლოვა ერისა? ნუთუ მარტო სიბრძნითა?
არა, სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა
მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო
შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე,
იცოდა, რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით
ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის
სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღეს-
აც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და
სულსა და გულს ვანვდით ერთმანეთსა საუკუნეიდამ
საუკუნემდე. ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი
სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის
ენისაო, — ამბობდა განსვენებული და ამიტომაც იგი
ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის
ენის მწედ და მფარველად.

დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენ-
და საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და
სახელის ხსენება მისი ჩვენდა სანვრთნელად. ყოველი-
ვე ეს დიდხანს კიდევ ისაქმებს ჩვენში. დიდხანს და დი-
დხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო
დიდბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თავისის
ანდერძით ან ისევ საქმობს მკვდარიო.

მე რომ მისნი მადლით სავსე საქმენი და სიტყვანი
მაგონდებიან, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე შარა-
ვანდედით მოსილი ახლად დაბადებული გაბრიელ და
მგონია, რომ თავს წამოსდგომია ახლად შობილს ყრ-

მას ფრთებგაშლილი მთავარანგელოზი, სიყვარულით დასცქერის და ლოცვა-კურთხევით ეუბნება ამ ბრძენ-
თაგან თქმულს:

ერეკნულნი

„პატარავ, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანას, შენ სტირი და შენს გარეშემო კი ყოველს სიხარულს ღიმილი მოსდის; ჰქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგდიოდეს“ და აჰა, ჰქმნა ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოება საუკუნოდ, ყველანი მის გარეშემო სტირიან. დიდება სახელსა მისსა! თუ დიდება სანატრელია, აჰა, ისწავეთ გზანი დიდების შოვნისანი! ამისი მართალი გზა და ცხადი მაგალითი მთელი ცხოვრებაა ამ დიდებულ და მადლიან კაცისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდიაო, და აჰა იგი დიდი კაცი, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, დღეს კუბოშია ჩვენ წინ მდებარე.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლის სიტყვა

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

„ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმათებულ ხარ შენ დღეს, ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ“ (ფსალ. დავ.)

ლამპარო საქართველოს ეკლესიისაო, დიდება ქართველთაო, მოძღვარო ოქროპირო გაბრიელ!

ერთი ოდენ მოვალეობა თანამსახურის მღვდელმთავრის და სამეზობლო ეპარხიის უფროსისა მაბედვინებს მე მივილო ჩემს თავზე საშიში პატივი ლაპარაკისა იმ კათედრიდან, რომელიც განაშვენე შენ ოც და თხუთმეტის წლის შენის მოციქულებრივის ქადაგები-

თა და მსახურებით. შენს სამშობლოს ქვეყანას, შენგან სულით და გულით შეყვარებულს საქართველოს, სამნუხაროდ შენდა და ჩვენდა, ჯერ კიდევ შორსაქვს ის დრო, როდესაც იმას ექმნება ძალა გაგვიზღვეს ნამს ამ შენგან დაობლებულ კათედიდან ხმა მეორე გაბრიელისა.

გარნა, მოძღვარო ჩემო, მე არა ქადაგებასა და არა მოძღვრებასა ვბედავ დღეს ამა კათედრიდან წინაშე საფლავისა შენისა, მე მხოლოდ ამა კათედრიდან მიწადა თაყვანის-გცე უკანასკნელის მადლობითა შენისა წმინდა სამსახურისთვის.

პირველსა მადლობასა მოგიძღვნი შენ, ღირსეულო მწყემსმთავარო, სამღვდელთა და საეკლესიო მსახურთაგან არა მხოლოდ იმერეთისა, არამედ გურია-სამეგრელოს, აფხაზეთისა და ლეჩუმ-სვანეთისა. შენ ხარ პირველი მღვდელ-მთავარი ქართველთა, აღჭურვილი მალღის სწავლისა და მეცნიერებითა, რომელმანცა ამ ძველს ჩვენს სამღვდელოებას დროთაგან დაჩაგრულს, შთაბერე სული ახალი და მიეცე აწინდელი ძალა სამოქალაქო ცხოვრებისა; შენ დაუტოვე მას ძველის ცხოვრებიდამ და საეკლესიო წესიდამ ის, რაიცა ღირს იყო ცხოვრებისა, ვითარცა შემკვიდრეობა ღირსია მამათა, საქართველოს ძველთა სამღვდელო მსახურთა და აღმოკვეთე იმის ცხოვრებიდან ყოველივე, რაიცა შეადგენდა ღვარძლსა, უსარგებლოსა. შენი უკანასკნელი ფიქრი ეკუთვნოდა ამ სამღვდელოებას და მის კეთილდღეობას. თვალითა, ცრემლით აღსავსით ვიხილე მე წიგნი, მინერილი შენ მიერ მთავრობისადმი იმის წინად, სანამ შენ შეგიპყრობდა საშინელი სენი. ამ წიგნში სთხოვდი შენ, — არა, სთხოვდი ცოტაა, — ამ წიგნში ემდურებოდი შენ მთავრობას, რომ მას უზრუნველყო სამღვდელოება იმერეთისა მომატე-



ბულის საშვალობით სახელმწიფო ხაზინიდან, რომ ამ გვარად დაგეგვირგვინებინა შენ შენი მათდამი მსახურება. ოხ! მწყემსთ-მთავარო, სამღვდელოებასა და სასაშენოებასა შენ არა ნივთიერისა მხოლოდ შენეენითა და მათგანთა თავზე გვირგვინი და დღეს სამღვდელოება სვანეთის მწვერვალიდამ დაწყებული აფხაზეთის შორეულს სამრევლო ეკლესიამდე მხურვალედ ილოცავს შენის სულის განსვენებისათვის და ამბობს: საუკუნოდ იყავნ ხსენება ჩვენის ძვირფასის გაბრიელისა.

მეორე მადლობა გშენის შენ, მოძღვარო, სამწყსო-საგან; რამდენი სუსტი სარწმუნოება განამტკიცე შენ, რამდენ ურწმუნოს განუნათლე გზა დამასკელისა, რამდენი ცრუმორწმუნეობა აღმოფხვრა უვიცის ხალხის გულისაგან შენმა წინასწარმეტყველურმა სიტყვამ! რა ზნეობითი ნაკლულევანება დარჩა შენს სამწყსოში, რომელიც არა განგემსჭვალოს შენ მახვილითა სიტყვითა? რა ღირსება იყო, რომელიც არ გექოს და არ გესწავლებინოს ხალხისათვის? შენ უთხარ ჩვენთა დედათა, რომ გესწავებია მათთვის შრომის მოყვარეობა, ეს დაუვიწყარი სიტყვები: მე მითხრესო, რომ სადღაც ერთ შორეულს ეკლესიაში არის დახატული ღვთისმშობელი, რომელსაც თითისტარი უჭირავს ხელში და მუშაობსო, ნეტაი ჩემის ბედნიერის თვალეზით მენახა ეს ღვთაებრივი სურათიო. თითქმის ორმოც წელ შენ იყავ მოძღვარი უებრო იმერეთისა. სამოქალაქონი და სასულიერონი სასწავლებელნი ზრდიდენ და ზრდიან ახალთა თაობათა, შენ მეტი საქმე ქმენ, მოძღვარო, შენ ხალხი აღზარდე. გიხაროდენ!

გმადლობს შენ ერი საქართველოსი, რომელიც განაშვენ შენ სახელითა შენითა. შენ იყავ სიქადული ქართველთა, პირველი ქართველი ამა საუკუნოისა, რომელმანცა დაანახე ქვეყანას ძალი საქართველოს

შვილის გონებისა, რომლის სიბრძნის მოყვარეობას და
ქადაგებას თანასწორ გვიქებდენ ჩვენ ფრანგნი, გერ-
მანელნი, ინგლისელნი, ესე იგი მთელი განათლებული
ქვეყანა.

გმადლობს შენ ენაცა მშობლიური, ენა, რომელიც
მდიდარჰყავ შენ ქადაგებითა შენითა, ენა, რომლის-
თვისაცა ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელთა პირ-
თა, რომელთაცა ენა პეტრინისა, გიორგი მთანმინდე-
ლისა და ამბროსი მქადაგებლისა უარ-ჰყვეს, ვითარცა
უვარგისი და გამოუდევარი მეცნიერებისათვის, შენ
იყავ ერთადერთი მაღალი ხარისხის ქართველი, რომე-
ლიც გამოესარჩლე ჩვენს ენას, როდესაც ერთმა დიდმა
პირმა უქადაგა ამ ენას სიკვდილი, შენმა წუნმა აღუფრ-
თოვანა სული საქართველოს და თვით მტერ-მოყვა-
რეც დაგიმორჩილა შენ, როდესაც იგი გწერდა თავის
პასუხში:

„გულსა შინა შენსა არა არს ზაკვა“.

უმეტეს ყოვლისა გმადლობს შენ ეკლესია ივერი-
ისა, რომლისა საეკლესიო ნიგნები მდიდარ-ჰყავ შენ
შენისა სიტყვითა და მოძღვრებითა. იხილეთ, ძმანო
და დანო, აქა მგლოვარედ მდგომარენო, რას შეიცა-
ვს სამნიგნობრო ივერიის ეკლესიისა, რა ნიგნებსა
იკითხავს სამღვდელო მსახურნი ყოველ დღიურს თა-
ვისსა მსახურებასა მას. ესენი არიან: სახარება, სამო-
ციქულო, პარაკლიტონი, მარხვანი, სადღესასწაულო,
ჟამნი, დავითნი და გაბრიელის ქადაგება. ქადაგება
გაბრიელისა ძევს ჩვენს ეკლესიაში იქ, საცა ასვენია
ქადაგება მოციქულთა, ამაზე ზევით არ ნავა პატივი
არა ქართველისა, არა ხორციელის კაცისა! საუკუ-
ნო გაივლის, რომ ხმა გაბრიელისა კიდევ გაისმოდეს
ეკლესიასა შინა ივერიისასა პირითა უბრალო მეფ-
სალმუნისათა.

გმადლობს შენ ჩემიცა პირადი უღირსება. ღვთის განგებას ენება მხვედროდა მე წილად ყურადღება თქვენის მეუფებისა, ოდეს თქვენ ირჩევდით თანაშემწენ უღი თა მმართველად ჭყონდიდის ეპარქიისა. მე ვინ ვარ ბედნიერ და მდიდარ, რომ შენი ჩემდამი განწყობილება ვერ შეარყია ვერცა დროებამ, ვერცა ბოროტთა ენათა ძლიერებამ. ცხოვრების ეკლიანს გზას ნუგეშად განმამხნეველად მე დამრჩა უკანასკნელი შენი სიტყვები: მე შენთვის უნებლიედ ჩემდა, ცბიერის შთაგონებით მანყენინებებს, მამაშვილობას მომიტყევეო!

დასასრულ უკანასკნელსა მადლობასა მოგიძღვნის შენ, მღვდელთ-მთავარო, ქველის მოქმედება. სიტყვით წმინდაო, საქმით წმინდაო, ცხოვრებით წმინდაო, შენ სიკვდილითაცა დაამოწმე შენი კეთილი კაცობა მით, რომელ სხვათა და სხვათა კეთილთა საქმეთა შესწირე ყოველი შენი ქონება.

ნეტარ ხარ შენ, მოძღვარო, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ“.

„მომამბე“, 1986, 3, გვ. 107-110

სიტყვა ივანე რატიშვილისა

„ჭეშმარიტო მწყემსო კეთილო! გემშვიდობება დღეს საქართველო, მოგტირის ამერ-იმერი, სამღვდელო და ერის კაცი; უკანასკნელად ამბორს ვყოფთ შენს წმინდა გვამს და ვაფრქვევთ მდულარე ცრემლსა, ხოლო რა აორკეცებს ჩვენს მწუხარებასა და გულის სიმწარეს? ის საშინელი საგონებელი, რომ არ ვიცით, თუ ვინ უნდა აღვიდეს შენს სხივ-მოფენილს კათედრაზე! ვინ უნდა დაჯდეს შენს წმინდა საჯდომელსა? იქნება იგი ჩვენთვის მწყემსი კეთილი თუ სასყიდლით დადგინებული?

მწყემსო კეთილო, „შენ იცვნიდი შენთა და შენნიცა გიცვნიდენ შენ“, სიყვარულითა მწყსიდი მათ და იგინი-

ცა შემოგხაროდნენ და თავი მოსწონდათ შენით; ანლა
კი ჩვენი სავალალო ის არის, რომ არიან სასყიდლით
დადგინებულნი, რომელითაც სხეულის უმეტეს
ლისთ და არც სული უთხრობსთ დასაძლენად. შენებ
ბა, იგი სისხლი, და სცნან თვისნი, სცნან გულითა წრ-
ფელითა და შეიყვარონ შენებურად!

მწყემსო კეთილო, შენ გესმოდა ხმა ცხოვართა
შენთა და ცხოვართაცა ესმოდათ შენი; გესმოდა ხმა
ცხოვართა კენესისა, ტკივილისა და ხმა მათის სიხა-
რულისა; ჭირი მათი გიჩნდა ჭირად, სიხარული — სიხა-
რულად, ცხოვარნიცა ისმენდნენ შენთა მშვენიერთ,
დაუვინყარ „სიტყვათა და მოძღვრებათა“, ისმენდნენ
ლმობიერებით შენს სიტყვას, სავსეს სიცხოველით, სი-
წრფოებით, ამავე დროს სჭვრეტდნენ შენს სახეს, მად-
ლით და სინმინდით განთლებულს — შენი სმენით, შენი
ჭვრეტით ნათლდებოდა მათი სული. ხოლო, ან, ვაგლახ
ჩვენ, რომ ვიცნობთ სასყიდლით დადგინებულთა, რომ-
მელთაც არც ესმით და არც სურთ, რომ ესმოდეთ ხმა
ცხოვართა თვისთა; პირიქით, უკადრისადაც მიაჩნიათ,
რომ ყური ათხოვონ გულდადებით ცხოვართა ხმასა!
ცხოვართა ბლავილი როგორღა მიაღწევს მათ ყურ-
თამდე?

კვალად ვიტყვი: მწყემსო კეთილო, შენ გიყვარდა
გულით შენი სამწყსო, მისთვის დაშვერ, მისთვის მიიღე
ჭირი და შრომა მრავალი, მის განათლებას სწავლა-გა-
ნათლების მოფენითა, მის ზნე-ამაღლებას, სულით გა-
პატიოსნებას შეაღიე დღენი შენნი! ხოლო არა ესრეთ
სასყიდლით დადგინებულნი, არა ესრეთ; არამედ იხი-
ლა ქვეყანამ სასყიდლით დადგინებულნი, რომელთაც,
ნაცვლად სიყვარულისა, ნყევა და შეჩვენება მიაწოდეს
თვის სამწყსოსა და მძულვარებითა მოიხსენეს სახელი
მისი! შენ ესარჩლებოდი ცხოვართა შენთა განსაცდე-



ლის დროს და არ ანებებდი მათ მგელს წარსატაცებლად; ხოლო გამოსცადა ჩვენმა უბედურმა ქვეყანამ სასყიდლით-დადგინებულნი, რომელნიცა თვის მტაცებელნი და მკრეჭელნი თვის ცხოვარად მწყემსს შენ მწყემსი იყავ ჩვენი კეთილი და არა ჰგავდი სასყიდლით დადგინებულთა, არა ჰგავდი მათ შენი მტკიცე და წრფელი სულითა, მხურვალე გულითა, განვითარებული გონებითა, ძლიერი და შეუპოვარი სიტყვითა. ამ შენის სიტყვით ჩვენ მშვენივრად გვმოძღვრავდი სახარებისა მცნებათა, ხოლო ამავე შენის სიტყვით შეუპოვრად ამცნევდი მკაცრ სიმართლესა ძლიერთა ამა სოფლისათა; ეს უკანასკნელნი პატივისცემით ისმენდნენ შენ სიტყვას — რიდი ჰქონდათ შენი, დღეს კი მოგვაკლდა ეს და მოგტირით გამწარებულნი. ღმერთო, გვიხსენ ჩვენ სასყიდლით დადგინებულთაგან, გვიხსენ ჩვენ ორგულთა მწყემსთაგან!..

მშვიდობით, ჩვენო ღვთივ შემოსილო მწყემს მთავარო! წარვედ მშვიდობით, სადაცა სუფევს ნათელი მიუჩრდილოებელი და სიმართლე უძლეველი; დაემკვიდრე იმ ბრწყინვალე კრებულში, რომელსაც შეადგენენ დიდებულნი ღვთივ შემოსილნი მამანი ჩვენისა ქვეყნისა და გვირგვინოსანნი მოწამენი. წარსდევ პირნათლად წინაშე ღვთისა დედისა, წინაშე ჩვენის მოციქულთ სწორ წინოსი და მისი წინამორბედის ანდრია პირველწოდებულისა; მიუთხარ მათ შენებურის სინრფოებით და სიმართლით, ვინ იყვნენ მტერნი მძვინვარენი ეკლესიისა და როგორ ებრძოდი შენ მათ; მიუთხარ ყოველი და შეევედრე ყოვლად წმიდა ქალწულს, რომ საფარველი თავის პატიოსანი კვლავ გადაჰფინოს თვის წილხდომილ ქვეყანას: გვექმენ შემწე, რომ მადლი და სიცხოველე იმ წმიდა ჯვარისა, რომლის ძალითაც წმინდა ქალწულმა წინომ მიმოვლო ჩვენი ქვეყა-

ნა და გვახარა ქრისტე, იმ წმიდა ჯვარისა, რომლის ძალითაც ჩვენნი წინაპარნი კეთილ-მძღუობდნენ და სამონამეო გვირგვინით იმკობდნენ დიდებულად, იგი მადლი, იგი სიცხოველე კვლავ მოუტანს ჩვენს ქვეყანასა! იყავ მეოხ და მავედრებელი ჩვენი წინაშე იმ გამოუცნობელის ყოვლად ძლიერებისა, რომელიც არის სათავე სინათლისა და უკვდავებისა! ხოლო ჩვენ აქ, ყოველთვის ვიქნებით მტკიცედ და ერთგულად აღმსრულებელნი შენი წმინდა ხსენებისა ლოცვით, კურთხევით და სასოებითა“.

წლის თავზე მოხსენება განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა

გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მის საფლავზე, გელათის მონასტერში წირვა შეასრულა ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა. წირვის შემდეგ პანაშვიდიც გადაიხადეს გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა გ. ცაგარეიშვილმა. წირვასა და პანაშვიდს ესწრებოდა აკაკი წერეთელიც, რომელმაც შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებული მღვდელმთავრის საფლავზე:

„უძღურებამ და არა გზის სიშორემ შემიშალა ხელი, რომ შარშან ამ დროს მეც სხვებთან ერთად თაყვანი მეცა დიდებულ ცხედრისთვის! დღეს მძიმე ტვირთი ეშვება ჩემს გულს, რომ შევძელ ნაკლის შევსება და ვასრულებ მოვალეობას, როგორც საზოგადოს, ისე პირადსაც!.. მოველ და თაყვანსა ვცემ მის ჯერ კიდევ გაუხრწნელ გვამს!.. იმ გვამს, რომელიც ხალხის წარმოდგენით არც არაოდეს უნდა გაიხრწნას! თუმცა თვით დიდებული მოძღვარი იმას გვაუწყებდა, რომ ეს სოფელი სიზმარია, ამ ქვეყნიური ყოველივე — წარმა-




ვალი და სიკვდილთან ერთად ყოველივე ხორციელი ქრებაო!.. ეს საზოგადო ჭეშმარიტება არ შეეხება, კერძოთ, მაღლით ცხებულთა, და, უპირველესად, ჩვენს მასვე, რომელმაც სიკვდილით სიცოცხლე გააჩინა! სიცოცხლე მისი სიხარული იყო ქვეყნისთვის და სიკვდილი სიქადულად გადაიქცა, როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ-სიმაღლეზეა, უფრო თვალ-საჩინოა ყველასთვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს, ისე ეს დაუფინყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამაღლებული, ყველასთვის საერთოდ სათვალდათვალა და ყოველი მხრით თანასწორად ჰფენს სხივებს, რომლითაც გვინათებს ბნელს ანმყოში და იმავე დროს ჩვენს წარსულს მომავალთან აკავშირებს!.. კურთხეულ იყავ უკუნისამდე, დაუფინყარო მღვდელ-მთავარო! გადმოგვსახე მაღლით ჯვარი და სამკურნალოდ მოგვფინე ნათელი... და ჩვენგანაც ძღვნად შეინირე, ვითარცა წვლილი ქვრივისა, გულწრფელი თავყვანი და მზურვალე ანბორება!.. გვაკურთხენ, მეუფეო!”

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილი სწავლანი

გარდაცვალება

სიკვდილი ანუ გარდაცვალება მხოლოდ ამქვეყნიურ მოქმედებას და ხორციელ ცხოვრებას ამთავრებს, ანუ სპობს. სიკვდილი არის გარდაცვალება, ანუ გამოცვლა, შეცვლა აწინდელი ცხოვრებისა სხვა უმჯობეს ცხოვრებად, კვდება მხოლოდ ჩვენი ეს მძიმე სხეული. მიწა მიწას მიეცემა, მაგრამ ის შინაგანი გაცოცხლებული სული სიკვდილს არ დაემონება. გარდაცვალების შემდგომ არ ვკარგავთ ხსოვნასა და წარმოდგენას ყოველივე იმისა, რაც ამ სიცოცხლეში



განვიცადეთ. ყოველივე რომ დაგვეინყებოდა, რაც ამ ქვეყნად ვნახეთ, აღვასრულეთ და შევიყვარეთ, მაშინ კაცის ცხოვრებაცა და წარწყმედაც შეუძლებელია. ღმრთისაგან ვერც ჯილდოსა და ვერც სასჯელს ველრ მივიღებდით. აქედან იმ ქვეყანაში ჩვენ ყველა ჩვენს სულიერ თვისებას გადავიტანთ. სიკვდილი კაცს ვერ ართმევს იმას, რითაც თითოეული კაცი სხვა პირთაგან განსხვავდება. კაცი ჯოჯოხეთსა თუ სამოთხეს აქვე თავისივე ხელით აშენებს. ანგარი, ხარბი და შურიანი იქ ყოველგვარ ნუგეშს მოკლებული გადავა; ღმრთის, სიკეთისა და სიმართლის მოყვარეს კი ბედნიერება ელოდება — რაც უყვარდა, რაც სურდა და რასაც ეძიებდა, ყოველივე მიეცემა. ნეტარება განმზადებულია მათთვის, ვინც ამქვეყნად დაუცხრომლად იღწვის. სიკვდილის შემდგომ ჩვენი სული, ყოველი სოფლიური მწუხარებისა და ამოებისაგან განთავისუფლებული, თავის თვისებებსა და შესაძლებლობებს დაუბრკოლებლად გაშლის და განავრცობს, ცხოვრებისა და მოქმედების ვრცელ ასპარეზზე გავა და ღმერთს, წყაროს ყოვლისა კეთილობისა და ნეტარებისა, თანდათან მიეახლება. ჩვენი ცნობისმოყვარე გონება შემეცნების ისეთ საგანს იპოვის, რომელიც მისთვის საუკუნო საზრდო და მისწრაფების მიზანი შეიქნება. სიხარულისა და ბედნიერების მაძიებელი ჩვენი გული ბედნიერების ისეთ წყაროს შეემთხვევა, რომლითაც დაუსრულებელ სიხარულსა და ნეტარებას უკუნითი უკუნისამდე აღმოივსებს. აღდგომის შემდეგ კი ჩვენი სხეულიც სულიერი, ჰაეროვანი, მსუბუქი და უკვდავი შეიქნება, რომელიც სივრცესა და ჟამს აღარ დაექვემდებარება; ზეცად ამალღდება, თუმცა სახე და შედგენილობა იგივე ექნება.


მეორედ მოსვლა

სალმრთო ნერილი მაცხოვრის მეორედ მოსვლა პირდაპირ არ განსაზღვრავს, მაგრამ ზოგიერთი ნიშანსა და სასწაულს აღწერს, რომლებიც სოფლის სასრულის მოახლოვებას თავის დროზე ცხადყოფენ. პირველი ნიშანი: უწინარეს ქრისტეს მეორეს მოსვლისა მისი სახარება ყოველთა თესლთა შორის იქადაგება; მეორე: თუმცა სახარება იქადაგება, მაგრამ კაცთა შორის სიმართლე, სინმინდე და სიყვარული დამცირდება. ფარისეველნი და მზაკვარნი განსაკუთრებით მაშინ გამრავლდებიან, გარეგნულად ღმრთის მოყვარენი იქნებიან და ღმრთის სიყვარულის ძალა არ ექნებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭკუა და ცოდნა დიდი იქნება, მაგრამ ზნეობა – დაცემული. როდესაც ეს ცოდვა და უსჯულოება თითქმის ყველას მოინადირებს და დედამინას დაამძიმებს, მაშინ სოფლის აღსასრულის უცხადესი ნიშანი გამოჩნდება, მოვა ანტიქრისტე — კაცი, საშინელი მძლავრებითა და ცბიერებითა. იგი თავის თავს ღმერთს დაარქმევს და მრავალ ცრუ სასწაულს აღასრულებს, რითაც ყოველ სუსტსა და გარყვნილს თავისკენ მოაქცევს. ამგვარად, იგი ქვეყნის უსჯულოებას შეავსებს და ღმრთის სასჯელის გამოჩენას დააჩქარებს. ერთი მხრივ, მცირედ დარჩენილი რჩეულები უფლის მოახლოებას ცხადად იგრძნობენ, მეორე მხრივ კი, უმრავლესი და თითქმის ყოველი მაშინდელი ადამიანი ცოდვათა შინა დაძინებული იქნება. სასწაული ძისა კაცისა ცათა შინა უცბად გამოჩნდება, ზეცით მომავალ ქრისტეს ყველა იხილავს. ყოველი სული, რომელიც კი ოდესმე ქვეყანაზე ცხოვრობდა, უკანასკნელ სამსჯავროზე წარდგება: ცოდვილნი საუკუნო სატანჯველს მიეცემიან, ხოლო მართალნი — ცხოვრებას საუკუნოს.

საშინელი სამსჯავრო



ვერც ერთი აზრი და სიტყვა ისე ვერ გამოაღბი-
ზლებს კაცის გონებას, როგორც წარმოდგენა უმჯობეს-
შინელი და შემადრწუნებელი ნამისაჲ წარმოდგენა უმჯობეს
საშინელ სამსჯავროზე ღმრთის პირისაგან მისი სა-
ბოლოო განაჩენის შესახებ მოისმენს. თუმცა, ამქვეყ-
ნად ადამიანი ხშირად და ადვილად ცოდავს, მაგრამ
იმედი აქვს, რომ მათ შესახებ ვერავინ შეიტყობს.
ყოველი ადამიანი თავმომწონეა და უფრთხის, ვინ-
მემ მასზე ცუდი არ იფიქროს. ცოდვას სიბნელე და
დუმილი უყვარს. უეჭველია, ადამიანი დარწმუნებუ-
ლი რომ იყოს, მისი ცოდვის შესახებ მაშინვე ყველა
შეიტყობდა, ცოდვას არ ჩაიდენდა. საშინელ სამსჯა-
ვროზე კი ყოველი ჩვენი ცოდვა მთელი ქვეყნის და-
სანახად წარმოჩნდება. თუ ზოგჯერ შენი ცოდვების
გამო აქაც ისეთ სირცხვილს გრძნობ, რომ არ იცი სად
დაიმალო, წარმოიდგინე, როგორი სირცხვილი და გა-
კიცხვა გელის, როცა მათ შესახებ ცაც და დედამინაც,
ნაცნობნიცა და უცნობნიც შეიტყობენ. თუ ამქვეყნად
ადამიანთა მოტყუებას ახერხებდი და მათ კეთილი
და ღმრთისმოყვარე კაცად მიაჩნდი, მაშინ გაიგებენ,
რომ შენი ღმრთისმოყვარება თურმე მხოლოდ ნილაბი
იყო, რომ სიმართლე მხოლოდ ენაზე გქონდა, ხოლო
გული შენი ბოროტებითა და უსჯულოებით იყო სავსე.
მეორეც: როცა ამქვეყნად ცოდვას ჩავდივართ, იმედი
გაქვს, რომ მას ოდესმე მოვინანიებთ. თუმცა, სჯულს
ხშირად ვარღვევთ, მაგრამ თავის სანუგეშებლად და
თავის გასამართლებლად ათასგვარ მიზეზებს მო-
ვიგონებთ. ამიტომ, ხშირად ჩვენი სინდისი შეკრული
და დაბნელებულია. საშინელ სამსჯავროზე კი, როცა
თავის გასამართლებელი მიზეზები მოგვესპობა, რი-
თლა ჩავაჩუმებთ სინდისის ხმას? ცბიერი და ცრუ



აზრებისაგან განთავისუფლებული სინდისი ცოდვილს საშინლად ტანჯავს. მის მიერ ჩადენილი საქმენი, როგორც უმონყალო ლაშქარნი, წინ დაუდგებიან მის შეძრწუნებასა და შემუსვრას იწყებენ. მაშინ უმსაქმი იქნება მოთქმა და გოდება, ვედრებისათვის ხელების აპყრობა, ჟამი სინანულისა, დრო შეწყალებისა და მონყალებისა დამთავრებულია. და ცოდვილი მოისმენს საშინელ განაჩენს: ნარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა. ამასთან: ადამიანს ამქვეყნად რაც არ უნდა ჭირი და უბედურება შეემთხვეს, იმის იმედი აქვს, რომ ბოლოს და ბოლოს სიკვდილი მაინც დაასრულებს მას, საშინელ სამსჯავროზე გამოტანილი განაჩენი კი საბოლოოა, ხოლო ტანჯვა ცოდვილისა — დაუსრულებელი.

სასუფეველი

ზოგიერთი ქრისტიანი შეცდომით ფიქრობს, რომ სასუფეველი ღმრთისა მხოლოდ მომავალ ცხოვრებაში, ცათა შინა არსებობს. მაგრამ კაცთა შორის სასუფეველი ცათა ამ ქვეყნადვე იწყება; ესაა უხილავი, შინაგანი ცხოვრება კაცისა, როცა იგი თავის გულს სახარების სიმართლეს დაუმორჩილებს და ცხოვრებას მაცხოვრის მცნებათა მიხედვით ატარებს. სწორედ ასე განგვიმარტა სასუფეველი პავლე მოციქულმა: არ არს სასუფეველი ღმრთისა საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა (რომ. 14,17). ადამიანის ცხოვრებას ორი მხარე აქვს: ერთი შინაგანი — უხილავი და მეორე გარეგანი — ხულული. პირველს შეადგენს ყოველი, რასაც იგი გულში გრძნობს, მეორეს — ხილული მოქმედებანი. ცხადია, რომ ყოველი გარეგნული მოქმედება კაცისა და საერთოდ მთელი მისი ხილული ცხოვრება

სულის შინაგან თვისებებზეა დამოკიდებული, ერთ-ერთი კაცის საქმენი იმგვარნი არიან, როგორც მისი სულიერი თვისებები და მიდრეკილებანია, რადგან იგი მხოლოდ იმას აკეთებს და წარმოაჩენს, რაც გულსა და გონებას ში აქვს. როცა მაცხოვარი გვეუბნება, მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა, ამით გვიჩვენებს, რომ ჩვენი გული და სული სახარებას დავუმორჩილოთ, ანუ ჩვენი შინაგანი სამყარო სახარების მცნებათა მიხედვით მოვანესრიგოთ, რადგან თუ ჩვენი შინაგანი ცხოვრება სახარებას დაემორჩილება, გარეგნული საქმეებიც კეთილი იქნება და ღმრთის სასუფეველში მთელი არსებით შევალთ. ერთადერთი პირობა, რომლითაც კაცს სასუფეველში შესვლა შეუძლია, სინანულია. შეინანეთ, — გვეუბნება მაცხოვარი. ხოლო თუ რა არის მონანიება, ამას იმ დედაკაცის მაგალითზე ვხედავთ, სიმონ ფარისეველის სახლში უფალს ფეხები საკუთარი ცემლებით რომ დაბანა და თმებით შეუმშრალა. ჭეშმარიტი სინანული სირცხვილისა და ნუხილის განცდაა საკუთარი უღირსების გამო. სასუფეველი ცათა ბრწყინვალე ქალაქის მსგავსია, რომლის მოქალაქენიც მდიდარი და წარჩინებული ადამიანები არიან. როგორც ღარიბსა და უქონელს არ შეუძლია მათ შორის გარევა და მათგან პატივის მიღება, თუ ჯერ სიმდიდრე არ შეიძინა, ასევე ის ქრისტიანიც, რომელიც სულიერ სიმდიდრეს ანუ სათნოებას არ შეიძენს, სასუფეველის მოქალაქედ ვერ შეირაცხება. ნათლისღება, ეკლესიაში სიარული და ზიარება სასუფეველში შესასვლელად აუცილებელია, მაგრამ შეიძლება კაცმა ეს ყოველივე აღასრულოს, და სასუფეველის მოქალაქე მაინც ვერ გახდეს, თუ მისი გული ცოდვის მორჩილი იქნება, ანუ თუ მას ღმერთზე მეტად სოფელი ეყვარება. სასუფეველი ცათა, როგორც ამას არაერთხელ განგვიმარტა-

ვს საღმრთო წერილი, კაცთა შორის ჭეშმარიტების მშვიდობის და უმეტესად კი სიყვარულის სუფევად და მამკვიდრებაა, როცა ნაცვლად ცოდვისა, მადლი და სიყვარული ჭეშმარიტება სუფევს და მოქმედებს. სასუფეველი ღმრთისა, უპირველესად, თითოეული კაცის გულში უნდა იყოს, შემდეგ ოჯახსა და ბოლოს, მთელ ქვეყანაში. მაცხოვარმა ამქვეყნად დანერგა სასუფეველი და ქრისტიანებს მისი გავრცელება, გაძლიერება და განმტკიცება მოგვანდო. ვინც ამ საქმეს სიტყვითა და საქმით შეენევა, ის მეგობარია ქრისტესი, რადგან მის საქმეს აღასრულებს, ხოლო ვინც უზნეო საქციელით ძმას აბრკოლებს — ქრისტეს მტერი, მისი სასუფევლის მათხრებელია. ღმერთმა ქრისტიანებს უმაღლესი პატივი — მისი სასუფევლის მოქალაქობა მოგვცა, ამიტომ დიდი სიფრთხილევ გვმართებს, რომ იგი ჩვენი უღირსებით არ დავეკარგოთ; სასუფეველი როგორც კაცის სულსა და გულში, ისე მის გარეგნულ საქმეებშიცაა. სასუფეველი თავად ადამიანში იმაში მდგომარეობს, რომ იგი ღმრთის ხატი და მსგავსია. მართალია, ცოდვამ დიდად იმოქმედა ადამიანის ბუნებაზე, მაგრამ კვალი იმისა, რომ იგი ღმრთის ხატებაა, თვით ყველაზე ცოდვილშიც კი არსებობს. კაცმა პირველ რიგში სასუფეველი საკუთარ სულსა და გულში უნდა ეძებოს იმ საღმრთო გახსენების აღორძინებით, რომელიც მას უფალმა შთაუწერა. ანუ სუსტი გრძნობა სიმართლისა, ვითარცა მცირე ნაპერწკალი, ერთ დიდ ცეცხლად უნდა ვაქციოთ, რომელიც მთელ ჩვენს ბუნებას გაათავისუფლებს. ღმერთმა ჩვენ ამის ყოველი პირობა შეგვიქმნა: განკაცდა, რათა ჩვენში ღმრთის ხატი აღედგინა, საღმრთო სჯული და საღმრთო წერილი — ცხოვრებისა და სინათლის უკვდავი მდინარენი მოგვცა; ასევე საღმრთო მადლის შვიდი

ნყარო — შვიდი საიდუმლო, ნირვა-ლოცვა, მარტვი და
 სხვა საეკლესიო წესები გვიბოძა. ყოველივე ეს უნდა
 მოვიხმაროთ და ჩვენს ბუნებაში ღმრთის სასუფევე-
 ლი ავაშენოთ; ღმრთის სასუფეველი გულისა და სუ-
 ლის უხილავი, შინაგანი თვისებაა. იგი იმ კაცს აქვს,
 რომელმაც ქრისტეს სჯული, მისი მადლი, ანუ იესო
 ქრისტესგან მონიჭებული სახარება შეითვისა. რო-
 გორც მოციქული პავლე ამბობს: არა არს სასუფეველი
 ღმრთისა საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და
 მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა (რომ. 14, 17).
 ა) სიმართლეს მრავალგვარი და ღრმა მნიშვნელო-
 ბა აქვს, მაგრამ უმთავრესად იგი იმ განმართლებას
 გვიჩვენებს, რომელიც ჩვენ უფალმა იესო ქრისტემ
 თავისი სიტყვითა და საქმით მოგვანიჭა, ე.ი. განმართ-
 ლებას უფალი იესო ქრისტესი სისხლითა და ხორციით,
 რომელიც მან ჩვენთვის შესწირა; ბ) მშვიდობა ყოველ
 კაცს უნდა ჰქონდეს: პირველად ღმერთთან, მეორედ
 თავის თავთან, მესამედ ყოველ მოყვასთან. ღმერთ-
 თან ჩვენი მშვიდობა აღადგინა, ანუ ღმერთთან შეგ-
 ვარიგა უფალმა იესო ქრისტემ, რადგან მან ყოველი
 ჩვენი ბრალი და ცოდვა თავის თავზე აღიღო, მაგრამ
 იმ პირობით, რომ ჩვენ მისი სწავლება გვახსოვს და
 მის მცნებებს ვემორჩილებით და ვასრულებთ. თავის
 თავთან მშვიდობა მაშინ აქვს კაცს, როდესაც თვი-
 სი გონება და სინდისი არაფერში არ ამტყუნებს და
 არ არცხვენს. სულიერი მშვიდობა მხოლოდ იმ კაცს
 გაუჩნდება გულში, რომელმაც დიდი ხნის მანძილზე
 მრავალი იღვანა და ყოველი თვისი ვნება დათრგუნა;
 გ) და ბოლოს, სასუფეველი ღმრთისა სულიწმიდით
 სიხარულია. მართალია, კაცი თავისი უღირსებისა
 და ცოდვისთვის ყოველთვის უნდა სწუხდეს და ტი-
 როდეს, მაგრამ სულიწმიდის მიერ სიხარული არათუ




სულიერი მწუხარების, სინანულისა და შემუსვრილების წინააღმდეგი, არამედ უშუალოდ მათი ნაყოფია სულიწმიდის მიერ სიხარული მხოლოდ იმ კაცს გულში ნდება გულში, რომელმაც თვისი სული ყოველმხრივ რებისგან მწუხარებითა და ცრემლით განბანა და ამით იესო ქრისტეს სიმართლე, ანუ განმართლება მიიღო და ღმერთსა და თავის თავს შეურიგდა. ამასთან, ესეც უნდა დავამატოთ, რომ კაცის გულში ღმრთის სასუფეველს რაიმე უძრავი მდგომარეობა კი არა აქვს, არამედ იგი თითქმის ყოველ წამს ხან დიდდება და ხან მცირდება. თუ გსურთ, რომ თქვენს გულში სასუფეველი ღმრთისა ყოველთვის იზრდებოდეს, ეცადეთ, რომ იგი ყოველდღე განაახლოთ და გააცოცხლოთ ისეთი სულიერი საზრდოს მიცემით, როგორცაა ლოცვა, კეთილი გრძნობა, კეთილი საქმე, მარხვა, მოთმინება და სხვ.

წმინდანი

წმინდანები კეთილმსახური, ღმრთისმიყვარე და ღმრთივგანათლებული ადამიანები იყვნენ, რომელნიც სიტყვითა და საქმით, შრომითა და მოღვაწეობით ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებას, ქვეყანაზე ცათა სასუფეველის დამკვიდრებას ემსახურობდნენ. ამიტომაც ჩარიცხა ისინი ეკლესიამ წმინდანთა დასში. სახარებაში ამგვარი ადამიანების ცხოვრება და ღვანლი მოკლედაა გამოხატული მაცხოვრის სიტყვებში: ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამი წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა. წმინდანები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყოველი კაცის წინაშე ქრისტეს სჯულს ქადაგებდნენ, როგორც სიტყვით, ასევე საქმით. ზოგიერთი მათგანი სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დადიო-

და და ხალხს ქეშმარიტი სარწმუნოებით ანათლებდა, ხოლო სხვანი თუმცა სიტყვით არ ქადაგებდნენ, მაგრამ მთელი მათი ცხოვრება და საქმიანობა ქრისტეანადაც სახარების აღსრულებას წარმოადგენდა. ქრისტეანად იყო. ისინი ამქვეყნად ქრისტეს ცოცხალი ხატნი, ამ სოფლის მნათობნი და მარილნი იყვნენ. წმიდანები ნათლად გვაჩვენებენ, რა ძალა აქვს ქრისტეს სახარებას, როგორ ცვლის და განაბრწყინებს იგი ადამიანის ბუნებას. მათ სინმინდისა და სათნოების ყველა სახის მაგალითი მოგვცეს. უკეთუ სახარების მცნებებს ვემორჩილებით და ღმრთის შიშითა და სასოებით ვცხოვრობთ, ჩვენც ვალიარებთ ქრისტეს წინაშე ყოველთა კაცთა, ხოლო თუ პირიქით ვიქცევით, მაშინ უფალს საქმით უარვყოფთ, რომელიც სიტყვით უარყოფაზე უარესია. რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და არ შემომიდგეს მე, არა არს ჩემდა ღირს, — აი, მეორე მცნება, რომელიც წმინდანებმა აღასრულეს. მთელი მათი ცხოვრება დაუსრულებელი შრომა და მოღვაწეობა, ანუ ქრისტეს ჯვრის ტვირთვა იყო. უსახლკარონი, დევნილნი, შიშველნი და მშიერნი ყოველგვარ ამასოფლიურ ნუგეშს მოკლებულნი სიკვდილის შიშითაც არ თმობდნენ სოფლის განათლებისათვის ზრუნვას. თუ რას მიიღებდნენ ისინი სანაცვლოდ თავდადებული და ერთგული სამსახურისა, გამოხატულია მაცხოვრის სიტყვებში, რომელიც მან პეტრე მოციქულს უთხრა: რაჟამს დაჯდეს ძე კაცისა საყდარსა დიდებისა თვისისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა. ღმერთს შეეძლო კეთილმსახურების საზღაური წმინდანებისათვის ამქვეყნადვე მიეგო, მაგრამ ნაცვლად ამსოფლიური დიდებისა და ნუგეშისა, ზეცაში უმჯობესი მისაგებელი გაუმზადა, რომლითაც ახლა ისინი ტკბე-

ბიან. ამიტომ, როცა კეთილ ცხოვრებას შევუდგებით,
ღმრთისაგან მაშინვე ჯილდოსა და სარგებელს არ
უნდა ველოდოთ და სულმოკლეობა არ უნდა უწამროს
ულავნოთ.



თანამედროვეთა მოგონებები გაბრიელ ეპისკოპოსზე

მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე იგონებს:


„დიაკვნების გამოცდა უყვარდა. სემინარიელებს პირველ ხანში არ სცდიდა, მერე კი ერთხელ მგალობელმა ნიკო ბერძენიშვილმა იოხუნჯა გაბრიელთან:

— ბატონო, ახალმა ნაკურთხმა სემინარიელმა წირვაზე აღსავლის კარები ჩაგვიმტვრია!

— როგორ თუ ჩაგვიმტვრიათ! — გაიკვირვა მღვდელმთავარმა.

— როგორ და ბარძიმ-ფეშხუმი რომ გამოასვენა, აღსავლის კარების გაღება დააინწყდა. როცა მოახსენეს და კარებისკენ მიბრუნდა, დაკეტილი დახვდა, წიხლი ჰკრა გასაღებად და კარები ჩამოვარდა.

ყოვლად სამღვდელომ არაფერი არ თქვა, მაგრამ შემდეგ გამოცდაში იწვევდა სემინარიელებსაც. ჯერ თვითონ ცდიდა. მერე მეც მისწრებდა ტიპიკონში გამოსაცდელად. ერთხელ მარხვანში ერთ მათგანს შეხვდა სიტყვები (კითხვის დროს): „განზოგადება სამარხვათასა“. შეაჩერა აქ ყოვლადსამღვდელომ და ჰკითხა: „განზოგადება“ რა არისო. განზოგადება, ბატონო, განზოგადებაა, მიუგო სემინარიელმა. გაბრიელმა გადაიხარხარა, მერე უთხრა: „სემინარიელები არაფერს აკეთებთ, თავი კი დიდად მოგაქვთ! თუ რუსულის და ლათინურის ამოღეჭვა ისწავლეთ, საკმარისი გგონიათ! ქართულს თუ სწავლა უნდა, ამას არ ფიქრობთ!



ჩემ დროს ქართული ნიგნები ძნელად იშოვებოდა და ჟურნალ-გაზეთები კი სულ არსად იყო. ამიტომ, როცა რუსეთიდან ჩამოვედი, ქართული არ ვიცოდი. მაგრამ განა უმეცადინოდ ვისმე რამე ეცოდინება! მერე შევისწავლე. აბა, ქართულის უცოდინარი ქართველი რა ქართველია?! ისიც მღვდელი! სიტყვა „განზოგადება“ ნიშნავს აქ მარხვის განახევრებას და მეორე ნახევრის დანყებას“.

მთავრობასთან თავს მაგრად იჭერდა, ბრმად არ ემორჩილებოდა. კანტორის „ბრძანებებს“ ხშირად საბუთიანად არღვევდა. ერთხელ იცოდა ეგზარქოსის ქუთაისში ჩამოსვლა, თვითონ რევიზიაში იყო და არ შეხვდა. სადგურზე არასოდეს არ გაეგებებოდა. სახლში დახვდებოდა. მზადება სრულიად უბრალო იცოდა. მახსოვს, ერთხელ ეგზარქოსის ვახშმისთვის ფული სთხოვეს და მზარეულს მანეთნახევარი მისცა“.

ილუმენი კაცხის მონასტრისა გრიგოლ (ჩხაიძე):

„ყოვლადსამღვდელიო გაბრიელი თუ თბილისში ჩავიდოდა, უთუოდ ცოლ-შვილის საფლავზე, ვერაზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში პანაშვიდს გადაიხდიდა.

შეცდომით შევსულვარ ხოლმე მის ოთახში და ხატის წინ დაჩოქილი მტირალი მინახავს. გამწყრომია.

დღე არასოდეს იძინებდა. ერთხელ შუალამეზე მოვიდა პრინცი ოლდენბურსკი, ჯვრისწერის ნებართვა უნდოდა ა-ზე. გავალვიძეთ ბატონი და სთქვა: „რა უნდა ახლა მაგას ჩემთან?!“ მიიღო. თხოვნაზე უარი უთხრა. საკრებულო ტაძარში არ დაანერინა ჯვარი. ხშირად წირვიდან დაბრუნებისას პურს წამოიძღვანებდა თან სადილისათვის ნაყიდს...

ერთხელ საპყრობილეში გამატანა პური და საცვლები. მიბრძანა, ჩემი სახელი არ გაამჟღავნო. მერე

თავისი ქადაგებები გამატანა, ორი ტომი. ბრძანა, ეს იკითხონო.

დიდ ზამთარში დამარონინებდა, შეგირდებსა და მცხოვრებლებს, შემიტყეო, ვის უჭირს ჩემი სანაძა ტანდა შეშას, ფულს.

საჩინო მესხი კვდებოდა და სამი თუმანი გამატანა.

სტუმარი, გარდა ახლო ნათესავეებისა, არ უყვარდა.

მაქვს მისი შანდალი, ლოცვის დროს რომ იდგამდა, ფრაჟის საჩაიე, ბზის ყავარჯენი, ჟესტის პირსაბანი, სურა, ტაშტი. ლომი ქიქოძეებს აქვთ. პანალია ერთი ბესარიონს ჰქონდა, ერთი ლეონიდეს. ერთი „სანოლი“ და ორი საბანი ჰქონდა. საბნები მეზუტკემ იყიდა.

ერთხელ არფიანკები ჩამოვიდნენ ეზოში. ბატონის ძმამ, ივანე მღვდელმა, იწყინა და გაყრა დაუპირა. ბატონმა უთხრა ძმას: „შენ რა იცი! ერთი ქვეყანაა, იქ მაგ ხელობით რჩება ხალხი“. ამოიღო ერთი მანეთი და გამატანა“.

დეკანოზი იოსებ წერეთელი იგონებს:

„1875 წელს გაბრიელს ვახლდი აფხაზეთში. მაინი იყო. ფოთიდან ბიჭვითაში გავედით. იქიდან აფხაზეთ-სამურზაყანოს. ბიჭვინთაში რუსის ბერები იდგნენ. სწირა აქ გაბრიელმა, მეორე დღეს სოხუმის ოლქის უფროსის გენერალ გეიგმანის თანხლებით სოფლების დასათვალიერებლად გაემგზავრა. ყველგან ხალხი გვხვდებოდა. ქადაგებდა. ბევრი ინათლებოდა. თარჯიმანი იყო მღვდელი ივ. გეგია-აფხაზი. საუცხოოდ თარგმნიდა. გეგია რუს-ოსმალოს დროს მოიკლა ღალატით აფხაზთაგან. სოფელ ჯგერდეში, საცა 300 კომლი მოუნათლავი აფხაზი ეახლა, ერთი უსიამოვნება შეგვხვდა: მღვდლისას დავბინავდით. ჩვენთან იყო აფხაზეთის მისსიონერ ბლალოჩინი



დეკანოზი დავით მაჭავარიანი. გენერალი გეიგმანი ახლო სოფელში დაბინავდა. შუალამე იყო. ატყდა საშინელი ხმაურობა. ჩვენს ბინას შემოურთქმუნულნი შეიარაღებული აფხაზი. ჩვენ შევშინდით, გაბრძნობილნი გვამხნევებდა. გამოვიდა აივანზე და დაუნყო ხალხს დამშვიდება. არ სცხრებოდენ და ყვიროდენ: „არ გვინდა ქრისტიანობა, გაგვშორდით, თვარა ამოგხოცავთ!“ მოჰყვა თოფის სროლა. თოფის ხმაზე გენერალი გეიგმანიც მოვიდა. აფხაზები ჯერ არც ამას შეუშინდენ, მარა ბოლოს დიდი თათბირის შემდეგ დაიშალენ. მეორე დღეს მეტი ხალხი მოვიდა. გაბრიელმა სიტყვაში მათი წარსული დაასურათა, ყურანი, რომელიც კარგად ჰქონდა შესწავლილი, ქრისტეს სახარებას შეადარა. ბევრი მოინათლა, სამი დღე დავრჩით აქა. წასვლაზე გეიგმანმა გაბრიელს უზანგი დაუჭირა და მერე ხალხს უთხრა: „ხომ ხედავთ, მე გენერალი ვარ და როგორ პატივსაცემ ამ წმინდა კაცს! თქვენც უნდა გაუგონოთ ამას, ეს ხელმწიფისგან არის გამოგზავნილი“.

აფხაზეთში გაბრიელი რევიზიის ანგარიშს თვითონ წერდა, გაბრიელმა ბევრი აფხაზი გაზარდა თავისი ხარჯით“.

მღვდელი გიორგი ლოსაბერიძე იგონებს:

„ეგონებ, 1862 წელს იყო, რომ გაბრიელი გამობრძანდა სარევიზიოდ ოკრიბაში. ახალი შტატების სიებს ასწორებდა. კომისიის წევრებს და ბლალოჩინებს ბევრი უწესობა აღმოაჩნდათ. მე ექვთიმე ეპისკოპოსისგან ვიყავი განწესებული მედავითნედ ძიროვნის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ვმსახურობდი 6 წელს. კომისიამ ქრთამის წყალობით გამომრიცხა, უადგილოდ დამტოვა და სხვა უსწავლელი პირი დანიშნა.“

მობრძანდა გაბრიელი და როცა შევჩვილე, მღვდელს ჰკითხა: „ეს იყო აქ, თუ არა?“ — იყო, ბატონო, მაგრამ არ მსახურობდა, — მიუგო მღვდელმა. — ბატონო, მღვდელი ცრუობს, — ჩაერბა ჩემს წინაშე იყო აქ და კიდევაც მსახურობდა ნ ნელს.

— სადაა, ბლალოჩინო, ჩანერილი ეს მედავითნე, თუ აქ გამორიცხეთ? — ჰკითხა ეპისკოპოსმა ბლალოჩინს.

— სადმე იქნება ჩანერილი, არ მახსოვს, — მიუგო ბლალოჩინმა.

ჩამოიარა ყველა ეკლესია, ეძია, მაგრამ არსად არ აღმოვჩნდი დანიშნული. გაჯავრდა და ჩემი ალაგი დამიბრუნა. მერე კიდევ მაკურთხა და დამარიგა: „ნურც ძლიერ დაუშვებლდები ვისმე, რომ არ დაგიბრიყვოს, და ნურც აუმაღლდები, რომ არ შეგიძულოს“.

მღვდელი სპირიდონ ჯულელი იგონებს:

„სკანდის მრევლიდან ჩემ სამშობლო სოფელ სვირში გადაყვანა ვსთხოვე გაბრიელ ეპისკოპოსს და გადმომიყვანა. ცოტა მერე სემინარიელმა ალექსი ცხადაძემ სთხოვა ეს ალაგი და უარი მიიღო, ასე უთხრა, უკვე მივეცი ჯულელსო. შეგზავნა მან გაბრიელთან თავისი ნათესავი ზედამხედველი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა ფ. ფხაკაძე. ეს ის დრო იყო, როცა გაბრიელის მეცადინეობით, როცა იმერეთის სამღვდლოებას სემინარიის დასაარსებელი ფული გადადებული ჰქონდა. ფხაკაძემ მოახსენა გაბრიელს: „ბატონო, სემინარია რისთვის გინდათ, თუ სემინარიელს იმდენ პატივსაც არ სცემთ, რომ უბრალო სოფლის ალაგზე უარს ეტყვიით და მას ამბჯობინებთ ოთხ კლასიანს! მასწავლებელი ცხადაძე სირცხვილით ავად გამხდარა და კვდება. ახლა, სამღვდლოება?! ასე ამბობს, სემინარიას არ ავაშენებთ, რაკი ჩვენ შვილებს ამაზე მეტი

ფასი არ ექნებაო!" ამ სიტყვებმა ისე შეანუხა ვის-
კოპოსი, რომელსაც სემინარიისთვის თავი გადადებუ-
ლი ჰქონდა, რომ წამართვა მოცემული ალაგი და ცხა-
დაძეს მისცა.

ერთხელ ჩემ საქმეზე შევედი გაბრიელთან და ამ
დროს ვილაც დიაკვნის ქვრივი შემოვიდა ტირილით და
მოახსენა, წვრილი შვილები ვერ ვარჩინე და ორი შვი-
ლი კლასიდან უნდა გამოვიყვანო. ჯერ უარი უთხრა,
მერე ზედამხედველთან დახმარებას დაჰპირდა. ქალი
ეუბნებოდა, მანამდი რალა ვქნა, დღეს საჭმელი არა
გვაქვსო და გავიდა ტირილით. გამაგზავნა, მომაბრუ-
ნებიანა დედაკაცი და სამი თუმანი ჩაუდვა ხელში.

როცა მაკურთხა, ასე დამარიგა: „იციან მღვდლებმა
მამლის ყივილზე მისვლა ეკლესიაზედ ცისკრის ლო-
ცვაზე, როცა ხალხი ვერ ესწრება ლოცვას. ვისთვის
ლოცულობენ ცარიელ ეკლესიაში?! შენ ასე არ ჰქმნა.
ამოვიდეს მზე, ადგეს ხალხი და მერე დარეკე და ილო-
ცე, ყველა მოვა, ევლოგიას მიიღებენ და მადლია. თუ
შენთვის გინდა, შინ ვერ ილოცავ?! შენ ხშირად იქნები
სოფელში და ბავშვებს პირჯვრის წერა ასწავლე, ლოც-
ვებიც საჭიროა, დიდებმა არ იციან. შენ მასწავლებლო-
ბაში გამოცდილი ხარ, მისვლისთანავე სკოლა გახსე-
ნი“. მეც შევასრულე მისი ბრძანება“.

მღვდელი სპირიდონ ბრეგვაძე იგონებს:

„1888 წელს გაბრიელი მობრძანდა კაცხში. მაშინ
სკოლა არსად იყო. მე მქონდა სკოლა, მაგრამ შენობა
არა. ხან ხის ქვეშ ვასწავლიდი, ხან სენაკში ეკლესიას-
თან. გაეგო, სკოლა აქვსო და დამიბარა. ვეახელი კა-
ცხში ბავშვებიანად. გამოცადა და ძლიერ ეამა; ჯვრე-
ბიც დაურიგა ბავშვებს. მეორედ რომ მობრძანდა,
შენობაც დავახვედრე, გამოცადა ბავშვები და ჯვრე-

ბით და ბროშურებით დააჯილდოვა. მე მღვდლად მაკურთხა“.

ერეკლე

ვაჭვევის მცხოვრები მიხეილ საყვარელიძე

„გიმნაზიაში როცა ვსწავლობდი ქუთაისში, გაბრიელი ხშირად შემობრძანდებოდა ხოლმე გიმნაზიაში. მაგრამ ბევრისგან გამიგონია, გაბრიელი ფარისეველია, განგებ იქცევა აგრე, გულში ურწმუნოაო. მე მწყინდა და მსურდა, დავრწმუნებულიყავი. შემთხვევა მალე მომეცა. ერთხელ, რევიზიის დროს, დალალული გაბრიელი ჩვენსას გაჩერდა სოფელში და ცალკე ოთახში მოისვენა. მეორე დღეს მწირველი უნდა ყოფილიყო. მე განგებ ცალი ფანჯრის ფარდა არ ჩამოვაფარე და ვუთვალთვალე, აბა, შუალამის ლოცვები თუ ილოცოს-მეთქი. ყველას ეძინა, მე კი ფანჯრის ძირში ვიყავი ჩაცუცქული და შევჩერებოდი. ცოტა რომ წაიძინა, ადგა, აიღო ოლარი, დაიჩოქა ხატის წინ და ყველა საიდუმლო შუალამის ლოცვები ჩამოათავა და მერე ისევ მოისვენა. მე ძლიერ გამიხარდა, რადგან ის ხმები და აზრი არ გამართლდა“.

დეკანოზი მიხეილ სხირტლაძე იგონებს:

„როდესაც მე სემინარია დავამთავრე, 1883 წელს, გამოვეცხადე გაბრიელ ეპისკოპოსს და ვსთხოვე მღვდლობა სადმე რაჭაში; ეს დიდად ესიამოვნა და მიბრძანა: „ორი სამრევლო არის იქ ახლა დაცლილი: ხვანჭკარა და ინა, წადი, გაიგე ადგილობრ და რომელიც სამჯობინო იქნება შენთვის, მას მოგცემო“. მრევლის გამორჩევიდან დაქორწინებამდე მეორე წლის ივანობისთვის მოაწია და დამაგვიანდა. ამ ხნის განმავლობაში ორივე მრევლისათვის ბევრი მთხოვნელები აწუხებდნენ და უმეტესად ხვანჭკარელი თავადები ყი-

ფიანები, რომელნიც თხოულობდენ მათ მიერ არჩეულ პირს მღვდლად; მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა: „უნდა სემინარიელი, განათლებული პირი ჰყავდეს“¹ ზავნო მღვდლად, ის გიჟობსთო...“²

ლექსი-მოგონება ილია ფერაძისა

(ორი სურათი ყოვლადსამღვდელო გაბრიელისა ცხოვრებიდამ)

ამ ლექსის შინაარსი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ყოვლადსამღვდელო გაბრიელი აპირებდა რუსეთში გადასვლას, თავმოებურებული ათასგვარ დაბეზლებებით და ცილის წამებით, უფრო კი თავის მემამულეებისგან.

უბრალოდ მორთულ სუფთა ოთახში

ჰკიდია ხატი ქრისტე მაცხოვრის;

იმის წინ ბუფტავს ზეთის კანდელი

გამომცემელი მკრთალი სინათლის.

სინათლე ისე სუსტი ცახცახით

ოთახის კედლებს ეთამაშება

და ხატისა წინ დაჩოქილს მოხუცს

სპეტაკ სახეზე დაეფინება.

ოხრავს მოხუცი, კვნესის და გმინავს:

სჩანს, მეტად ღრმაა მისი ნაღველი,

მაცხოვრისა კენ აღიპყრობს ხელებს

თვალთაგან ცხარე ცრემლისა მღვრელი.

მთლად გათეთრებულ იმის გრძელ წვერსა

ზედ ეპკურება მისი ცრემლები,

და მწარე ნაღველით შეზავებული

ისმის შემდეგი მისი სიტყვები:

„ოცდახუთ წელსა ვემსახურები,

ძეო ღვთისაო, იმერთა სამწყსოს,

იმის ზნეობითს გწვითარებას

ვწირავ ყოველ წუთს და ყოველსა დროს.
 მიყვარს ეს სამწყსო, შენის სისხლითა
 განბანილი და გამოსყიდული, ერეკლე წულცი
 პირველწოდებულ ანდრიას მიერ ბიზლიჩიძე
 შენივე სწავლით განშუქებული;
 აქვე ვიხილე წუთის სოფელი
 და მისივე ვარ მე ღვიძლი შვილი;
 ჩემსა საკუთარ ვარმად მიმაჩნის
 მისი ჭირი და გულის ტკივილი.
 ურწმუნოება-უსასოებას
 მუდამ ვსდევნიდი თავ-განწირული;
 მსურდა მენახა იმერთა მხარე
 სწავლა-ცოდნითა დამშვენებული.
 არ მეშინოდა ცილისწამების,
 არცა სხვადასხვა მაბეზლარისა;
 ყოველსა მტერსა პასუხს ვაძლევდი,
 რადგან მფარვიდა მე ძალი ღვთისა...
 ვნატრობდი სიკვდილს ჩემს სამშობლოში,
 იმის წიაღში განსვენებასა,
 და ქართველ ძველი მოღვაწეების
 საფლავთა შორის „დამკვიდრებასა“.
 და მაშინ, ოდეს ჩემსა სიბერეს
 განუმზადებდი მყუდროებასა
 და მოველოდი ჩემის ნაშრომის
 სამართლიანსა დაფასებასა,
 მტრის შურმან დამცა... ცილისწამებით,
 მუქარით, ლანძღვით მიტყდება გული.
 ვატყობ, მყობადში ველარ იგემებს
 სიტკბოებასა აქ ჩემი სული.
 ვერვის დავსწყევლი... მხოლოდ დავსტოვებ
 საყვარელ სამწყსოს ცრემლისა მღვრელი;
 მის განშორებით მოხუცს უდროოდ

დამინდობს გულსა მწვავე ნალველი.
დაღონებული მისის ვერხედვით
საუცხოოში გარდავიცვლები
და ჩრდილოეთის ცივი ცის ქვეშე
შავ ბნელ სამარეს მივებარები.
სიკვდილის წინაც ჩემი სამშობლო
ჩემისა ლოცვის საგნად იქნება;
მის სიყვარული, იმისი ტრფობა
მე სამარეშიც კი თან ჩამყვება!..“
ასე იტყოდა მოხუცებული
მღვდელმთავარი და თან ქვითინებდა;
ჰაეროვნებით ძველისა აღთქმის
წინასწარმეტყველს მოგვაგონებდა.
გამწყრალი თვისთა შვილთა ურჩობით
ამავე შვილებს ღმერთს ავედრებდა...
თანაც ყოყმნობდა... საყვარელ სამწყსოს
დასატოვებლად ვერ იმეტებდა.
აკვირდება ის ჯვარცმულ მაცხოვარს
ძალა ეძლევის მოხუც მღელვარეს.
ეს ძალა იმას უმხნეებს გულსა,
მისსა არსებას აღფრთოვანებას...
ნუ თუ დასტოვებს მართლა სამშობლოს
და სამწყსოს თვისსა მით დააობლებს?!

II

„რად გავიფიქრე ჩრდილოეთს წასვლა,
რად დამეკარგა მტკიცე მხნეობა,
რისთვის შემიპყრო უსასოებამ
და ჩამესახა სულმოკლეობა?!
ვერ მივატოვებ საყვარელ სამწყსოს, —
აღარ მსურს, აღარ წავიდე სხვაგან,
გინდა დამკუნონ აქ ლუკმა-ლუკმად

და გინდა ჯვარზე ცმულ ვიქმნე მტრისგან...

ტურფა გელათო! შენა ხარ ძარღვი

ქართველი ერი წარსულ დიდების,

კერა ხარ მათი ეროვნებისა

და წინდი მისი აღორძინების...

ყოველსა ქართველს შენი მოლოცვა

ერთგზის მაინცა ენატრებოდა

და სხივი შენი განათლებისა

მთელ საქართველოს ეფინებოდა...

ორი მზე ქართველთ ბედნიერების:

დავით დიდი და „თამარ წყნარი“

მუდამ გეტრფოდენ და შენ წილშიც

ნახეს სამუდმო თავშესაფარი.

დიდო გელათო, წმინდა სავანევ

უკვდავი დავით აღმაშენებლის,

შენ შემივედრე, როს აღვსრულდები,

მადიდებელი შენის სახელის!

შენსა წიაღში, დავითის გვერდით,

მეც მიწყალობე ერთი სამარე;

იქ ჩამიხუტე შვილივით გულში

და შენი მიწაც გადამაყარე!“

ასე იტყოდა იმავე ხატის წინ

მეორე დღესა მოხუცებული

და ეტყობოდა, თავ-განწირვისა

ღრმა გრძნობით იყო ის გამსჭვალული...”

ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს:

„გაბრიელ ეპისკოპოსი პირველად ახლო ვნახე საღმრთო რჯულის გამოცდის დროს, როდესაც ოთხკლასიან პროგიმნაზიას ვათავებდი ქუთაისში. ის გამოცდაზე დასასწრებად სკოლის ინსპექტორმა იუდინმა და საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მოიწვიეს. მართლ-




მადიდებელი შეგირდები სულ ხუთი ვიყავით: მე, იოსებ დადიანი, შარუხია, გორგასლიძე და ერთი რუსი (გვარი არ მახსოვს). ყველანი ერთად დაგვაყენებდნენ ბრიელის წინ (ისე მოისურვა მან). გაბრიელმა ინსპექტორი, მაჭავარიანი კი თავზე გვედგა. ჯერ გვარები წაიკითხა, ჩემი გვარის შესახებ თქვა: „ეს გურულიაო“. დაგვიწყეს გამოცდა: გვათქმევინეს ლოცვები, გვაამბობინეს სამღვთო ისტორიის მოთხრობები; მერე გაბრიელმა გვკითხა, თუ რა სასწაულები მოახდინა იეოს ქრისტემ. ჩვენც დაწვრილებით ჩამოვუთვალეთ, რაც ვიცოდით. მან გვითხრა: „Такие чудеса и другие святыя совершали, а какое такое чудо совершил – да даსძინა: — какого никто, кроме него, не совершил“?

ამ კითხვაზე ჩვენ მხოლოდ განვიმეორეთ ის, რაც წინათ გვქონდა ნათქვამი: „Слепых прозревал, бесноватых исцелял, Лазаря воскресил“... და სხვა. „Нет, нет! это и другие делали“.

ჩვენ გაკვირვებით შევხედეთ ჩვენს მასწავლებელს მაჭავარიანს, რომლისგანაც ასეთი კითხვა არ გვსმენოდა, და, რა თქმა უნდა, არც მისი პასუხი. მასაც გაკვირება ეტყობოდა და ცხადი იყო, არც მან იცოდა, რა პასუხი უნდა მიგვეცა. რაკი ჩვენ ვერას გავხდით, გაბრიელმა თვით მოგვცა პასუხი: „Себя воскресил! Себя воскресил!“

მე ვერ წარმომედგინა, რომ მკვდარი კაცი თავის თავს გააცოცხლებდა, ის სხვას უნდა გაეცოცხლებინა, მაგრამ პირდაპირ ამის ხმამაღლა განცხადება ვერ გავბედე და თავჩალუნულმა ჩავილაპარაკე: — „Вед у Христа был отец, Бог Отец! Он его воскресил“. გაბრიელმა განმარტა: „Бог Отец, Бог Сын и Дух Святой одно единое божество, бог сын явился на



земле в образе человека, чтобы своим страданием искупить род человеческий, после распятия в нем умерла человеческая природа и не божественная, и эта божественная природа снова воскресила себя в образе человека, чтобы показаться своим ученикам и убедить их и весь мир, что бог не умирает и на глазах учеников в образе человека вознесся на небо и в образе человека явится в мир во время второго пришествия“... და სხვა.

შემდეგ გაბრიელი მე აღარ მინახავს, მაგრამ სხვებთან გამიგონია, რომ მან ასეთი კითხვების წამოყენება სხვა გამოცდების დროსაც იცოდა.“

წმინდა გაბრიელის ქადაგებანი

წმინდა გაბრიელის ქადაგებანი, რომელიც პირველად 1865 წელს დაიბეჭდა, ქართული საღვთისმეტყველო სკოლის, კერძოდ კი, ქართული ჰომილეტიკის საუკეთესო ტრადიციების შესანიშნავ გაგრძელებას წარმოადგენს. მის ჰომილიებს ძირითადად ორი დანიშნულება აქვს — ხალხის გათვითცნობიერება ქრისტიანული მოძღვრების უმთავრეს მცნებებში წმინდა ნერილის ცალკეული ადგილებისა და ქრისტიანულ დღესასწაულთა განმარტებათა საშუალებით და მრევლის ზნეობრივ-მორალური თვალსაზრისით აღზრდა. ქადაგებებში აშკარად იგრძნობა ის საოცრად ღრმა და ზუსტი ცოდნა ღვთისმეტყველებისა, რომელიც წმინდა გაბრიელს ჰქონდა მიმადლებული.

განმარტება ანუ აღხსნა ცხრათა ნეტარებათა, თქმული ოსეთში, კუდრის ხეობაში

მოძღვრება პირველი

„ნეტარ არიან გლაზაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

წმიდასა ეკკლესიასა შინა ხშირად გვესმის ჩვენ, ძმანო, სიტყვანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი, რომელთა შინა იგი უწოდებს ნეტარად გლაზაკთა, მგლოვარეთა, მშვიდთა, მონყალეთა და აღუთქვამს მათ სასუფეველსა ღვთისასა, ანუ ნუგეშინის-ცემასა.

ამ სიტყვებში მაცხოვარი გვასწავლის ჩვენ ცხრა ნეტარებასა, ანუ ცხრა სათნოებათა. მე მსურს აღვიხსნა თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, ეს სწავლა მკაცრად რომელ დიდად საჭირო არის, ყოველმან ჩვენს ცხოველს იცოდეს და ახსოვდეს იგი.

პირველი ნეტარება არის შემდგომი: ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა. ვინ არის, ძმანო, გლახაკნი სულით? თუ გინდა შეიტყო, ვის უნოდებს ესრედ მაცხოვარი, მოიგონე, ვის ვეძახით იმისთანა კაცს, რომელსაც თავის საკუთარი არაფერი არა აქვს: არც სახლი, არც კარი, არც ტანის-სამოსი, არც საჭმელი. არამედ ყველგან დადის და მოწყალებას ითხოვს და იმითი ცხოვრობს. აქედგან, სულიერი გლახაკი, ანუ გლახაკი სულითა ის არის, რომელიც გრძნობს თავისს გულში, რომ თავის საკუთარი არაფერი არა აქვს: არც ღირსება, არც სათნოება, არც სინმიდე, არც სამსახური ღვთის წინაშე, არამედ ღვთისაგან გამოითხოვს მოწყალებასა და იმით სცხოვრობს სულიერად; მაშასადამე, გლახაკი სულითა არის კაცი თავმდაბალი, წყნარი, რომელსაც თავის თავი დიდად არ მიაჩნია და, თუ-გინდ კეთილი კაცი იყოს და ბევრი კეთილი საქმე ექმნას, მაინც თავის გულში მდაბალი არის. ხორციელი გლახაკი ყოველთვის არის დაღონებული და მწუხარე თავის სიღარიბისაგან; ეგრედვე, ვინც არის სულიერად გლახაკი, ისიც არის მწუხარე და დაღონებული თავის უღირსებებისა და სიცოდევისაგან. ხორციელს გლახაკს არა აქვს თავის თავზედ იმედი, არამედ ყოველსავე მოწყალებას ელის კეთილთა კაცთაგან; ეგრედვე, ვინც არის გლახაკი სულითა, მასაც არა აქვს იმედი, რომ თავისი თავი გაიმართლოს ღვთის წინაშე, არამედ ყოველი სასოება ღმერთზედ აქვს. ესე ვითართა კაცთა ღმერთი აღუთქვამს სასუ-




ფვეელსა ცათასა: ნეტარ-იყვნენ გკახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა. რისთვის აღუ-
 თქვამს მათ ღმერთი ესრედსა დიდსა ჯილდოსა, მისთვის
 თვის, რომელ, ვისაც აქვს გული მდაბალი, ვინც მდაბალ-
 თავის უღირსებას და მწუხარე არის, ესრედი კაცი ყო-
 ველთვის მოერიდება ცოდვასა, ყოველთვის ევედრება
 ღმერთსა, რათა განსწმიდოს იგი ცოდვათა მისთაგან.
 ჩვენ ყოველნი ვართ ღარიბნი, ძმანო ჩემნო, სულიე-
 რად მოკლებულნი მადლითა და სათნოებითა და აღვ-
 სებულნი ცოდვათა; მაშასადამე, თუ თვით ღმერთი არ
 შეგვენია თვისითა მადლითა და მოწყალებითა, არ შეგ-
 ვიძლიან განვმართლდეთ ღვთის წინაშე. გარნა მადლი
 ღვთისა მიეცემა და შეენევა კაცსა თავმდაბალსა, ანუ
 გლახაკსა სულითა. აქეთგან სჩანს, რა დიდი და საში-
 ნელი ცოდვა არის ამპარტავნება, ესე იგი, როდესაც
 კაცს თავის თავი დიდათ მიაჩნია და თავის გულში ფი-
 ქრობს, ვითომც იგი იყოს მართალი და წმიდა ღვთის
 წინაშე. ამპარტავნება არის სულის მომაკვდინებელი
 ცოდვა, მისთვის რომელ ამპარტავანს ღვთის მადლი
 არ შეეხება; გარნა ვინც განშორებული არის ღვთის
 მადლისაგან, ის სულიერად მკვდარია.

ნეტარ-იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგი-
 ნი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

მეორე ნეტარებასა ღმერთი აღუთქვამს მათ, რო-
 მელნიც არიან მწუხარენი, ანუ მგლოვარენი გულითა:
 ნეტარ-იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი
 ნუგეშინის-ცემულ იქმნენ. მგლოვარება ანუ მწუხა-
 რება, ძმანო ჩემნო, არის ორ-გვარი: ერთი ხორციელი
 ანუ სოფლიური და მეორე სულიერი, ხორციელი ანუ
 სოფლიური მწუხარება ის არის, ოდესცა კაცი სწუხს ამ
 სოფლის ზარალისა ანუ უბედურებისაგან; მაგალითე-
 ბრ, ავათ-მყოფობისა, ანუ სიკვდილისა, ანუ სიღარიბი-

საგან, ანუ სხვათა რომელთამე ამ სოფლის უკნაქოფი-
ლებათა, გინა უბედურებათაგან. სულიერი მწუხარება
ანუ მგლოვიარება ის არის, ოდესცა ქრესტიანე დაჯი-
ნებულია და მწუხარე თავის საკუთარეს სიცოცხლესა და
უღირსებისაგან. მაცხოვარი მეორე ნეტარებას ალუთ-
ქვამს სულიერისა მწუხარებისათვის. ამ ქვეყანაზედ
ჩვენ ყოველნი ადამიანნი ისრედს კაცს უწოდებთ ნე-
ტარად და ბედნიერად, რომელიც ყოველთვის არის
მხიარული და კმაყოფილი, ყოველთვის იცინის და
ლხინობს; გარნა მაცხოვარი ნეტარად უწოდებს მათ,
რომელნი არიან მგლოვარენი გულითა. რისთვის? მის-
თვის, ძმანო ჩემო, რომელ ვისაც ახსოვს თვისი უღირ-
სება, ვინც სწუხს სიცოცხლისა თვისისაგან, იგი ყოველ-
თვის ერიდება ცოდვას, ინანებს, როდესაც უნებლიედ
ცოდვა ქმნა და ესრედ მიიღებს ღვთისაგან სულიერსა
მადლსა. გარნა რისთვის სთქვა ღმერთმან: რამეთუ
იგინი ნუგეშინის ცემული-იქნებიან? როდის იქმნებიან
იგინი ნუგეშინისცემულ? იგინი იქმნებიან ნუგეშინის-
ცემულ სრულითა ნუგეშის-ცემითა მომავალსა საუკუ-
ნესა შინა, ოდესცა მიიღებენ იგინი განსვენებასა ცოდ-
ვათასა და ნეტარებასა; გარნა აქაც, ქვეყანასა ზედა,
მიიღებენ იგინი რომელსამე ნუგეშსა. იქმნება ზოგმა
თქვენგანმან, ძმანო, კიდევ გამოსცადა, რომელ მწუ-
ხარებით დამძიმებულსა მიეცემა რაოდენიმე შვება და
მოსვენება, უკეთუ მან შეიძლო ტირილი; ხოლო მგლო-
ვარე კაცი უმეტესად შეწუხდება, უკეთუ არ მოუვიდა
ცრემლი, ვინაითგან მწუხარება დაეცა გულსა მისსა და
ვერ გამოვიდა გარეშე: ესე-ვითარი თვისება აქვს ცრე-
მლთა, რომელ იგინი შიგნიდან გამოიყვანენ მწუხარე-
ბასა გარეთ და შეიმსუბუქებენ გულსა მგლოვარისასა.
გარნა უმეტესი შვება და ზოგჯერ გამოუთქმელი ნუ-
გეშიც მიეცემა მგლოვარეს, ოდეს იგი შეაერთებს ცრე-



მლსა ლოცვასა-თანა. ვინც ერთხელ ცრემლით ილოცა
 წინაშე ხატისა, მას კიდევ გამოუცდია, რომელს არცა
 ერთი ნუგეში არ დაატკობს გულსა კაცისასა მწუხარებ
 სად ამისა. ამისთვის, ძმანო, ყოველთა მწუხარებათ
 შინა თქვენ მოიქცეოდეთ ნუგეშინის-ცემისათვის მა-
 ცხოვრისადმი. წყარო არის იგი სიტკბოებისა და ნუგე-
 შინისა მათთვის, რომელნი გაუხსნიან მას გულსა. მან
 უწყის ყოველი სისუსტე და უღონობა ჩვენი; მან თვით
 გამოსცადა ყოველივე მწუხარება კაცისა; თვით მან
 იტირა საფლავსა ზედა მეგობრისა თვისისა; იგი ეტყ-
 ვის მწუხარეთა: მოვედით ჩემდა ყოველნი მამვრალნი
 და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ. აღილე
 უღელი ჩემი თქვენ ზედა და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ
 მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა... რამეთუ უღელი ჩემი
 ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს. ამინ.

მოძღვრება მეორე

ნეტარ-იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ
 ქვეყანა.

მშვიდი, ძმანო ჩემნო, არს კაცი იგი, რომელი არა-
 ვის არ აწუხებს, არავის არ აწყენს, არამედ ყოველთა,
 შეძლებისამებრ, სათნო-ექმნება, ყოველს კაცს აამებს,
 ყოველთა შეიყვარებს და შეენევა, — მოკლედ, რო-
 მელსა აქვს კეთილი და სახიერი გული, წინააღმდეგ
 მშვიდისა ითქმის კაცი ამაყი, მოუსვენებელი, რომელ-
 თან ვერავის ვერ შეუძლიან ქონდეს კეთილ-განწყობი-
 ლება. გარნა რაისთვის აღუთქვამს ღმერთი ესრედთა
 კაცთა ქვეყნის დაიმკვიდრებასა? როგორ შეიძლება,
 კაცმან მშვიდმან, რომელი არც ეძებს აღმატებასა და
 თვით სიმშვიდე არ აძლევს ნებას, რომ ისურვოს უფლე-
 ბა, ანუ აღმატება, დაიმკვიდროს ქვეყანა? ხშირად აღ-
 სრულდება ეს ღვთის აღთქმა ქვეყანასა ზედა! მშვიდი

და წყნარი იყო დავით წინასწარმეტყველი, არა ქონდა იმედი, რომ მიეღო სხვა რაიმე ღირსება, თვინიერ ცხოვართა მწყობისა, გარნა ღმერთმან ადგამდეს ოფიციატაბსა ზედა სამეუფოსა. მშვიდნი, დასაბრუნებულნი იყვნენ ქრისტიანენი პირველთა შინა საუკუნეთა: არა ქონდათ სადგომი და საზრდო, იყვნენ მარადის დევნულ და ტანჯულ უსჯულოთაგან; გარნა მიხედეთ ახლა, ვინ დაიმკვიდრა ქვეყანა, თუ არა ქრისტიანეთა: სადლა არიან მდევნელნი მათნი კერპთ მსახურნი და მაჰმადიანნი? ვის უპყრიეს ახლა უმჯობესი ნაწილი ქვეყანისა? ვის აქვს შეძლება და წარმატება? ქრისტიანეთა თუ მდევნელთა მათთა? ახლა მთელი ქვეყნის დიდება აქვსთ ქრისტიანეთა; რაც განათლება არის ქვეყანაზედ, ანუ ძლიერება, ანუ წარმატება, ყოველი ქრისტიანობის ხელში არის. სხვანი ყოველნი ტომნი, ურწმუნონი მაჰმადიანნი ანუ კერპთ-მსახურნი, არიან გაუნათლებელნი, სუსტნი და უძლურნი, ხოლო ყოველი ძლიერება და პატივი ღმერთმან მისცა ქრისტიანეთა. აჰა, რა სახით აღსრულდა სიტყვა ღვთისა.

ახლა თქვენზედ ვიტყვი, ძმანო ჩემო. თქვენ, ამ მთებში მცხოვრებთა, ახლა მონათლულთა, უფრო მტკიცედ უნდა გახსოვდესთ ეს სიტყვა მაცხოვრისა: ნეტარ-იყვნენ მშვიდნი. რისთვის? მისთვის, რომელ თქვენ გულფიცხელნი ხართ; ხშირად გაფიცხდებით და სიფიცხითა თქვენითა ხშირად შთავარდებით დიდთა ცოდვათა შინა. რამდენჯერ მომხდარა, რომ გაფიცხებული კაცი წასჩხუბებია თავის ძმას, უგინებია და უცემია; გარნა ეს კიდევ არაფერია: საშინელი ის არის, და იქმნება თქვენც გაგეგონოსთ ამისთანა მაგალითი, რომ გაფიცხებულს კაცს ჩხუბში მოეკლას კაცი. აჰა, რა საშინელს ცოდვასა შინა შთავარდება კაცი, თუ გაფიცხელდა; ამისთვის, ძმაო, როდესაც გული მოგივა


და გაფიცხლდები, მოიგონე ეს სიტყვა მაცხოვრისა: ნეტარ იყვენ მშვიდნი, და გული დაიმშვიდე და გეჟმ-
ნება ღვთისაგან დიდი მადლი.

ერეკნულნი

ნეტარ-იყვენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძლენ.

მეოთხე ნეტარება იტყვის: ნეტარ-იყვენ, რომელ-
თა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ
იგინი განსძლენ. რაისთვის არა სთქვა უფალმან: ნე-
ტარ-იყვენ, რომელთა უყვარსთ სიმართლე; არამედ
ნეტარ-იყვენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სი-
მართლისათვის? ნეტარად უწოდებს მაცხოვარი მხო-
ლოდ მათ, რომელთა უყვარსთ სიმართლე, ვითარცა
მშვიდნი კაცსა უყვარს და სურს საჭმელი და მწყურვა-
ლესა — სასმელი. კაცს რომ მოშივდება, მაშინ მისთვის
უძვირფასეს ყოვლისა არის საჭმელი. მას ერთი ლუკმა
პური ურჩევნია ოქროსა და თვალთა; მზგავსად ამისა
ესოდენ უნდა უყვარდეს ყოველსა კაცსა სიმართლე,
რომ მიაჩნდეს იგი უძვირფასესად ყოვლისა ნივთისა;
ყოველსა სიტყვასა და საქმესა შინა ყოველგან და ყო-
ველთვის უნდა ეძიებდეს სიმართლესა და უხაროდეს
მისთვის.

რას აღუთქვამს მაცხოვარი მათ, რომელთა ში-
ისთ და სწყურისთ სიმართლისათვის? აღუთქვამს,
რომელ იგინი განსძლებიან. ეს აღთქმა მათთვის არის
უმჯობესი ყოვლისა სასყიდელისა. როგორადაც კა-
ცის ფრიად მშვენიერისათვის უდიდესი ბედნიერება
არის განძლობა საჭმლითა, ეგრედვე მათთვის, რო-
მელთა შიისთ სიმართლისათვის, უდიდესი ბედნიერე-
ბა იქმნება, ოდეს იგინი იხილვენ და მიიღებენ სრულს
სიმართლესა; ოდეს შეიტყობენ, რომ სიმართლემან
სძლო და დასთრგუნა უმართლობა და სიცრუე. გარნა
მშვიდნი და მწყურვალენი სიმართლისათვის, რა საკ-



ვირველია, ვერ განძლებიან ამა ქვეყანაზე ზედა, ვინაითგან აქ ვერ იხილვენ სრულსა სიმართლესა, არამედ განძლებიან სასუფეველსა ცათასა. მხოლოდ მუნ იხილვენ იგინი სრულსა ჭეშმარიტებასა შინაგან და გარეშე თვისსა; მაშინ ნახვენ იგინი თვალითა, ვითარ კაცი, რომელი ატყუებდა ყოველთა ამ ქვეყანაზე და აღვსებული იყო მზაკვარებითა და ფარისევლობითა, მუნ იქმნება შერცხვენილ და დამდაბლებულ. ხოლო კაცი, რომელი იყო გულწრფელ, დევნულ და შეურაცხ აქ სიმართლისათვის, იქმნება ამაღლებული და ნეტარ წინაშე თვალთა უფლისასა სასუფეველსა შინა მისსა; და თუ ესოდენ ძვირფასია, ძმანო ჩემო, ღვთის წინაშე სიმართლე, ეცადეთ, რომ შეიყვაროთ იგი. მოერიდეთ სიცრუესა და მოტყუებასა. ნურცა სიტყვით, ნურცა საქმით ნუ ატყუებ მოყვასსა შენსა; ხოლო უმეტესად უნდა გახსოვდეს ეს მცნება მაშინ, როდესაც არის რომელიმე ძიება მთავრობისაგან და შენ მონმედ ხარ მონოდებულ. მონმემ გულ-წრფელად უნდა სთქვას, რაც იცის. ვინც მონმობაში იტყვის სიცრუეს, იგი დიდსა და საშინელს ცოდვაში მთავარდება, მისთვის რომელ მთავრობა ვერ შეიტყობს სიმართლეს და იქნება ამით უბრალო კაცი დაისაჯოს და ბრალიანი გამართლდეს. ზოგჯერ კაცის მორიდებით და მეზობლების შიშით დამალავს კაცი სიმართლესა, იმას კი არ ფიქრობს, რომ ღვთისა უფრო უნდა ეშინოდეს კაცსა, ვიდრე კაცისა. ამინ.

მოძღვრება მესამე

ნეტარ-იყვნენ მონყალენი, რამეთუ იგინი შეინყალნენ.


ამ ნეტარებას არ უნდა დიდი განმარტება, ძმანო ქრისტიანენო; ვინც მონყალე არის თავის ძმაზედ, მას

ლმერთიც შეინყალებს; ვისაც ებრალება თვისი მო-
ყვასი, მას ლმერთიც შეიბრალებს; ვინც მოეხმარება
თავისს მოყვასს, ნუგეშსცემს, ხელს შეუნყოფს, ვლ-
ხაკს შეენევა, უგუნურს და უჭკუო კაცს დაურევდეს,
ავად-მყოფს ნახავს, ქვრივს და ობოლს გამოზრდის,
ამისთანა კაცს ლმერთიც შეენევა და შეინყნარებს ამ
ქვეყანაშიც და უმეტესად მომავალსა საუკუნესა შინა.
მონყალება ანუ შენუხებულის და გაჭირვებულის შე-
მნეობა არის ყოველთა უდიდესი სათნოება. სახარე-
ბითგან ხშირად გესმისთ თქვენ ეკკლესიაში, რომე
მეორესა საშინელსა მოსვლასა უფლისა იესო ქრის-
ტესსა ქვეყანასა ზედა განსჯად ყოველთა კაცთა
ცხოვნებულნი დადგებიან მარჯვენით ქრისტესსა,
ხოლო წარწყმედულნი — მარცხენით მისსა. მაშინ
უფალი იესო ქრისტე განუცხადებს მდგომარეთა მარ-
ჯვენით თვისსა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩე-
მისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის
სასუფეველი დასაბამითგან სოფლისა: მშოიდა მე და
მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მომეცით სასმელი,
შიშველ ვიყავ და შთამაცვით მე, საპყრობილესა შინა
ვიყავ და მნახეთ მე. გარნა მდგომარეთა მარცხენით
მისსა ეტყვის: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა
შინა საუკუნესა: მშოიდა მე და არა მეცით მე საჭმელი,
მწყუროდა და არა მასვით მე, საპყრობილესა შინა ვიყავ
და არა მნახეთ მე. აჰა, ძმანო, რა დიდი სათნოება არის
მონყალება; მონყალე კაცი თავის სულს აცხოვნებს;
უნყალო თავის სულს წარწყმედს; მონყალებას კაცი
კაცს კი არ აძლევს, თვით იესო ქრისტეს აძლევს; უნ-
ყალო კაცი თვით იესო ქრისტეს უარ-ყოფს: ამისთვის-
ცა იტყვის მაცხოვარი საშინელსა სამსჯავროსა ზედა:
მშოიერ ვიყავ და არა მეცით მე ჭამადი, შიშველ ვიყავ და
არა შემმოსეთ მე.

იქმნება ვინმე თქვენ შორის იფიქროს: რა მოწყალე-
ბა შემოძლიან მე, როდესაც თვითონ ვარ ერთი სანყალი
კაცი, მაკლია საჭმელი და სასმელი; თუ ასრე იფიქრა
ვინმე ის უმართლოდ იფიქრებს. რაც კინც და ღარიბი
იყოს კაცი და სანყალი, მაინც შეუძლიან აღასრულოს
მოწყალეობა. ვსთქვათ, რომ შენ ღარიბი და სანყალი
კაცი ხარ; გარნა ზოგიერთნი შენზედ უღარიბესნი და
გაჭირვებულნი არიან. თუ ბევრის მიცემა არ შეგი-
ძლიან, ცოტა-ოდენი მოწყალეობა მაინც უყავ. თუ ფუ-
ლით, ანუ ნივთით არ შეგიძლიან მოწყალეობა, სიტყვით
მაინც უყავ მოწყალეობა, ესე იგი შენუხებულს კაცს ნუ-
გეში-ეც, უგუნური და უჭკუო კაცი დაარიგე და მოა-
ქციე. იქმნება შენ მართლა სანყალი და ღარიბი კაცი
ხარ, მაგრამ იქმნება გყავს ცოლი, შვილები, იქმნება
გყვანან უმცროსნი ძმანი; თუ გსურს აღასრულო ეს
მცნება, ამათთან იყავ ნყნარი, მშვიდი, მოწყალე; თუ
არ გახსოვს ეს მცნება და ცუდი ხასიათი გაქვს, მაშინ
შენ უთუოდ ამათთან იქმნები უწყალო; ესე იგი, ცუდად
მოეპყრობი მათ, გაუჯავრდები, აგინებ, სცემ. მოკლედ
ვსთქვათ, ყოველ კაცს შეუძლიან ეს მცნება აღასრუ-
ლოს, ან დაარღვიოს.

ნეტარ-იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ
ღმერთი იხილონ.

ღმერთი ჩვენგან, ქრისტიანეთაგან, მოითხოვს,
რომ არა თუ მხოლოდ საქმით ვიყვნეთ წმიდანი, არმედ
გულიცა წმიდა გვექონდეს. რისთვის? თუ კი კაცი კარ-
გად იქცევა და კეთილს საქმეს იქმს, რა საჭიროა, რომ
გულიც წმიდა ქონდეს? სულ ერთი არ არის, რაც უნდა
იფიქროს კაცმა გულში, ოღონდ ცუდი საქმე არა ქმნას?
უფალი იესო ქრისტე მისთვის მოითხოვს ჩვენგან, ძმა-
ნო, წმიდა გულს, რომელ ჩვენი ყოფაქცევა პირველად
გულში მოიფიქრებს ანუ განიზრახავს კეთილსა, გინდა



ბოროტსა საქმესა, და მერმე აღასრულებს. როგორც გული აქვს კაცსა, ისრეთი საქმეც ექმნება. ამისთვის, ძმაო ჩემო, ეცადე, რომ წინაპირველად განჩინდეს გული შენი: რაც გაქვს გულში, ანუ ცუდს სურვილს ანუ განზრახვა ბოროტი, განაგდე გულისაგან. თუ განჩინდა გულში მსწრაფლ ცუდი რაიმე განზრახვა, ანუ სხვამ ვინმე შეგაგონა რაიმე ცუდი, ეცადე და მაშინვე მოინანე და დაივიწყე; თუ დიდხანს დაუტევე გულში ბოროტი აზრი, ანუ სურვილი, როგორც რომ თესლი მიწაში, ისრე გაიბამს ფესვსა შენს გულში ის აზრი და ცოდვაში შთაგაგდებას.

ვისაც წმიდა გული აქვს, იმას მაცხოვარი აღუთქვამს ღვთის ხილვას: ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. ვინაითგან ღმერთი არის უწმიდესი არსება, მას იხილავს მხოლოდ კაცი წრფელი გულითა, ღმერთი არის ნათელი ბრწყინვალე; ამისთვის ღმერთს ვერ მიეახლება კაცი იგი, რომელსა აქვს გული დაბნელებული უწმინდურითა აზრითა. ამინ.

მოძღვრება მეოთხე

ნეტარ-იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.

მშვიდობის-მყოფელი არის ის კაცი, რომელსა უყვარს მშვიდობით და მყუდროებით ცხოვრება, რომელი არა თუ თვითონ არავის შეაწუხებს, არ წაეჩხუბება, არამედ ცდილობს შეარიგოს, ვინც არიან წაჩხუბებულნი და უკმაყოფილონი ერთმანეთში. ამისთანა კაცს მაცხოვარი აღუთქვამს დიდს და გამოუთქმელს ჯილდოს: იგინი ძედ ღვთისად იწოდებიან. რისთვის აღუთქვამს მათ, ძმანო ჩემო, ესრეთს დიდს ჯილდოს მაცხოვარი? მისთვის, რომელ ღმერთს უყვარს მშვიდობა და

მყუდროება. საღმრთო წერილში ღმერთი თავის თავს უწოდებს ღმერთად მშვიდობისა და მამად მონყალები-სა. თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ძე დედოფლისაჲსა თვის მოვიდა ქვეყანასა ზედა, მისთვის მიტლი მონყებაჲ კაცისა, მისთვის ივნო, ჯვარს ეცვა და აღსდგა, რათა შეაერთოს და შეარიგოს კაცი ღმერთთან. ცოდვამან და ურჩებამან კაცი განაშორა ღმერთისაგან; ღმერთი განრისხებული იყო კაცზედ, გარნა უფალმან იესო ქრისტემან მოახდინა მშვიდობა ღვთისა და კაცთა შორის. აქედამ, ვინც კაცს კაცთან შეარიგებს, მშვიდობას და შერიგებას მოახდენს მოყვასთა თვისთა შორის, ამით იგი დაემსგავსება თვით უფალსა იესო ქრისტესა, ანუ შეენევა მას. აჰა რა დიდი და პატიოსანი საქმე არის მშვიდობის მოხდენა ქვეყანასა ზედა! ყოველი ქრისტიანე უნდა ცდილობდეს, რომ შეიძინოს ეს სათნოება; გარნა სხვაზედ უმეტესად ამას უნდა ცდილობდეთ თქვენ, ამ მთებში მცხოვრებნი და ახალ მონათლულნი. რისთვის? მისთვის რომელ, როგორადაც გითხარით ამას წინაც, გულფიცხელნი ხართ, ხშირად მოგივათ ხოლმე ერთმანეთში ჩხუბი და უკმაყოფილება, ხშირად გაქვსთ ერთმანეთში შური და გიყვართ შურის-ძიება. მაშასადამე, თქვენ მტკიცედ უნდა გახსოვდესთ, რა დიდი სათნოება არის მშვიდობის მოხდენა. თუ მშვიდობის-მყოფელს ღვთის ძე ეწოდება, მაშასადამე, შფოთის მყოფელი ეშმაკის შემწე არის. ჩვენს სულიერ მტერს, ეშმაკს, უხარიან, ოდესცა ხედავს ჩვენ შორის ჩხუბსა, შფოთსა, შურსა, მისთვის, რომელ, ოდესცა ჩვენ შორის არის ჩხუბი და განხეთქილება, მაშინ ადვილად გვაცდენს იგი და ადვილად შთაგვაგდებს იგი ყოველსა ცოდვასა შინა; გარნა როდესაც ხედავს ჩვენ შორის ერთობასა და სიყვარულსა, მაშინ ვერაფერს დაგვაკლებს.

ნეტარ-იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

ამ სიტყვებისაგან ვხედავთ ჩვენ, ძმანო ჩემო, რა დიდი სიყვარული უნდა გვქონდეს სიმართლისათვის, სიმართლისათვის კაცმან ყოველი დევნა უნდა მოითმინოს. ხშირად მოხდება ხოლმე თქვენ შორის, როდესაც ვისმე საქმეში მონამედ დაიბარებენ, თუმცა კი იცის სიმართლე, გარნა შიშისაგან არ იტყვის. მეშინიან, რომ შური არ იძიოსო და ცუდი რაიმე არ მიყოსო. გარნა, ძმანო ჩემო, ვისი უნდა გეშინოდეს უმეტესად, — ღვთისა თუ კაცისა? თუ სიმართლეს დამალავ, ღმერთს განარისხებ; თუ სიმართლეს იტყვი და ვინმემ ამისთვის მოგიძულა და ცუდი რაიმე გიყო, ნუ გეშინიან: ღმერთი სასუფეველს მოგცემს.

ნეტარ-იყვნენ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ და გდევნიდენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი მრავალ არს ცათა შინა.

რით შეგიძლიან დაამტკიცო, რომ შენ ხარ ნამდვილი ქრისტიანი? მით, როდესაც ქრისტეს გულისთვის მოითმენ ჭირსა და განსაცდელსა ქვეყანასა ზედა. ჭეშმარიტი ქრისტიანე მხოლოდ ის არის, რომელიც თავის თავს არ დაზოგავს ქრისტეს სჯულის შენახვისათვის.

ახლა, ძმანო ჩემო, მე, შეძლებისამებრ ჩემისა, აღგიხსენი ცხრა ნეტარება, თქმული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. შენზედ არის დამოკიდებული, როგორ მიიღებ და ისარგებლებ, რაც მე აღგიხსენი. თუ არ შეგიძლიან შეიძინო ყოველივე ცხრანი ნეტარებანი, ერთი რომელიმე მათგანი მაინც ალასრულე. გახსოვდეს, ძმანო, რომ ვინც ისმენს ღვთის სიტყვასა და არ ალასრულებს, ის უმეტესად არის დამნაშავე ღვთის წინაშე.



უკანასკნელ, ვევედროთ ღმერთსა, რათა თვით იგი შეგვეწიოს მადლითა თვისითა და გამოგვაჩინოს კეთილ აღმასრულებელად თვისთა მცნებებთა მართლ ფიქრე, ძმაო, და სცან, როგორ მართლ მსჯელსა ღმერთი: ყოველს კაცს ღმერთი მიაგებს, რისაც ღირსი არის და რაც შეიძინა. გლახაკსა სულითა ღმერთი მისცემს სასუფეველსა; მგლოვარეს ეტყვის, რომელ იგი ნუგეშინის-ცემულ იქმნება; მშვიდთა აღუთქვამს ქვეყანის დამკვიდრებასა... ამინ."

დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე

მელიტონ კელენჯერიძე გახლდათ ცნობილი მწიგნობარი, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, ფოლკლორისტი და პედაგოგი. იგი არის წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის პირველი ბიოგრაფი. საბჭოთა ბერიოდში იგი დევნილი იყო ხან რელიგიური მრწამსისა და თეოლოგიაში აქტიური მეცნიერული მოღვაწეობისათვის, ხანაც „სლავიანოფილური“ მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამო.

მელიტონ კელენჯერიძის ბიოგრაფია XIX საუკუნის ინტელიგენციის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ტიპური ანარეკლია: დაიბადა 1864 წლის 5 თებერვალს შორაპნის მაზრის სოფელ ტაბაკინში. მამამისი, სპირიდონ კელენჯერიძე, წარმოშობით ღარიბი გლეხის შვილი, სოფლის დიაკვნად მსახურობდა. იგი ადრე გარდაიცვალა და პატარა მელიტონი დედულეთში, სოფელ ზეგანში წაიყვანეს, სადაც დეიდებმა აღზარდეს. წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა, დანყებითი განათლება კი ქუთაისში, ვასილ პეტრიაშვილის სკოლაში მიიღო, რომელიც შემდეგ სასულიერო სასწავლებელს შეუერთეს. სასწავლებელში სწავლის წლებს მელიტონი უარყოფითად ახასიათებს იქ გამეფებული მექრთამეობის და ფიზიკური დასჯის გამო. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ ყველა საგანში წარჩინებული ყოფილიყო და სწავლის დამთავრების მოწმობაც პირველი ხარისხისა მიეღო.

1884 წელს მელიტონი თბილისის სასულიერო სასწავლებელში განაწესეს. მან სემინარიაში წარმატებით დაასრულა და 1890 წლიდან კიევის სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა. აკადემიაში სწავლის დროში მელიტონი აქტიურად მონაწილეობდა კიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მუშაობაში. თავად მელიტონი იგონებს: „კიევში იყო ქართული სტუდენტობა 30 კაცამდე. უნდა ითქვას სიმართლე, რომ მათ, გარდა ორიოდუ პიროვნებისა, არაფერი იცოდნენ ქართული ისტორიიდან. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არ იცოდნენ ქართული კითხვაც“. ამ ვითარებისათვის თავის გართმევის მიზნით მელიტონ კელენჯერიძეს დიდი მუშაობა გაუწევია: მას დაუჩქარებია ქართული ნიგნსაცავის შექმნა, გამოუწერია გაზეთი „ივერია“, რომელსაც თავად უკითხავდა სტუდენტებს. 1893 წლიდან იგი კიევის ქართველ და დაინტერესებულ არაქართველ სტუდენტობას საქართველოს ისტორიასა და ქართულ სიტყვიერებაში ლექციებს უტარებდა. ამ ლექციების საფუძველზე შეიქმნა მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაშრომი „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“. მართალია, მელიტონ კელენჯერიძის ლექციების მიზანი გაცილებით ფართო ყოფილა — ქართველი სტუდენტობისათვის საქართველოს ისტორიის გაცნობა, — მაგრამ მათში სხვა მასალასთან ერთად დიდი ადგილი ეთმობოდა ხალხურ სიტყვიერებას და ფოლკლორის პრობლემებს. პირველივე ლექცია მელიტონ კელენჯერიძეს ქართულ მითოლოგიაზე მსჯელობით დაუწყია. მის მსმენელთა შორის ყოფილან შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: შიო ჩიტაძე, მელიტონ ჩოგვაძე, ექიმები: მ. ლორთქიფანიძე, გ. ქოქრაშვილი, გრ. იშხნელი, გ. ჯორჯიკია. კიევში დაასრულა მელიტონ

კელენჯეიძემ საინტერესო ნაშრომი „საქართველოს ეკლესია მე-18 საუკუნეში“, რომელიც აქვე წარმტებით დაიცვა 1894 წელს და მოიპოვა ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში როგორც პედაგოგი, ფოლკლორისტი, ავტორი სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისა, ქართული ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი გამოკვლევებისა.

1894 წელს ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რისთვისაც მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1867 წელს დაიწყო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ. აი, ამ სემინარიის ერთ-ერთი მასწავლებელი გახდა მელიტონ კელენჯერიძე, რომელსაც დააკისრეს ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის და საღმრთო წერილის სწავლება. ამავდროულად იგი სემინარიის საბჭოს მდივანიც გახდა.

1898 წლიდან სემინარიასთან გაიხსნა სანიმუშო სკოლა, რომლის გახსნასა და მოწყობა-გამართვაში მელიტონს დიდი ღვაწლი მიუძღვის. 1903 წელს იგი აირჩიეს იმერეთის ეპარქიული სასწავლო საბჭოს წევრად, ხოლო ამავე წლის ნოემბერში დანიშნეს საღვთო სჯულის მასწავლებლად ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელშიც. 1907 წლიდან 1917 წლამდე მელიტონ კელენჯერიძე მასწავლებლობდა ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში.

აი, როგორ ახასიათებს მელიტონ კელენჯერიძეს პროფესორი ვ. კანკავა, როდესაც ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლის პერიოდს იხსენებს: „პედაგოგიური პერსონალის შემადგენლობაში გარკვეულ ფიგურას

ნარმოადგენდა მელიტონ კელენჯერიძე — ლიტერატურის მცოდნე, ფოლკლორისტი, ცნობილი ტონკმელის ფსევდონიმით. მართალია, ოფიციალურად ეს საღვთო სჯულის მასწავლებლად ითვლებოდა, მაგრამ ამის გარდა, ის გვასწავლიდა ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას, მართლწერას. პედაგოგიურ საბჭოში ის მცირედთა ჯგუფში შედიოდა, რომელსაც ჰყოფნიდა სითამამე თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრი დირექტორის პოზიციის წინააღმდეგ. ის უშუალო მონაწილე იყო, როგორც ქალაქში, ისე თვით გიმნაზიაში ყოველი ქართული საზოგადოებრივი ნამოწყებისა, რომელიც ეხებოდა ლიტერატურას ან ხელოვნებას.

1917 წლის 10 აგვისტოს ქუთაისის რეალური სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომამ ქართული ენის მასწავლებლად ერთხმად აირჩია მელიტონ კელენჯერიძე, რომელიც აქ 1922 წლამდე მუშაობდა. ქუთაისში იგი კითხულობდა საჯარო ლექციებს ქართული ენის სწავლების საკითხებზე, მონაწილეობდა დისპუტებში. მ. ცხაკაია, რომელიც მას 1894 წლიდან იცნობდა, ახასიათებდა მელიტონ კელენჯერიძეს, როგორც „ძლიერ საჭირო კულტურულ ძალას“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის მუშაობდა სხვადასხვა ტიპის სკოლებში.

1932 წელს მელიტონ კელენჯერიძე საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. ერთხანს იგი საქართველოს განათლების კომისარიატის მეთოდსექტორში მუშაობდა. მას შემდეგ კი აღარსად უმუშავია.

მელიტონ კელენჯერიძე ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი იყო. 1934-36 წლებში პედაგოგიკის ინსტიტუტის დავალებით მუშაობდა ქართული პედაგოგიკის ისტორიის საკითხებზე.



მელიტონ კელენჯერიძე რამდენიმე სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია „სიტყვიერების თეორია“ და მისი მეორე ნაწილი ე.წ. პრაქტიკუმი „ქართული ქრესტომათია — ქართული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა, რომელიც მელიტონ კელენჯერიძემ 1919 წელს ქუთაისში მესამედ გამოსცა. სადა და ყველასთვის სასაგებია მელიტონ კელენჯერიძის „სალმრთო სჯული ყმანვილთათვის“. კელენჯერიძე ავტორია გამოკვლევებისა ქართული ეკლესიის ისტორიიდან: „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე, „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ და „გაბრიელი — ეპისკოპოსი იმერეთისა“. ამ უკნასკნელის გამოცემასთან დაკავშირებით საინტერესოა მისი მოგონება, რომელიც სასიქადულო მამულიშვილთან ნიკო ნიკოლაძესთან მის შეხვედრას ეხება:

„გადავწყვიტე ბატონ ნიკოლაძესთან მისვლა, როგორც გამოცდილ კაცთან, და რჩევის თხოვა. შევკარი ჩემი მასალები კონებად, მოვსდევნი ზურგზე კაცებს და ამ ბარგი-ბარხანით მივედი. სალამოს შვიდი საათი იყო. საქმეებში იყო ჩაფლული ჩვეულებრივად. მოვყევი ჩემი შრომის თავ-გადასავალს. ეს რომ მოისმინა, ადგა, თავისივე ხელით დახსნა ჩემი ქაღალდების კონები, მასალა და სულ ფურცლა-ფურცლა გადასინჯა. მერე გაიმართა, ადგა ფეხზე, დააჩერდა მასალას და წარმოსთქვა: „ახლა კი ჩამთვალეთ უბედურად, რომ ამის გამოსაცემი ფული არა მაქვს!.. განა ამათი დაუბეჭდაობა შეიძლება? ერთი ნაჭერიც კი არ უნდა დარჩეს დაუბეჭდავი!..“ მერე მკითხა, რამდენი იყო ჯერ დაბეჭდილი და რა სჭირდებოდა დანარჩენი გვერდების დაბეჭვდას. ეს რომ გავაგებინე, მითხრა, ის დაბეჭდილი გვერდები გამომიგზავნე, გავეცნობი და ვეცდები შენი

მწუხარების განკურნებასო, ვინც მეგულება შეგნებულ-
ლი და ფულიანი პირი, მივმართავ და, ვგონებ ბატონს
მცემენო.

მერე ეს კონები ისევ თავის ხელით მეგონა და გუ-
მომიშვა. მერე ორი ფეხიც არ დამიკრავს სახლამდის“
ისეთს სიხარულს მივეცი. ღამე სიხარულით აღარ
დამეძინა. მეორე დღეს, საღამოს შვიდ საათზე გავუ-
გზავნე დაბეჭდილი ფურცლები და გათენდა თუ არა
შემდეგი დილა, ასე შვიდ საათზე, მისმა კაცმა შემ-
დეგი წერილობითი პასუხი მომიტანა: „დიდად პატი-
ვცემულო მამაო მელიტონ! წუხელ მიტროფანოვის
სახლიდან რომ დავბრუნდი და ცოტა მოვისვენე, მო-
სამსახურემ გადმომცა თქვენი თხზულება გაბრიელ
ეპისკოპოსზე. დავინყე მისის კითხვა და არ დამიძი-
ნია, სანამ არ გავათავე, ალიონზე. აქედან ხედავთ, რა
ღირსებისაა თქვენი ნაწერი და რა ბედნიერი ვიქნებო-
დი, თუ შევძელი დაგეხმაროთ მის გამოცემაში“. რამო-
დენიმე ფაქტიური და ჩვენთვის ძვირფასი შენიშვნის
შემდეგ ასე განაგრძობდა: „ამ შენიშვნებზე უფრო
თქვენთვის სასიამოვნო იქნება მეორე ამბავი, თქვენი
თხზულების შესახებ. თანახმად თქვენი სურვილისა,
გუშინვე ვიმეცადინე და გიშოვეთ (ფული) პირველი
ტომის გამოსაცემად. ეს ამბავი მომილოცნია თქვენ-
თვის და უფრო ქართული საზოგადოებისათვის, თქ-
ვენი მარად ერთგული ნ. ნიკოლაძე. ფოთი. 30 ენკენის-
თვეს 1913 წ.“

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! მაშინვე
ვაფრინე რედაქციაში განცხადება და წიგნის ბეჭდვა
განვაახლე“ ამგვარად, წიგნის გამოსაცემად საჭი-
რო თანხა, ნიკო ნიკოლაძის შუამდგომლობით, ვი-
დაც უცნობ კაცს გაუღია, რომელსაც საკუთარი ვი-
ნაობის გამხელა საჭიროდ არ ჩაუთვლია. მელიტონ

კელენჯერიძე აღფრთოვანებული უხდის მადლობას ამ „იშვიათი და ჭეშმარიტი ქველმოქმედების ჩამდენ უცნობ პიროვნებას, ვისი შემწეობითაც იხილა მისი სინათლე დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულმა ამ საინტერესო ნიგნმა“, — წერს ავთანდილ ნიკოლეიშვილი ნიგნში „გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე)“.

აი, რას წერს პროფესორი ლევან ფრუიძე: „მელიტონს გაუმართლა. მას ისეთ გენიოსებთან მოუწია ურთიერთობა, როგორებიც იყვნენ ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც ქუთაისში მოღვაწეობდა. გაბრიელი — ცოცხლად მოარული წმინდანი და ფილოსოფოსი! ალბათ უფლის ნება იყო, რომ მელიტონ კელენჯერიძე მისის ცხოვრების გამოწვლილვით აღმწერი მემატყიანე გახდა, ისევე როგორც ექვთიმე მთანწმინდელისა — გიორგი მთანწმინდელი. ვისაც ეს ნიგნი წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ ღმერთისა და ერის სამსახურის უკეთესად ასახვა შეუძლებელია. ასეთი ჭეშმარიტი მაგალითის ძალა საუკუნეებს სწვდება და დღესაც სულს გვისპეტაკებს, იმედით და მომავლის რწმენით გვაავსებს. მელიტონმა შეძლო და აჩვენა, რომ ქართველი ხალხის გენია დაუშრეტელია. მოციქულთა სწორი წმინდა ქართველი მამები ქრისტიანობის საწყისებიდან ბრწყინავდნენ, ქმნიდნენ და უფალს ადიდებდნენ. მათი გაკვალული გზებით მიდიოდა ღვთისმშობლის მზრუნველობით რწმენაგასხივოსნებული ქართველობა. XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ერის სულიერი მესაჭეობა გაბრიელ ეპისკოპოსს და მის თანამოსაყდრეებს ხვდათ წილად, მათ შორის მელიტონ კელენჯერიძეც იყო.“

მელიტონ კელენჯერიძემ ცხოვრების მონამებრივი გზა განვლო. იგი არათუ როგორც მოაზროვნე და სწა-



ვლული, არამედ პიროვნულადაც კი მიუღებელი იყო ტოტალიტარული რეჟიმისათვის. ბოლშევიკები არ სწყალობდნენ პატრიოტებს. მელიტონ კელენჯერიძე თითქმის უსახსროდ დატოვეს. მათემატიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი ლევან კელენჯერიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მხოლოდ იმიტომ გარიცხეს, რომ იგი მელიტონის ვაჟი იყო.

უსამართლო დევნა, კრიტიკოსთა დაუნდობელი თავდასხმები, სტამბებში „დაკარგული“ მისი ნაშრომები, პენსიის, არსებობის ამ ერთადერთი საშუალების მოსპობა, მისი საბედისწერო ანაფორა — ყველაფერი ეს და, ალბათ, ბევრი სხვაც გახდა მიზეზი უსაყვარლესი მეუღლის — ოლღა ახრახაძის თვითმკვლელობისა 1940 წელს. ამბობენ, რომ ქალბატონმა ოლღამ სილატაკის გამო მელიტონის რამდენიმე მეცნიერული ნაშრომიც კი გაყიდა, რასაკვირველია, საავტორო უფლებით, რასაც თავის თავს ვერ პატიობდა.

მას შემდეგ მელიტონ კელენჯერიძემ თითქმის ორი წელიწადი ისე იცხოვრა, რომ მეუღლის სიკვდილი არ გაუგია. შვილები რიგრიგობით ეფარებოდნენ თვალს და 10-12 დღის შემდეგ ცხადდებოდნენ მასთან წერილებითა და საჩუქრებით, რომელსაც ვითომ სამკურნალოდ წასული ოლღა კისლოვოდსკიდან უგზავნიდა.

შთამბეჭდავია მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი, როდესაც მძიმე ავადმყოფობით სარეცელს მიჯაჭვული, მაინც განაგრძობდა მუშაობას, დროს არ კარგავდა და ხელფეხნართმეული, მეტყველების უნარდაკარგული უკანასკნელ სტრიქონებს შვილიშვილებს აწერინებდა.

„შვილიშვილებს მის სარეცელთან მორიგეობა გექონდა დანესებული, — იგონებს ქალბატონი ელენე კელენჯერიძე, — სანოლთან გაკრულ მსხვილი ასოე-

ბით ჩამონერილ ანბანს და სასვენ ნიშნებს მელიტონი გრძელი ჯოხით მიანიშნებდა და ჩვენც ვინერდით მის ნააზრევს, მის „ნაკარნახევს“, ასე იქმნებოდა მისი ბოლო ნაშრომები, მოგონებები“.

მელიტონ კელენჯერიძე გარდაიცვალა 1942 წლის 12 აგვისტოს, დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

მღვდელმთავარი წმინდანთა დასუი

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საეკლესიო კრებამ, რომელიც 1995 წლის 19 სექტემბერს გაიმართა სვეტიცხოველში, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ეპისკოპოსი გაბრიელი წმიდანად შერაცხა.

ეპისკოპოსი გაბრიელის ხსენების დღედ 7 თებერვალი დადგინდა (ძველი სტილით 25 იანვარი).

წმინდაო მღვდელმთავარო გაბრიელ, იყავ მეოხ და მავედრებელი ჩვენი სამშობლო საქართველოსი წინაშე ყოვლადწმინდა სამებისა.


**წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან
გამოკრებილნი სწავლანი**

სარწმუნოება


აღდგომიდან ერთი კვირის შემდეგ, კვირაცხოვლობას აღდგომილი მაცხოვარი მოწაფეებს გამოეცხადა და მოციქულ თომას უთხრა: ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმენენ. ეს სიტყვები ჩვენთვის ითქვა. ჩვენ ვერ ვხედავთ მაცხოვარს ხორციელი თვალით, როგორც მას მოწაფეები ხედავდნენ, მაგრამ გვნამს იგი გულითა და სულით. ჩვენს სარწმუნოებას მეტი ფასი აქვს, ვიდრე იმათსას, რომელნიც ქრისტეს საკუთარი თვალებით ხედავდნენ, რადგან იგი პირველად გულში ჩნდება და შემდეგ, გულიდან გამომავალი,



ჩვენს გარეგნულ საქმეებში ცხადდება. მაცხოვრის თანამედროვეებს კი რწმენა იმ სასწაულის ყურებისაგან უჩნდებოდათ, რომელთაც იგი მათ თვალწინ ჩადენდა. ასე რომ, სარწმუნოება მათ გულებში გარედან შედიოდა. ჩვენ კი ქრისტეს სიტყვებისა და საქმეების შესახებ ნიგნებიდან ვიცით. ამიტომ სარწმუნოება ჩვენი ჩვენგან უფრო მეტ გულმოდგინებასა და მხნეობას მოითხოვს. სარწმუნოება ორგვარია: ერთი თავისუფალი, გულითადი და მეორე იძულებითი, უნებლიე. როცა ქრისტეს თანამედროვენი მის მიერ ჩადენილ სასწაულებს უყურებდნენ, იძულებულნი ხდებოდნენ უნებლიედ ერწმუნათ. ზოგიერთი ჩვენგანის სარწმუნოება ცივი, უქმი და თითქმის მკვდარია. ასეთი მორწმუნენი ფარისევლებსა და მნიგნობრებს ჰგვანან, რომელთაც, ხედავდნენ რა იესოს მიერ ჩადენილ სასწაულებს და იცოდნენ რა, რომ ძე ღმრთისა იყო, კეთილ საქმეებს მაინც არ მისდევდნენ. ზოგიერთი ჩვენგანის სარწმუნოება კი თბილი და ცხოველია და სიტყვასა და საქმეში ჩნდება. მხოლოდ მათთვის ამბობს მაცხოვარი: ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმენე. უფალს ახლაც შეუძლია სასწაულებით ურწმუნონი შეარცხვინოს, ხოლო სულმოკლენი და სუსტნი განამტკიცოს, მაგრამ ამის მიღწევა მას არა იძულებით, ძალდატანებით უნდა, არამედ სურს მასთან თავისუფლად, ჩვენი საკუთარი გადაწყვეტილების შემდეგ მივიდეთ. სჯულიერი სწავლების აზრი და შინაარსი, მართალია, კაცის ჭკუამ ანუ გონებამ უნდა შეიცნოს, მაგრამ მისი დაჯერება, დარწმუნება და შეტკობა გულის საქმეა. სხვაა რომელიმე აზრის მიღება და გაზიარება, სხვა — დარწმუნება და შეტკობა. მართლაც, როცა გონება კაცისა რომელიმე აზრს დაეთანხმება, იგი საკუთრივ გონების ქონებად იქცევა და მებსიერებაში ინახება. ასე მიღე-



ბულ აზრსა და ცოდნას კაცის ბუნებასა და ზნეობაზე თითქმის არავითარი ზემოქმედება არ შეუძლია, ხოლო თუკი ხანდახან აქვს რაიმე გავლენა, ისიც სხივად ცუდი და მავნებელი. ასევე, გონების მიერ თანხმობა ან მიღება რომელიმე აზრისა და ცნობისა უნებლიე და იძულებითია. გონებას არ შეუძლია არ მიიღოს და არ დაეთანხმოს იმ აზრს, რომელიც მართალია; ხოლო სარწმუნოებას კაცის გული თავისუფლად იღებს, სურვილით იღებს, რადგან სარწმუნოება ანუგეშებს და ახარებს მას. ამ დროს იგი კაცის ცხოვრების უმთავრესი მმართველი და წინამძღვარი ხდება. სარწმუნოება არა მარტო ჭკუისადმი, არამედ მთელი კაცობრივი არსებისა და ბუნებისადმი მიქცევაა, ამიტომ სარწმუნოება სულისა და გულისათვის სასურველი და თავისუფალი ზნეობრივი მოღვაწეობაა, ან უმჯობესია ვთქვათ, გულითადი სარწმუნოება უდიდესი და უმჯობესია ყოველთა მსხვერპლთა და შესანიშნავთა ღმრთისათა, ვინაიდან ამ შემთხვევაში კაცი ღმერთს თავის გულს სწირავს, თვით სულსა და მთელ ცხოვრებას აზიარებს, თვით ჭკუასა და გონებას უმორჩილებს. ვინც სარწმუნოებას გულით შეითვისებს და შეიტკობს, ამით ცხადყოფს, რომ მას კეთილი და ნმიდა გული აქვს. ვინაიდან ბოროტი კაცის გულში სარწმუნოება არ შევა; მართლმადიდებლობის კვირიაკე ძლევის დღესასწაულია. ჩვენ ვზეიმობთ იმ ძლევას, რომელიც სოფელსა ზედა მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ მოიპოვა. მაგრამ რითი მიიღო ეს ძლევა ჩვენმა სჯულმა? რით გაიმარჯვა ქრისტიანობამ? – სარწმუნოებითა, რამეთუ ესე არს ძლევა, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი (1 ინ. 5,4). სარწმუნოება კაცობრივი ბუნების უდიდესი და უმთავრესი ზნეობრივი ძალა და სიმტკიცეა. რაც კი დედამინაზე დიდებული და შესანიშნავია, რაც



კი კაცობრიობამ საქები და ამალღებული სიტყვით ან საქმით გააკეთა, ყოველივე ეს სარწმუნოების შეგონებით, შემწეობითა და ძალით არის აღსრულებული. ჩვენს გახსენებაც საკმარისია, თუ როგორი ძღვევა მოიპოვა ჩვენი სარწმუნოებამ მართლმადიდებელთა და მაჰმადიანთა შორის ამ უკანასკნელ ომში. ნუ იფიქრებ, რომ აქ იარაღმა და ქრისტიანთა ჯარის სიმრავლემ სძლია, იარაღი მტერს უმეტესიც ჰქონდა. აქ ძღვევა სულმა, ზნეობრივმა ძალამ და ჩვენი სჯულის მიმართულებამ მოიპოვა. ადრე მძლავრი და საშინელი მაჰმადიანები, რომლებიც მთელ ევროპას შიშის ზარს სცემდნენ, თანდათან შემცირდნენ და დასუსტდნენ. ნუ იფიქრებ, რომ ოსმალები უნიჭო, მშიშარა ან ბუნებისგან სხვაგვარად ნაკლული ხალხი იყოს, მაგრამ ისინი თვითონ სჯულის გავლენით გაფუჭდნენ. მათი სჯული აბნელებს გონებას, რყვნის ზნეობას და აფუჭებს ხასიათს, მაშინ როცა ჩვენი სჯული, ქრისტეს სარწმუნოება, აკეთილშობილებს კაცს, აუმჯობესებს და წარმატებისკენ მიჰყავს — თუ ჭეშმარიტად შეიყვარა და მას მთელი სულით და გულით დაემორჩილა.


სარწმუნოება ცხოველი და მკვდარი

ყოველი სარწმუნოება ვერ აცხოვნებს კაცს, არამედ სარწმუნოება ცხოველი. თვით საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ სარწმუნოება არის ცხოველი და არის მკვდარი. ცხოველი სარწმუნოება ადამიანის გულში სუფევს და მას სახარების სჯულის მიხედვით ამოქმედებს. მკვდარი სარწმუნოება კი მხოლოდ კაცის ბაგეებზე ჩანს და მის გულში არ შეუღწევია, იგი ვერ მართავს მის მოქმედებას და არც მის საქმეებში ჩანს. იაკობ მოციქული გვასწავლის: სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკუდარ არს. ბუნება კაცისა დაცემულია და

მარადის ცოდვისაკენ მიდრეკილი. სარწმუნოება ცხოველი მარადის განაღვიძებს მას და ცოდვის ჩადენის საშუალებას არ აძლევს. სარწმუნოება უნდა იყოს მისი ვნებებისათვის, როგორც აღვირი. იგი მამის არის ცხოველი, როცა ისე მართავს ადამიანის სულას ცხოვრების გზაზე, ვითარცა აღვირი ცხენს. პირველი და ნამდვილი ნაყოფი ცხოველი სარწმუნოებისა სიყვარულია. ჩვენ კი სიყვარულიც გვაკლია და ერთობაც, მისი მეორე ნაყოფი სიმართლისა და მართლმსაჯულების სიყვარულია, ჩვენ ამ სათნოებასაც მოკლებულნი ვართ, რადგან მოყვარეთა ჩვენთა, თუნდაც უღირსნი იყვნენ, ვაქებთ, ხოლო მტრებს, თუნდაც ქების ღირსნი იყვნენ, ვაძაგებთ. თუ ცხოველი სარწმუნოება გვექნება, ჩვენს გულებში ქრისტე იქნება. ხოლო იგი უქმად და უნაყოფოდ არ დარჩება. თავისი მადლით ქრისტე განწმენდს და განაცხოველებს ჩვენს სულებს და მათ უფლისაკენ მიაქცევს.

გულში ქრისტეს შობა

რა დამოკიდებულება უნდა იყოს იესო ქრისტესა და ქრისტიანს შორის? როგორც იესო ქრისტე იშვა ერთხელ ქალწულისაგან ბეთლემში, აღიზარდა, ქადაგებდა, სასწაულებს სჩადიოდა, ბოლოს ჯვარს ეცვა, მოკვდა, დაიმარხა, აღდგა მკვდრეთით და ზეცად ამაღლდა, მსგავსად ამისა, ჩვენი უფალი იესო ქრისტე ადამიანის გულში მხოლოდ მაშინ იბადება, როცა ის მაცხოვრისადმი ჭეშმარიტსა და ნამდვილ სიყვარულს იგრძნობს. თუმცა, რა არის სიყვარული, ამის ახსნა სიტყვით შეუძლებელია, მაინც მოვიყვან ასეთ მაგალითს. თუ იესო ქრისტეზე ფიქრისას სული გინათლდება და ისეთ გულის ძგერას გრძნობ, როგორც ეს შენი დიდი ხნის უნახავი საყვარელი ადამიანის ნახვისას გემართება, მაშინ



დაიბადება, ანუ გამოისახება ქრისტე შენს გულში. თუ შეეცდები და ახლოს გაიცნობ უფალს, მის უსაზღვრო ღმრთეებრივ სიკეთეში დარწმუნდები და ამგვარად გაიზრდება იგი შენს გულში. თავის მხრივ, ქრისტე ღმერთი ზრდის და საფეხურიდან საფეხურამდე ამალ-ლებს სულს იმ კაცისა, რომლის გულშიც იგი გამოისახა და იზრდება. ამ დროს ადამიანი თანდათან იცვლება და უკეთესი ხდება და ქრისტე უკვე მის ბუნებაში სასწაულმოქმედებას იწყებს. სასწაულია ის, რომ გონების თვალს აგიხელს, სწავლით განგანათლებს, ცოდვით მკვდარს აღგადგინებს, გაგაცოცხლებს, ცოდვას მოგაძულებს და კეთილ საქმეს შეგაყვარებს. ცოდვის დათმობა, რომელიც ადამიანმა შეიყვარა და რომელიც ბუნებად ექცა, ადვილი არაა. მასზე ხელის ალება დიდი ტანჯვის დათმენას მოითხოვს; თუ კაცმა ამ ტანჯვას გაუძლო და ცოდვა დაამარცხა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ჯვარს ეცვა ქრისტესთან ერთად, ხოლო თუ ქრისტესა თანა ჯვარს ეცვი, უთუოდ აღდგები მასთან ერთად მკვდრეთით.


ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი

ზეცით მოვლინებულმა გაბრიელ მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს ახარა: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის. რა წარმოიდგინა და რა იგრძნო ყოვლადწმიდა ქალწულმა ამ სიტყვების მოსმენისას? შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ძლიერ გაუხარდა, რადგან ეს ხილვა და სიტყვები მის კაცობრივ ბუნებას დიდად ამალ-ლებდა, მაგრამ არა! ყოვლადწმიდა ქალწული უეცარ სიხარულს კი არ მიეცა, არამედ შეძრწუნდა, დაფიქრდა და განიზრახვიდა, ვითარმე არს მოკითხვაი ესე. ანგელოზმა შეატყო, რა გრძნობა გაჩნდა მის გულში

და უთხრა: ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი
ნინაშე ღმრთისა; დაფიქრდეთ, რაოდენ გონიერება
და სიმტკიცე სულისა და გულისა გამოიჩინა ამ უღრეს
წმიდა ქალწულმა: იგი ხედავს მის ნიშანს შედგომს ჯერ
ვეულო მახარებელს, ესმის შემადრწუნებელი ხარება!
მის ადგილას სხვას აუცილებლად გრძნობათა ღელვა
მთლიანად შეიპყრობდა და დაიმორჩილებდა, მართა-
ლია, იგიც შეძრწუნდა, მაგრამ მაშინვე იწყო ფიქრი და
განზრახვა, რას ნიშნავდა ეს მოკითხვა. სწორედ ასეთი
უჩვეულო შემთხვევებისას გამოჩნდება ხოლმე ადა-
მიანის გონება და ხასიათი; ყოვლადწმიდა ღმრთისმ-
შობელმა გამოამჟღავნა, რომ მას მაღალი გონიერება
და შეურყეველი მხნეობა ჰქონდა და ეს თვისებები არა
მხოლოდ ამ შემთხვევაში, არამედ მთელი თავისი ცხო-
ვრების განმავლობაში შეინარჩუნა. ეს ორი კეთილი
თვისება მის ბუნებაში სიმშვიდესთან და სიმდაბლეს-
თან იყო შეერთებული და ამიტომაც ასე ამკობდნენ
მას. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ცხოვრება საუკე-
თესო მაგალითია ჩვენთვის, განსაკუთრებით ქრის-
ტიანი ქალებისათვის. ქალწულებს იგი გამოუთქმელი
სულიერი და ხორციელი სინმინდის მაგალითს აძლევს.
მიუხედავად იმისა, რომ სულიერად და ხორციელად
შემკული ქალწული მარიამი ყოველი ღირსებითა და
მშვენიერებით იყო სავსე, საოცარი თავმდაბლობითა
და სიმშვიდით გამოირჩეოდა. ამიტომ იმ ქალწულებ-
მა, რომლებიც ღმრთისგან ბოძებული ხორციელი და
სულიერი მშვენიერებით ქედმაღლობენ, უნდა იფი-
ქრონ, ვინ შეიძლება იყოს უმშვენიერესი და უდიდესი
მარიამისა, რომელიც ამასთან საოცრად თავმდაბალი
და მშვიდიც იყო. დედებიც ხშირად უნდა დაფიქრდნენ
იმაზე, როგორი დედა იყო ყოვლადწმიდა მარიამი. მა-
ცხოვრის შობის შემდეგ მას თავისი თავი აღარ ახსო-



ვდა. იგი თავისი ძის ცხოვრებით ცხოვრობდა. ამავ
დროს, თუ გვსურს შევიტყოთ, როგორი მინდობილება
და სასოება უნდა გვქონდეს ღმრთის განგებულებების
გოლგოთის მთაზე ავაზაკებს შორის ჯვარზე დასაჯი-
ლი იესო და მის წინაშე მდგომი ღმრთისმშობელი უნდა
წარმოვიდგინოთ. რას იგრძნობდა დედა, რომლისთვის-
საც შვილი ყველაფერი იყო? მაგრამ მან ყოველივე
დაითმინა, რადგან ჰქონდა რწმენა და სჯეროდა ღმრ-
თის განგებულებისა. ჭირი და უბედურებანი ჩვენც
სულგრძელად უნდა დავითმინოთ, რადგან ყოველივე,
რაც შეგვემთხვევა, ღმრთისაგან არის: განგებულება
ღმრთისა არცერთ ადამიანს არ ტოვებს. სახარებაში
ღმრთისმშობლის შესახებ ნათქვამია: ხოლო დედა-
სა მისსა დაემარხნეს ესე ყოველნი სიტყუანი გულსა
თვისსა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოვლადწმიდა ქალწულს
თავისი ცხოვრების ყოველ გარემოებასა და შემთხვე-
ვაზე დაფიქრება ჩვეულებად ჰქონდა. ესეც ერთი დიდი
მაგალითია, განსაკუთრებით ქალებისათვის, რომელ-
ნიც თავიანთ საქმეებზე უნდა დაფიქრდნენ, ცუდს
უნდა განეშორონ და მარადის უმჯობესის ძიებაში
იყვნენ. როცა გაბრიელ მთავარანგელოზისაგან ხარე-
ბა მიიღო, ყოვლადწმიდა ქალწულმა იწინასწარმეტყვე-
ლა: აჰა ესერა ამიერიდგან მნატრიდენ მე ყოველნი ნა-
თესავნი, რამეთუ ჰყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან
(ლუკა 1, 48). როგორც ვიცით, მისი წინასწარმეტყვე-
ლება აღსრულდა. ქრისტიანი ერებისათვის დედა ღმრ-
თისა ღმრთის მიერ შექმნილ ყველა გონიერ არსებას
აღემატება. ადამის მოდგმაში მხოლოდ ის გახდა ღირ-
სი მიეღო სიტყვა ღმრთისა და საიდუმლოს განხორ-
ციელებისათვის ემსახურა. რა სათნოებით მოიპოვა
მან ესოდენ დიდი მადლი ღმრთისა? რითი გამოიჩინო-
და იგი სხვებისაგან? პირველი მისი განსაკუთრებული



თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი მისი ღმრთეებრივი სრულყოფილება და დიდება მის შიგნით, სულსა და გულსა შინა არსებობდა. კაცთაგანსა და სხვა რული მისი სისრულე ცხადი მხოლოდ ღმრთის სახესი იყო. ყოვლადწმიდა ქალწულის სული ღმრთის ტაძარი მანამდე იყო, სანამ სხეული ღმრთის განხორციელებული სიტყვის ტაძრად შეიქმნებოდა. საღმრთო წერილში ყველა წმიდა ადამიანზე წერია, რომ ცხოვრება მათი დაფარულ იყო ღმერთსა შინა. ეს მით უმეტეს ითქმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელზე, რომლის გონება და მთელი არსება ღმრთის არსებასა შინა იყო დაფარული. გარეგობა ღმრთისმშობლისა მის არცერთ დაფარულ დიდებულბას არ აჩენდა. გარეგულად მას სხვა ქალებიდან ვერ გამოარჩევდით. როცა მის გულში ღმრთეებრივი ნათელი ნათობდა, როცა მთელი მისი გონება ზეციური აზრებით იყო გაბრწყინებული, ხოლო გული გამოუთქმელი სიხარულით ჰქონდა სავსე, — გარეგნულად უბრალოდ და ჩვეულებრივ ქალთა მსგავსად გამოიყურებოდა. მას არასოდეს უტარებია ძვირფასი სამკაულები და სამოსელი. წმიდა მამები მოგვითხრობენ, რომ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისაგან მხოლოდ ერთი უბრალო სარტყელი დარჩა, საკუთარი ხელით მოქსოვილი.

მიძინება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა

ჩვეულებრივად, სიკვდილი კაცისა დიდი მწუხარების გამომწვევია, იმიტომ, რომ იგი მრავალს დააკლდება. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი კი მიცვალების, ანუ მიძინების შემდეგ მახლობელთა მისთა და საერთოდ, სოფელს კი არ მოაკლდა, არამედ, პირიქით, სოფელმა იგი შეიძინა, ანუ, როგორც საგალობელშია ნათქვამი — შობასა ქალწულება დაიმარხა და მიცვა-

ლებასა სოფელი არა დაუტევა. თუ ამ ქვეყნად მისი ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე მახლობლისათვის იყო ცნობილი, რომელნიც მისგან გამოუთქმელ წყევებს დიდსა და სულიერს სარგებლობას იღებდნენ, ამ სოფლიდან იმ სოფელში გადასვლის შემდეგ იგი მთელი სამყაროსათვის შეიქმნა წყარო მადლისა და კარი მონყალებისა. აი, მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინებას სიხარულით ვდღესასწაულობთ.

*წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა
განგამოკრებილნი სწავლანი. შემდგენლები:
გვანცაკოპლატაძე და გრიგოლ რუხაძე, თბ. 2002წ.*

პარაკლისი სავედრებელი წმიდათა გლუღელ-მთავართა

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო, იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალებ ჩვენ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბინისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდავათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვიჩვენე უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო, შეგვიწყალებ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური



ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ
 თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევენთ თა
 ნამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემოიყვანებ ჩვენ განსაცხუნ
 დელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

უფალო, შეგვიწყალენ (12-ჯერ).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ან და მა-
 რადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მეუფესა ჩუენსა,
 ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტე-
 სა, მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით
 ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი, ყურად-ილე
 ვედრებაი ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი
 სიმართლითა შენითა; და ნუ შეხუალ საშჯელსა მონი-
 სა შენისა თანა, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე
 ყოველი ცხოველი. რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი
 და დაამდაბლა ქუეყანად ცხორებაი ჩემი, დამსუა მე
 ბნელსა შინა, ვითარცა მკუდარი საუკუნოი. და მოენყი-
 ნა ჩემ თანა სულსა ჩემსა; და ჩემ შორის შემოძრუნდა
 გული ჩემი. მოვიხსენე დღეთა პირველთაი და ვინურ-
 თიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა
 ხელთა შენთასა ვზრახევდ. განვიპყრენ შენდამი ხელნი
 ჩემნი, და სული ჩემი ვითარცა ქუეყანაი ურწყული შენ-
 დამი. მსთუად შეისმინე ჩემი უფალო, რამეთუ მოაკლ-
 და სულსა ჩემსა; ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან,
 და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღვიმესა.
 მასმინე მე განთიად წყალობაი შენი, რამეთუ მე შენ
 გესავ; მაუნყე მე, უფალო, გზაი, რომელსაცა ვიდოდი,
 რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი. მიხსენ მე მტერ-
 თა ჩემთაგან, უფალო, რამეთუ შენ შეგევედრე. მასნა-

ვე მე, რაითა ვყო ნებაი შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი, სული შენი სახიერი მიძლოდენ მე ქუეყანასა ნოფელსა. სახელისა შენისათვის, უფალო, მაცხოვრებელი და სიმართლითა შენითა გამოიყვანო ჩინისაგან სული ჩემი. და წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისანი, რამეთუ მე მონაი შენი ვარ.

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაი შენდა ღმერთო;

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაი შენდა ღმერთო;

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაი შენდა ღმერთო ჩუენო, დიდებაი შენდა.

ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა.

მუხლი 1. აუარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაი მისი.

მუხლი 2. ყოველი თესლები გარე მომადგეს მე და სახელითა უფლისათა ვერეოდი მათ.

მუხლი 3. არა მოვკვდე, არამედ ვსცხონდე, და განვსთქვენე მე საქმენი უფლისანი.

მუხლი 4. ლოდი, რომელ შეურაცხყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა, უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვირველ წინაშე თვალთა ჩუენთა.

ტროპარი, ხმა 4.

კანონად სარწმუნოებისა, და ხატად სიმშვიდისა და მოძღურად მარხვისა გყო შენ ქრისტემან სამწყსოსა შენისათვის ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმი-

დაო მლუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ქრისტესა
ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსაჲსა
იგივე ტროპარი.

სიხარულითა

ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

არასადა დავსდუმნეთ, ღმრთისმშობელო, ძლიერე-
ბათა შენთა ქებად უღირსნი ესე მონანი შენნი. რამეთუ
არათუმცა შენ გვფარევდი ოხითა შენითა, ვინმცა სადა
გვიხსნნა ჩუენ ესოდენტა ჭირთაგან; ანუ ვინმცა დაგ-
ვიცვნა ჩუენ აქამომდე ფლობილად? არასადა განგე-
შორნეთ ჩუენ, დედუფალო კურთხეულო, რამეთუ შენ
იხსნი სულთა ჩუენტა ყოველთა განსაცდელთაგან.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა
და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უშჯუ-
ლოებაი ჩემი. უფროის განმბანე მე უშჯულოებისა ჩემი-
საგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე. რამეთუ უშ-
ჯულოებაი ჩემი მე უწყი და ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა
არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ
წინაშე ვყავ, რაითა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა
და სძლო შჯასა შენსა. რამეთუ ესერა უშჯულოებათა
შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემ-
მან. რამეთუ ესერა ჭეშმარიტებაი შეიყუარე, უჩინონი
და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე.
მასხურო მე უსუპითა და განმწმიდე მე, განმბანო მე და
უფროის თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაი
და სიხარული, და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი.
გარე-მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველ-
ნი უშჯულოებანი ჩემნი აღხოცენ. გული წმიდაი დაბადე
ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამ-
სა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა
წმიდასა შენსა ნუ მიმილებ ჩემგან. მომეც მე სიხარული
მაცხოვარებისა შენისაი და სულითა მთავრობისაითა

დამამტკიცე მე. ვასწავლნე უშჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ. მიხსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო; იხარებდეს ღმერთო ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი კლავსენ, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკუეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მენირა; არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხვერპლ ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენნენ ზღუდენი იერუსალემისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაი, შესანიარავი და ყოვლად-დასანუველი; მაშინ შეინირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

გალობა 1. სძლის-პირი

ღმერთსა, რომელმან დაანთქა მენამულსა ზღუასა მტერი ფარაო, ძლევისა გალობითა მას უგალობდეთ, რამეთუ დიდებით დიდებულ-არს.

წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

ღმერთმან მამამან გამოგირჩია მღუდელ-მთავრად, წმიდაო ლუთისაო (სახელი), მამისაგან სახიერისა გვი-თხოვე განათლება გონებისა ჩუენისა.

წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

თვით მწყემსმან კეთილმან იესო ტკბილმან მწყემსად ჭიშმარიტად გირჩინა, ჭეშმარიტსა მას სიტყვასა ღმერთსა ევედრე მონიჭებად ჩუენდა მაღლი სიტყვისა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

იქმენ სადგურ სულისა წმიდისა, რომელი იტყოდა პირით შენით ჰსწავლასა ცხოვრებისასა მისგან გვი-თხოვე ცხოვრება სულთა ჩუენთა.

ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.
ვარსკულავი ლუთივ-ბრწყინვალე მომფენელი მზი-
სა სიმართლისა მარიამ ლუთის-მშობლად შენყალებად
წმიდაო მლუდელ-მთავარო. მას ევედრე შენყალებად
ჩუენდა.

გალობა 3. სძლის-პირი

განძლიერდა დღეს სარწმუნოებით ეკლესია ქრის-
ტეს მიერ, და გალობით ესრეთ ლაღადებს, წმიდა ხარ
შენ უფალო სულთა ჩუენტა მაცხოვარო.

წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე
ღმერთსა ჩუენტვის.

ვადიდებთ ყოვლად-დიდებულსა ბრწყინვალეებასა
შენსა ღმერთშემოსილო მამაო (სახელი) და ვევედრე-
ბით ლოცუასა შენსა განაბრწყინვე სულნი ჩუენნი.

წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე
ღმერთსა ჩუენტვის.

გვირგვინი ლუთივ-შუენიერი დაგადგა უფალმან
თავსა შენსა, წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი),
გვირგვინი სათნოებისა მოგუმადლე მაქებელთა შენ-
თა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

იხარებს სული შენი უფლისა მიმართ ეგევითარითა
ბრწყინვალეებითა, წმიდაო ლუთისაო (სახელი), ევედრე
იესო ტკბილსა შენყალებად სულთა ჩუენტა.

ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

რაბამ მშუენიერ ხარ, ქალწულო, და ბინი არა არს
შენთანა, და რაბამ ტკბილ არიან სიტყვანი შენნი, მა-
რიამ, ყოვლად-ტკბილსა იესოს ევედრე შენყალებად
ჩუენდა.

გვიხსენ განსაცდელთაგან მონანი შენნი, ყო-
ვლადწმიდაო ღმრთისმშობელო ქალწულო, რამეთუ

ჩვენ ყოველნი, შემდგომად ღმრთისა, შენდა მოგილოცვით, ვითარცა უძლეველისა ზღუდისა და ძუამდგომელისა.

მოიხილე ჩუენ ზედა, ყოვლადქებულ ღმერთსა შობელო, და ხორცთა ჩუენთა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ, და სულისა ჩუენისა სნეულებანი.

მღუდელმან: შეგვიწყალები ასამაღლებლითურთ

წარდგომა. ხმა 4.

მცხინვარებითა წმიდისა სამებისათა განათლებული ჰგალობ სამწმიდაარსობით სერაფიმთა თანა, სანატრელო მამაო (სახელი), მეოხ-გვეყავ შვილთა ეკლესიისათა, რომელთა შეგვიწყნარებეს ყოვლად-ტკბილნი ჰსწავლანი შენნი, რათა ჩუენცა უგალობდეთ უფალსა და ვიტყოდეთ ალლილუია.

გალობა 4. სძლის-პირი

სმენა მესმა ლუთისა გამოჩინებისა ქუეყანასა ზედა მაცხოვრად ჩუენ მორწმუნეთა მისთა და ვლალადებთ: დიდება ძალსა შენსა უფალო.

წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

გუნდსა თანა ანგელოსთასა უგალობ ყოვლად-წმიდასა სამებასა, წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), გლახაკნი ესე გევედრებით, მოგუმალლე სინმიდე გულისა.

წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

ვიხარებთ ხსენებასა შენსა ზედა, წმიდაო ლუთისაო (სახელი), და ვითხოვთ წყალობასა, მოგუანიჭე საუკუნო სიყუარული ლოცვითა შენითა წმიდითა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

იხილე დიდება ლუთისა, რომლისათვის გსუროდან და იხარებს სული შენი წინაშე მისა, ითხოვე ჩუენთვის ცა, რათა ვიხილოთ დიდება იგი სანატრელი. **უკუნისა** ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, **ამინ.** **წინათვე** ნათელი ბრწყინვალე, მთავარი მშვიდობისა იესო იშუა შენგან, ქალწულო, მისგან გვითხოვე ღირსყოფა ჩუენი ნათელსა მას თუალთშეუდგამსა.

გალობა 5. სძლის-პირი

ღამე ბნელი ურწმუნოთა, ქრისტე, მორწმუნეთა ნათელ ჰყოფს სიტყვათა შენთა მადლითა, ამისთვის ჩუენცა შენდა აღვიმსთობთ და ღვთაებასა შენსა ვადიდებთ.

წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

ოხრვიდა სული წმიდა შენ შორის მდიდრად ქადაგებითა, და განანათლენ მოძღურებითა კიდენი სოფლისანი, ჩუენცა განგვანათლენ ჰსწავლითა შენითა, წმიდაო ლუთისაო.

წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

სული წმიდა იტყოდა პირით შენით სიტყვათა მათ მადლისათა, ღმერთშემოსილო მამაო (სახელი), სულისაგან წმიდისა გვითხოვე განწმედა სულითა ჩუენთა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ანგელოსებრივ ჰსცხოვრებდი, წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), და ანგელოსთა შორის იხარებს სული შენი, ჩუენცა ანგელოსებრივი მოქალაქობა მოგუანიჭე გვედრებით.

ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წამდვილ ჭეშმარიტად ლუთის-მშობლად გქადაგეს, მარიამ, წმიდათა მლუდელ-მთავართა, და ჩუენცა აღ-

გიარებთ ქალწულად, და გევედრებით, ლოცვით მათითა შეგვინყალებს უბინოო.



ქრისტეწულნი
ბიზანტიისეკლესია

გალობა 6. სძლის-პირი

იონასებრ ვეშაპისა მისგან მიხსენ მე, გევედრები, სახიერო უფალო, რომელსა ჰშთანთქა ჰნებავეს ჩემი უწყალოებით, განმარინე მე.

წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

ნექტარი სამღთოსა ბრწყინვალეებისა მოგეფინების, წმიდაო მღუდელმთავარო (სახელი), ნაკადული მადლისა შენისა მოგუფინე ჩუენცა გევედრებით.

წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

ისმენ ანგელოსთა გალობასა წინაშე ღუთისა განბრწყინვებული და იშვებ სულითა, ისმინე გალობა ჩუენი და ლოცვითა მოგვიხსენე ჩუენცა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მადლითა სამღთოითა ღუთივ-შუენიერად განათლებულ ხარ, მამაო წმიდაო (სახელი), მადლი ლოცვისა შენისა მოგუფინე მვედრებელთა შენთა

ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღუთის მშობელო მარიამ, მღუდელ-მთავართა ბრწყინვალე მწყობრი გევედრების, შეგვინყალებს მათ მიერ დამწყსილნი მორწმუნენი შენნი.

გვიხსენ განსაცდელთაგან მონანი შენნი, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო ქალწულო, რამეთუ ჩვენ ყოველნი, შემდგომად ღმრთისა, შენდა მოვილტვით, ვითარცა უძღვევლისა ზღუდისა და შუამდგომელისა.

მოიხილე ჩუენ ზედა, ყოვლადქებულო ღმრთისმშობელო, და ხორცთა ჩუენთა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ, და სულისა ჩუენისა სნეულებანი.

და კონდაკი მის მლუდელ-მთავრისა ანუ ეხე სა-
ზოგადო კონდაკი
ხმა 4.

ერეკენულნი
მორწმუნენი

სამღთოსა ქუხილისა საყვირო სულიეროცხადებელთა სიმტკიცეო, და განმდევნელო წვალებისაო, სამებისა მსახურო, დიდო მლუდელ-მთავარო (სახელი), ანგელოსთა თანა მდგომარეო მარადის, ევედრე დაუცხრომელად ჩუენ ყოველთათვის.

მლუდელმან: მოხედენ, სიბრძნით.

წარდგომა სახარებისა...

მლუდელთა შენთა შეიმოსონ სიმართლე და წმიდანნი შენნი იხარებდენ.

მუხლი: პირმან მართლისამან ინუართოს სიბრძნე.

მღვდელმან: უფლისა მიმართ ვილოცოთ. რამეთუ წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩუენო. ყოველი სული აქებდით უფალსა. ღირს ყოფად ჩუენდა. სიბრძნით აღემართენით.

სახარება მათესი

ჰრქუა უფალმან თვისთა მოწაფეთა: თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. ვერ ხელენიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა. არცა აღანთიან სანთელი და დაჰსდგიან ქუეშე ხვიმირსა არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა რომელნი იყენიან სახლსა შინა. ეგრეთ ჰბრწყინევიდნ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მეოხებითა წმიდისა მლუდელ-მთავრისა (სახელი), მოწყალეო აღხოცენ ცოდვათა ჩვენთა სიმრავლენი.

ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მეოხებითა წმიდისა ლუთისმშობელისათა მონ-
ყალეო, აღხოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი
მინყალე მე, ღმერთო, დიდითა ნყალობითა შენითა,
და მრავლითა მონყალებითა შენითა აღხოცენ უსყვე-
ლოებაი ჩემი და შემინყალე მე, ღმერთო.

გერი: ნათელო ყოვლად ბრწყინვალეო, სასანთლესა
ვითარცა ხარისხსა ზედა ამაღლებულო, ეგე ვითარი-
თა ლუთივ-შუენიერითა ბრწყინვალეობითა განანათ-
ლე ეკლესიათა სავსება, წმიდაო მლუდელ-მთავარო
(სახელი), რათა ყოველნი ერთბამად უგალობდეთ საკ-
ვირველ-მოქმედებასა შენსა ყოვლად-სამღვდელოო.

მლუდელმან: „აცხოვნენ“ ასამაღლებელითურთ.

გალობა 7. სძლის-პირი

ქერუბიმითა ზედა მჯდომარეო მაცხოვარო, რო-
მელმან ყრმანი იხსენ სახმილისაგან, კურთხეულ ხარ
შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო.

წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე
ღმერთსა ჩუენთვის.

უფალმან ღმერთმან განგანათლა, წმიდაო მლუ-
დელ-მთავარო (სახელი), და უმაღლესსა ხარისხსა
ზედა დაგადგინა სანთელი ბრწყინვალე, განგვანათ-
ლენ ქრისტიანენი გევედრებით.

წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე
ღმერთსა ჩუენთვის.

დიდებითა მრავლითა ჰბრწყინავ წინაშე ანგელოს-
თა და კაცთა, წმიდაო ღვთისაო (სახელი), დიდებასა
ლუთისასა ღირს-გვიჩინე ლოცვითა შენითა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ეგრეთ ჰბრწყინავდი ნათელი თქუენი, სთქუა
უფალმან, ნათლითა ეღვარებისა შენისათა განგვა-
ნათლენ დაბნელებულნი ესე მვედრებელნი.



ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.
 ლამპარო ღუთივ-ბრწყინვალეო მარიაჲ, ლოცვითა
 წმიდათა მღუდელ-მთავართათა განგუანათლებლნი
 ბიერად მვედრებელნი, ყოვლად უბინოო. გ ი ზ ლ ი მ ი თ ე ჯ ა

გალობა 8. სძლის-პირი

ქრისტესა, რომელიცა ღმერთი არს და უფალი ყოველთა ბუნებათა აღვამაღლებთ მას ქებით ანდა უკუნისამდე.

წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

მადლით შემოსილო წმიდაო ღუთისაო (სახელი), მადლით მოგუფინე მადლი მეოხებისა შენისა, და მოგვიხსენე წინაშე ღუთისა.

წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

თანა ზიარ-იქმენ მოციქულთა ქადაგებისა და საყდარსა მათსა ჰსუფევი, თანა ზიარად სუფევისა შენისა გვიჩინე ჩვენცა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ანგელოსთა თანა მოდასე იქმენ და მათ თანა უგალობთ უფალსა, მოგვიხსენენ ჩუენცა წინაშე ღუთისა გევედრებით, მამაო სანატრელო.

ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვითარ საყუარელ-არს ხსენება შენი, მარიაჲ უბინოო, რამეთუ განანათლებს გონებასა სახელი შენი წმიდა, გევედრებით შეგვიწყალენ ჩუენ.

გალობა 9. სძლის-პირი

შენგან, ქალწულო, უთესლოდ ღმერთი იშვა უქცეველად ხორცითა, ამისთვის, ღუთის-მშობელო, ჩუენ ყოველნი დაუცხრომელად გადიდებთ.

წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), გვედრე
ღმერთსა ჩუენთვის.

ამაღლდი რა ხარისხითა ხარისხად, ანგელოსთა და
მიინიე დიდებითი დიდებად, ამისთვის გვედრებით,
მოგვიხსენე წინაშე ღუთისა, სანატრელ მამაო.

წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), გვედრე
ღმერთსა ჩუენთვის.

რომელსა გერწმუნა ეკლესია ქრისტესი, ღუ-
თივ-შუენიერად განაბრწყინვე, და სულნი კაცთა-
ნი ღმერთსა შეჰსწირენ, გვედრებით, შეგვიწყალენ
ჩუენცა, მამაო.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ნათლითა თუალთ-შეუდგამითა განბრწყინვებუ-
ლი იდიდები, წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი),
მეოხ-გვეყავ რათა ვიხილოთ ნათელი ბრწყინვალე.

ანდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იდიდები ღირსად ყოველთა წმიდათაგან, ყო-
ვლად-წმიდაო ქალწულო, და იხარებ ძისა შენისა თანა,
ითხოვე ჩუენთვისცა სიხარული საუკუნო სასუფეველ-
სა.

ღირს-არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ,
ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ,
ყოვლად-უბინოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპა-
ტიოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით უზესთაეს-
სა სერაბინთასა, განუბრწუნელად მშობელსა სიტყვისა
ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადი-
დებდეთ.

მლუდელმან აკმიოს.

უფალსა უფლებათასა უგალობ ანგელოსთა თანა
შეერთებული, წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი),
გვედრებით ჩუენცა მოგვიხსენე წინაშე უფლასა სა-
ბაოთისა, უსანატრელესო მამაო.

მწყემსად ქეშმარიტად დაგადგინა სიტყვამან ქეშ-
მარიტებისამან, ხოლო მლუდელ-შუენიერებითა შენი-
თა განათლებულნი გევედრებით მწყემსსა ჳეგვიღწე
შეგვანყნარე, რათა ვადიდებდეთ მას. გ ი ვ ჳ ე მ ს ა

სულმან საღმრთომან განგაბრძნო, ღმერთ-შემოსი-
ლო მამაო (სახელი), რათა სულნი ჩუენნი განწმედილნი
შესწირო მამასა ზეცათასა, გევედრებით წარგუადგი-
ნენ წინაშე მისა უბინონი.

სამებამან სათნო იყო სათნოება შენი, სამ-ნეტარო
მამაო, და გვირგვინითა შემკობილი სამ-წმიდა-არსო-
ბით უგალობ სერაფამთა თანა, სარწმუნოებით გევე-
დრებით, მოგვიხსენე ჩუენცა.

ლუთის-მშობელო მარიამ, ლოცვითა წმიდათა მლუ-
დელ-მთავართათა, ღირსმყუენ ზეცისა დიდებასა
ყოველნი მართლმადიდებელნი, რათა მათ თანა ვჰგა-
ლობდეთ სამ-წმიდა-არსობით.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდა-
ვო, შეგვიწყალენ ჩვენ (3-გ ზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ან და მა-
რადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფა-
ლო, გვიხსენ და გვილხინე ცოდავათა ჩვენთაგან,
მეუფეო, შეგვიხსენე უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო,
მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელი-
სა შენისათვის.

უფალო, შეგვიწყალენ (3-გ ზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ან და მა-
რადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ
სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი,
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური
ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ

თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტყვევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ. ნუ [12]

მინყალენ ჩუენ, უფალო, შემინყალენ ჩუენ, რამეთუ ყოველსავე სიტყვის-მიცემისაგან ულონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ. მინყალენ ჩუენ, უფალო, შეგვიწყალენ ჩუენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

უფალო, შემინყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განმირისხდები ჩუენ ფრიად, და ნუცა მოიხსენებ უსჯულოებათა ჩუენთა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გვიხსენ ჩუენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ ვართ ერნი შენნი, ყოველნივე ქმნულნი ხელითა შენთანი ვართ და სახელი შენი ნოდებულ არს ჩუენზედა, და შემინყალენ ჩუენ.

ან და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მონყალების კარი განგვილე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა.

უფალო, შეგვიწყალენ (12-ჯერ).

მღუდელმან: შეგვიწყალენი და შეისმინე ჩუენი, ღმერთო.

ლოცვა მუხლმოდრეკით სათქმელი

ჰოი, ყოვლად სანატრელო წმიდაო მღუდელ-მთავარო (სახელი), მამისა სათნოო, ძისა მიერ განათლებულო, სულითა წმიდითა განბრძნობილო, ანგელოსთადა შეერთებულო, მოციქულთა მოსაყდრეო, მონამეთა

თანა მოლუანეო, მლუდელ-მთავართა შვენოებარო,
სარნმუნოებისა წინამძღვარო, მართლ-მორნმუნეთა
შემნეო და შესავედრებელო.

ჰოი, ყოვლად დიდებულო წმიდაო მლუდელ-მთა-
ვარო (სახელი), სინმიდითა შენითა მრავალთა
სასნაულთა მოქმედო, შენ შორის დამკვიდრებულ-
თა საღმრთოთა მადლითა ადიდე და განანათლე კე-
თილმორნმუნე ერი ჩუენი, მლუდელ-შუენიერებითა
შენითა განაბრწყინვე უწმიდესი და უნეტარესი სრუ-
ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხე-
თა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამაი
ჩუენი ილია და ყოვლად-სამღვდელონი მიტროპოლიტ-
ნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი
სამლუდელო და სამონაზნო დასნი, წმიდითა ლოცვითა
შენითა დაიფარენ სამხედრო განწესება, და ყოველნი
მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი. ევედრე, მამაო,
შენ მიერ ქადაგებულსა ღმერთსა, რათა მოგუმადლოს
სულით და ხორციით მშვიდობა და სიმრთელე, და ვადი-
დებდეთ სახიერებასა მისსა.

ჰოი, ყოვლად სანადელო წმიდაო მლუდელ-მთავარო
(სახელი), ყოვლად წმიდისა სამებისა მიერ ღუთივ-შუე-
ნიერად განათლებულო, და მრავალთა სათნოებათა
შენთათვის ყოვლად ბრწყინვალითა გვირგვინითა პა-
ტივცემულო, მეოხ გვეყავ წინაშე მისსა, რათა მოგუა-
ნიჭოს მართლმადიდებლობით განათლება, კეთილთა
საქმეთა მიერ განბრწყინვება, და სასუფეველსა ცათა-
სა დამკვიდრება, ანგელოსთა თანა გალობა, წმიდათა
თანა სუფევა, ღირსთა თანა გვირგვინოსნება, და მა-
რადის უგალობდეთ შენსა მადიდებელსა მამასა, შენ-
სა მაკურთხეველსა ძესა და შენსა განმაბრძნობელსა
სულსა წმიდასა, რომელსა ჰშუენის ყოველი დიდება,

პატივი და თაყუანისცემა, ან და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.

ღირს-არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენი ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელი შენსა ყოვლად-უბინოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატიოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, შეგვიწყალებ (3-ჯერ).

უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისათა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთათა და ყოველთა წმიდათა შენთათა, შეგვიწყალებ ჩვენ, ამინ.

ხოლო ხატისა მისისა მთხვევნასა ზედა ვჰგალობთ ამას:

ყოვლისა მორწმუნისა ლოცუათა მსმენელო და თხოვათა აღმსრულებელო, წმიდაო მლუდელ-მთავარო (სახელი), ყოვლად მონყალისა ღუთისაგან გვითხოვე, რათა ყოველნი ღუთივ-სულიერნი შვილნი შენნი შეგვიწყალებს, რომელნი ესე პატივისცემით ვადიდებთ წმიდასა ხსენებასა შენსა, და სურვილით ამბორს-უყოფთ ხატსა სინმიდისა შენისასა და შენთანა ვიხარებდეთ საუკუნოდ.

დედოფალო მარიამ, ბრწყინვალეზო ყოველთა წმიდათაო, ლოცვითა წმიდათა მლუდელ-მთავართათა ღირს-მყუენ საუკუნოსა დიდებასა და ბრწყინვალეზასა ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისასა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ჯემალ გამახარია, „წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი“, თბ. 2007წ.

მღ. მელიტონ სპ. კელენჯერიძე, „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)“, 2006 წ.

ილია თავბერიძე, „წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“, თბ., 2006 წ.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი, შემდგენლები: გვანცა კოპლატაძე და გრიგოლ რუხაძე, თბ. 2012წ.

თამარ მაღაზონიას სამეცნიერო დისერტაცია „მოძღვრის ჰუმანურ-ალმზრდელობითი სახე მე-19 საუკუნის II ნახევრის ქართულ სასულიერო პერიოდიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში“.

სარჩმვი




წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი და აფხაზეთი	24
აფხაზეთის ეპოქაში მოღვაწეობის ბოლო წლები	42
წმინდა მღვდელმთავრის ამ ქვეყნიდან გასვლა	56
თანამედროვეთა მოგონებები გაბრიელ ეპისკოპოსზე	100
წმინდა გაბრიელის ქადაგებანი	113
დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე	127
მღვდელმთავარი წმინდანთა დასში	136
პარაკლისი სავედრებელი წმიდათა მღვდელ-მთავართა	146

უკვე გამოვიდა:

- წიგნი 1 — ყოვლადწმინდა სამება
- წიგნი 2 — ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი
- წიგნი 3 — ანგელოზები
- წიგნი 4 — უფლის წინასწარმეტყველნი
- წიგნი 5 — უფლის მოციქულები
- წიგნი 6 — წმინდა გიორგი
- წიგნი 7 — წმინდა ნიკოლოზი
- წიგნი 8 — წმინდა ნინო და მეოთხე საუკუნის წმინდანები
- წიგნი 9 — ცამეტი ასურელი მამა
- წიგნი 10 — ღირსი შიო მღვიმელი
- წიგნი 11 — წმინდა დავით გარეჯელი და მისი საგანე
- წიგნი 12 — ღირსი გრიგოლ ხანძთელი
- წიგნი 13 — ძველი საქართველო
- წიგნი 14 — ათონელი მამები
- წიგნი 15 — წმინდა გიორგი მთაწმინდელი
- წიგნი 16 — სამხრეთ საქართველო
- წიგნი 17 — მოწამენი
- წიგნი 18 — წმინდა ილია მართალი

- წიგნი 19 — წმინდა ილარიონ ქართველი
- წიგნი 20 — წმიდა დიმიტრი ყიფიანი
- წიგნი 21 — ქრისტესთვის წამებულნი
- წიგნი 22 — წმინდა ალექსი შუშანია
- წიგნი 23 — წმინდა მღვდელმონაზონი გრიგოლ ფერაძე
- წიგნი 24 — წმინდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე)
- წიგნი 25 — საქართველოს სამოთხის ყვაუილები
- წიგნი 26 — წმინდა ქეთევან დედოფალი
- წიგნი 27 — ქართველთა მეოხნი
- წიგნი 28 — ქართველ წმინდანთა კრებული
- წიგნი 29 — წმინდა მღვდელმთავარი აღმსარებელი
ამბროსი ხელაია
- წიგნი 30 — მეოხნი ოდიშის მიწისა
- წიგნი 31 — კრწანისის ყაყაჩოები
- წიგნი 32 — წმინდა ექვთიმე ღუთისკაცი
- წიგნი 33 — სამშობლოს სიყვარულისთვის
- წიგნი 34 — ჯვარცმული საქართველო
- წიგნი 35 — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II
- წიგნი 36 — წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი
- წიგნი 37 — წმინდა არსენ იყალთოელი

- 
- წიგნი 38 — წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი (წიგნი პირველი)
- წიგნი 39 — წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი (წიგნი მეორე)
- წიგნი 40 — წმინდა პატრიარქი ანტონ II და წმინდა ილარიონ ქართველი — საკვირველმოქმედი
- წიგნი 41 — წმინდა თამარ მეფე (წიგნი პირველი)
- წიგნი 42 — წმინდა თამარ მეფე (წიგნი მეორე)
- წიგნი 43 — წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
(წიგნი პირველი)

102/1501



ქართული
ზღაპრთა

	სსამგროდ ქართული-გაეროების სამეცნიერო სამსახური	პიქონა ჩვეთრატის № 233
	პიქონა ჩვეთრატის № 3	29.04.14 თ.ჩვეთ
დასახულება:	საქართველოს იმედი, წიგნი 44	
ჩვეთრები:	სსამგროდ	

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი, 2014



წმ. გაბრიელ ქიქოძე



მოქვი, XIX საუკუნე



გაბრიელ ქიქოძის
საფლავი გელათში



ივანე რატიშვილი



დეკანოზი მელიტონ
კელენჯერიძე



ილორი, XIX საუკუნე

იბეჭდება სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და
უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-ეურთხევით

ქართული
გიგლიორთქვა



წიგნი ორმოცდამეხუთე
ახალმონაშენი
(ნაწილი I)

K297.805
3